სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 2 ოქტომბერი 1999 №189 (962) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო! რაგბის მსოფლიოს თასი

გუშინდელი მატჩების შედეგები იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

REUTERS კორდინიდან

გუშინდელი უელსი — არგენტინა. მსოფლიოს თასის პირველი შეხვედრა თვალსაჩინო გამოდგა

ბოსკამპმა სამი ქართველი ნახა

ჰოლანდიელმა მწვრთნელმა „ლიერს“ „ციურიხს“ უცქირა

არული კუდიანებს და ევროპულ ფეხბურთს

ზღაპარი-ფანტაზია საფეხბურთო თემაზე

ანელკა ზიდანის სანაცვლოდ?

„რეალის“ პრეზიდენტი ძველ ამბავს დაუბრუნდა

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენებზე



წარმოგიდგენთ ლაურეატებს

მურთაზ ხურცილავა

რუსებმა თბილისი დატოვეს

აბემ გერმანულად შეუძახა და თეთრი რუსი დაინახა

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი

საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

გუშინ ვერის ბაღში

მაკაბი	83:60 დინამო
ვითა	93:84 სდასუ
ასკ	73:94 აზოტი

დღეს ვერის ბაღში

სსუ — თსუ	16.00
შევარდენი — სტუ	17.45

ხვალ ბათუმში

ბასკო — გორი	14.00

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ვითა — სდასუ. პირველი ტური ჩემპიონმა „ვითამ“ ჩემპიონურად დაიწყო

გურამ ფალავანდიშვილის ფოტო

ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲛᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲐ

გუშინწინ ევროპაში გამართული უეფას თასის მატჩებიდან ქართველ ქომაგთა ინტერესს, ბუნებრივია, ის შეხვედრები იწვევდა, რომლებშიც ჩვენი ლეგიონერები თამაშობდნენ. ერთ-ერთი „ქართული დერბი“ ბელგიურ ქალაქ ლიერში შედგა, სადაც გელა შეყილაძის „ლიერსმა“ გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხს“ უმასპინძლა. ამ გუნდების პირველი მატჩი შვეიცარიულმა კლუბმა ჯამარაულის გოლით შინ 1:0 მოიგო. საპასუხო შეხვედრაში ფავორიტად ბელგიის ჩემპიონატის ლიდერი ითვლებოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, თუმცა „ციურიხმა“ ბელგიაში, ყველასაფვის მოულოდნელად, სენსაციურად მოიგო. ჩვენთვის სასიამოვნო კი ის გახლდათ, რომ ქართველმა, კერძოდ, გოჩა ჯამარაულმა იქაც გაიტანა და თანგუნდელთა გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა.

ბელგიური პირველობის ერთპიროვნული ლიდერის საშინაო წაგება მართლაც გასაკვირი იყო, თუმცა ასე არ ფიქრობს „ლიერსისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი გელა შეყილაძე. იოჰან ბოსკამპს ალბანეთთან საპაექროდ შეყილაძესაც უხმო. გელას წუხელ სალამოს ბელგიაში დავუკავშირდით და, ცხადია, პირველად „ციურიხთან“ მარცხის მიზეზზე დავეკითხეთ:

— ერთი შეხედვით შედეგი შესაძლოა მართლაც მოულოდნელი იყო, მაგრამ „ციურიხმა“ დამსახურებულად მოიგო, აშკარად გვაჯობეს. მეორე წუთზევე დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა და ჯამარაულმაც გაიტანა. ამის მერე გუნდი აირია, იძულებულნი გავხდით, გაგვერისკა, „ციურიხმა“ კი კონტრშეტევებზე დაგვიჭირა და... მათი თითქმის ყველა შეტევა გოლით დასრულდა. როდესაც დებიუტშივე გაგვიტანეს, თამაშის ხარისხზე ალარავინ ფიქრობდა, მთავარი შედეგი გახლდათ, მაგრამ ამასაც ვერ მივაღწიეთ. თავად „ციურიხს“ კი აშკარად ეტყობოდა, შედეგისთვის რომ თამაშობდა.

— რამდენადაც ვიცით, მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა თავიდანვე ძირითადში არ დაგაყენა. რა არის ამის მიზეზი?

— ჩემპიონატის ბოლო ტურში, „გენტთან“ მატჩში საზარდული დამეჭიმა და გამაყუჩებელ ნემსებს მიკეთებდნენ, მწვრთნელმაც თავი შეიკავა. თამაშის წინა დღეს მითხრა, უმჯობესია, დაისვენოო, მაგრამ რომ ნახა, საქმე ცუდად იყო, მეორე ტაიმში მინდორზე შემიშვა. მთელი მეორე ნახევარი გამაყუჩებელი ნემსებით ვითამაშე.

— გამოდის, ტრავმა სერიოზულია...

— როგორ გითხრათ, დასვენება მჭირდება, მაგრამ ასე რომ მოვიქცე, შესაძლებელია, გუნდის ძირითადში ადგილი დავკარგო. კონკურენცია ძალიან დიდია, მე კი თამაში მსურს. ერთი სიტყვით, იმათაც უნდა ვაჯობო და საკუთარ თავსაც.

— გელა, ბელგიის ჩემპიონატზეც გკითხავთ. რას უნდა მივაწეროთ „ლიერსის“ ერთპიროვნული ლიდერობა, შემთხვევითობას თუ კანონზომიერებას?

— ვფიქრობ, პირველ ადგილზე შემთხვევით არ ვიმყოფებით. მართალია, ბელგიის გრანდებიდან მხოლოდ „ანდერლეხტს“ შევხვდით და დავმარცხდით, მაგრამ შვიდი ჩატარებული მატჩიდან ექვსს რომ მოიგებ და ერთს, ისიც „ანდერლეხტთან“ წააგებ, ეს, მგონი, რაღაცაზე მეტყველებს. ვისაც მოვუგეთ, შემთხვევით არავისთვის მოგვიგია, ჩვენი სიძლიერე დავამტკიცეთ. მართალია, „ბრიუგესა“ და „სტენდარდს“ ჯერ კიდევ უნდა ვეთამაშოთ, მაგრამ... სწორედ მაშინ გაირკვევა, ვინ ვინ არის.

— ბარემ „ლიერსის“ წლევანდელ გეგმებზეც გვითხარით.

— სამეული — აი, ეს არის გუნდის უმთავრესი მიზანი. იცით, გასულ სეზონში ქვეყნის თასი მოვიპოვეთ, მას კი სულ ახლახან ჩემპიონ „გენკის“ ძლევით სუპერთასიც მივაყოლეთ. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, ჰოდა, ჩვენც რატომაც არ უნდა ვიბრძოლოთ ჩემპიონობისთვის? თუმცა უპირველესი მიზანი, უკვე გითხარით, საპრიზო სამეულში მოხვედრა.

— კეთილი. ახლა ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. იოჰან ბოსკამპმა ალბანეთთან მატჩისთვის თქვენც გამოგიძახათ. ალბანელებმა ჩვენს ნაკრებს „შავი კატა“ უწოდეს, გაიძახიან, საქართველოს აუცილებლად უნდა მოვუგოთ, რათა ჯგუფში ბოლო ადგილს თავი დავაღწიოთო.

— რაო, შავი კატაო? ჩვენ თუ კატები ვართ, მაშინ ისინი თაგვები ყოფილან. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, ჯერაც საკითხავია, ჯგუფში ბოლო ვინ იქნება, ჩვენ თუ ისინი. ალბანელებზე რა უნდა ვთქვა. მართალია, ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ კარგი, შეთამაშებული გუნდი ჰყავთ. ერთადერთი, რაც ახასიათებთ, ჟინიანი თამაშია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ კლასით ჩვენ ვჯობივართ, ალბათ, მოვიგებთ. ალალად ვიტყვი, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ფავორიტად გვთვლიდნენ, ახლა რომ ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდეთ, სირცხვილია და თავის მოჭრა, მეტი არაფერი. სხვათა შორის, „ლიერსი“ — „ციურიხის“ მატჩს იოჰან ბოსკამპიც ესწრებოდა და მე, ჯამარაული და ყაველაშვილი თავად გვნახა საქმეში. თბილისში კი ორშაბათს ჩამოვალ.

— შვეიცარიელებთან მატჩამდე ქართველები რაიმეზე ხომ არ დანიძლავდით?

— არა, უბრალოდ, ერთმანეთი მოვიკითხეთ და შანსებზე ვთქვით, ვის უფრო გაუმართლებდა. მატჩის დამთავრების შემდეგ როგორც გოჩას, ისე მიშას მხურვალედ მივულოცე დამსახურებული გამარჯვება.

— და ბოლოს, ამბობთ, „ციურიხმა“ დამსახურებულად მოგვიგოო. ყოველივე ამან ბელგიაში როგორი რეზონანსი გამოიწვია?

— ყველა გაოცებული იყო, წაგებას არავინ ელოდა. არავის ეგონა, რომ „ლიერსს“ „ციურიხი“ თამაშის ხარისხითაც აჯობებდა და შედეგითაც. პრესამაც ერთი ამბავი ატეხა, ბელგიის ჩემპიონატის ლიდერი შვეიცარიის საშუალო დონის გუნდთან არ უნდა მარცხდებოდესო.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲫᲔ

ᲐᲘᲐᲥᲡᲘ — ᲨᲔᲤᲘᲚᲓᲘ: ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ᲓᲐᲯᲘᲨᲜᲣᲚᲘ

გიორგი ქინქლაძის ახალ კლუბთან დაკავშირებით კვლავ ვაურკვეველი ვითარებაა.

ამ რამდენიმე ხნის წინ, როცა ამსტერდამის „აიაქსის“ ხელმძღვანელობას ინგლისური პირველი დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედმა“ ქინქლაძის ტრანსფერის თაობაზე მიმართა, ალბათ, გახსოვთ, საქმეს კარგი პირი უჩანდა. თითქოს „შეფილდიც“ თანახმა იყო, „აიაქსისთვის“ სასურველი თანხა გადაეხადა, არც თავად გიო უარობდა ინგლისში დაბრუნებას, მაგრამ ყოველივე ისე გაჭიანურდა, ვიფიქრეთ, მისი „შეფილდში“ გადასვლის ვარიანტი ჩაიშალაო.

გუშინ სწორედ ამიტომ შევეხმიანეთ ამსტერდამში გიორგი ქინქლაძეს. თბილისში წამოსასვლელად გამზადებულმა გიომ, რომელიც ქვემორე ინტერვიუს, ალბათ, დღესვე თბილისში წაიკითხავს, აი, ეს გვითხრა.

— შეფილდიდან ახალი ჯერჯერობით არაფერი ისმის, „იუნაიტედიდან“ კარგა ხანია, არავინ შემხმიანებია, მენეჯერიც დუმს.

— მოლაპარაკება საბოლოოდ დამთავრდა?

— არა მგონია. ვფიქრობ, „შეფილდი“ შეენებულადაა გაჩერებული და „აიაქსის“ სიტყვას ელოდება. ეს ფასდაკლების ერთ-ერთი ხერხია. როცა ამსტერდამელებს ჩემი „მანჩესტერ სიტიდან“ გადაბირება სურდათ, მოლაპარაკება სამჯერ წამოიწყეს და თითქოს სამჯერვე ჩაშალათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც „აიაქსში“ აღმოვჩნდი. მაშინ ჰოლანდიელებმა მანჩესტერელებს საკმაო თანხა დააკლებინეს.

— მართალია, „აიაქსი“ ქინქლაძეს არ გაანათხოვრებსო?

— კი, ასეა. თუ „აიაქსიდან“ წავალ, საბოლოოდ. ამსტერდამელებს ჩემი განათხოვრება არ სურთ, წამგებიანიაო — ამბობენ. რატომ, ვერ გეტყვით.

— კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი ვითარება?

— ვიცი? იმედი მაქვს, ჩემი მომავალი ოქტომბრის ბოლოსთვის გადაწყდება, თუ „შეფილდმა“ იაქტიურა, შესაძლოა, უფრო ადრეც.

— შეფილდელების გარდა შენი ყიდვის თაობაზე „აიაქსს“ სხვა არავინ შეხმიანებია?

— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. არაა გამორიცხული, დაინტერესებულ გუნდებთან კლუბის ხელმძღვანელებმა უჩემოდაც გააბან მოლაპარაკება.

— ზუსტად გვითხარი, რამდენს ითხოვენ შენს სანაცვლოდ?

— 3 მილიონ ნახევარ ფუნტს. „სიტიდან“ 5 მილიონ ხუთასად მიყიდეს და ახლა ორი მილიონი დააკლეს.

— წონამომატებულიაო, მართალია?

— მეც წავიკითხე და გაკვირვებული დავრჩი. ერთი გრამი არ მოიმატა. ჩემი სათამაშო წონა მაქვს — 70.

— ისევ „აიაქსის“ მეორე გუნდში თამაშობ?

— ხანდახან. ვარჯიშით კი ყოველდღიურად ვვარჯიშობ, ხშირად დღეში ორჯერაც.

— ნაკრებში რომ გამოგიძახეს, გეცოდინება.

— კი, ორიოდ დღის წინ მაცნობეს. კარგია, ჩემს თბილისში ჩამოსვლამდე თუ არ გადაიფიქრეს. მგონი, სასურველ სათამაშო ფორმამდე ბევრიც არ მაკლია.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲞᲐᲝᲙ-ᲗᲐᲜ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲨᲣᲐ�გᲣᲚᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ — ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲐᲚᲔᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐᲡ“ �გᲣᲬᲜᲓᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲞᲐᲙᲔᲢᲖᲔ. ᲘᲡᲔ ᲞᲐᲝᲙ-ᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲓᲐᲒᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲔᲫᲔᲑᲓᲐ, ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲔᲠᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ.

ᲐᲮᲚᲐ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲞᲐᲙᲔᲢᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲘᲛ 51 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ. ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲡᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲙᲝᲜᲗᲮᲖᲔ — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲘᲡᲐᲡ კი ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ ᲐᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ. ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲘᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲘᲗᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ, ᲛᲐᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲝᲠ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲘᲗᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲔᲠᲔᲚᲘᲡᲐᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲪ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲪᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲧᲝ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲣᲔᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲘᲝᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲚᲣᲮᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲛᲝᲨᲣᲨᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲔᲚᲛᲐ ᲖᲐᲖᲐ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐᲛ, ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲔᲚᲛᲐ ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲛᲐᲪ ᲓᲐ ᲐᲘᲐᲥᲡᲔᲚᲛᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ. ᲛᲐᲗ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲔᲕᲠᲝᲠᲣᲚ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲛᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲪᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲧᲝ

ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ. ᲛᲐᲗ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲛᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲪᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲧᲝ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ „ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘᲡ“ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲦᲘᲠᲡᲐ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠ „ᲠᲝᲓᲐᲡ“ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ 0:2 ᲬᲐᲐ�გᲔᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲛᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ „ᲠᲝᲓᲐᲡ“ ᲒᲐᲒᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲛᲓᲜᲔᲜ. „ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲡ“ ᲙᲝᲕᲖᲘ ᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲣᲗᲐᲠᲓᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲘᲡ ᲨᲣᲐ�გᲣᲚᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐᲪ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ. ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ ᲙᲘ 67-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ ᲩᲐᲠᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 23 ᲬᲣᲗᲘ ᲓᲐᲰᲧᲝ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ „ᲠᲝᲓᲐᲛ“ 3:1 ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲡᲘᲜᲘᲫᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲨᲘ ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲪᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ... ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲣᲬᲧᲐ. ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲘᲜᲐᲗ ᲐᲮᲛᲔᲢᲝᲕᲡᲐᲪ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ. ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲔᲩᲘᲗᲘ ᲛᲝᲠᲬᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ — ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘ.

ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲖᲔ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲮᲔᲚᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ, ᲐᲠᲪᲗᲣ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ — ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲨᲘᲐ ᲡᲤᲤ-Ს ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲔᲠᲐᲑᲘ ᲨᲔᲒᲒᲐᲠᲓᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲤᲘᲠᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲘᲡᲔ ᲞᲐᲝᲙ-ᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ თბილისში, დაგველაპარაკა კიდეც, მაგრამ რა უნდოდა და რას ეძებდა, ბოლომდე ვერც კი გავიგეთ.

ᲐᲮᲚᲐ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲞᲐᲙᲔᲢᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲘᲛ 51 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ. ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲡᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲙᲝᲜᲗᲮᲖᲔ — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲘᲡᲐᲡ კი ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ ᲐᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ. ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲘᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔ

არული კუდიანებს და ევროპულ ფეხბურთს

ზღაპარი-ფანტაზია საფეხბურთო თემაზე

გადრი კეთილაძის ფოტო

ქართული ფეხბურთისთვის აგრერიგ სასურველი აბდელ საბრი (№20) ლოკომოტიველთა გარემოცვაში

ადრე საქართველოში ჭიაკოკონობა ღამეს დიდ ცეცხლს დაანთებდნენ და ამგვარად აფრთხობდნენ ჭინკებს. ნუ დაფრთხებოდნენ, თუ ბიჭები იყვნენ. ცეცხლი ცას წვდებოდა, არემარეს ბოლავდა და ალის (დაეის არა) და ბოლის (ანა „სიტის" მენეჯერის) შემხედვარე, რომელი ჭინკა გამოყოფდა ცხვირს გარეთ.

ზუსტად იმ საცოდავი ჭინკების დღეში არიან ქართული გუნდებიც. ადრე თუ ევროტურნირებზე მონაწილეობა სახელის და პრესტიჟის საქმე იყო, ახლა ევროსარბიელისადმი ინტერესი მკვეთრად დაეცა და ჭინკებისა არ იყოს, ევროპაში ცხვირის გამოყოფისა ეშინიათ ჩვენებურ კლუბებს.

თუკი მაინც გაბედავს ვინმე და ევროსარბიელს დასუნავს, იმგვარად მიაჭიტლაყებს — ხოლმე მავანი ევროპული კლუბი, ქომაგს თვალში ცრემლი და კლუბს კი ცხვირში ძმარი გასდინდება.

ასე ცრემლსა და ძმარში იწრთობა ქართული ფეხბურთი წლიდან წლამდე.

აღარ არის ერთი ცნობილი ქართველი მწერალი, თორემ ჩვეული იუმორით ამას იტყოდა — ცოტა პილპილიც მოაყარეთ მაგ თქვენს ფეხბურთს და ხოშიანი წნილი გამოვაო.

მოყრა-მოფრქვევა რას გვიქვია, ფეხბურთი გვეყოლოს კარგად და პილპილის სახსენებელს გავაწყობთ ლიხსიქეთ და ლიხსაქეთ, მაგრამ პილპილი უშველის ამ საქმეს?!

დიდი-დიდი აეწვათ რამე (ვთქვათ, თვალები) ქართველ ფეხბურთელებს და მინდორზე სირბილს მოუჩქარონ...

ეს არის და ეს, პილპილს მეტი რა შეუძლია.

პილპილი რომ აქვს და მეტი არაფერი (ფული, გავლენა, ინფრასტრუქტურა და ასე...) ერთი ქართული კლუბის პრეზიდენტს, იმიტომაა იკლავს თავს — რად მინდა ევროტურნირი, ევროპა არ გამაგონოთ, ქართულ მინდვრებზეც მშვენივრად ვგრძნობ თავსო.

ასე რომ, არული ევროპას და ევროპულ ფეხბურთსაც, სხვათა შორის.

ასი, ასი, ასლამაზი...

ასე ერთი გამოცანა და ერთიც საბავშო სიმღერა იწყება ჩვენში.

ფეხბურთთან არც ერთია მოსატანი და არც მეორე. გამოსაცნობიც გამოგვიცნეს უკვე და თუ ჩვენი ფეხბურთის შემხედვარეს კიდევ ემღერება ვინმეს, მისი საქმე ქართულ ფეხბურთზე ცუდად ყოფილა. სიმღერას და გამოცანას არა და, ასთავიან დევს კი ჰგავს ჩვენებური ფეხბურთი. ყოველ წელიწადს ოთხ-ხუთ თავს მაინც რომ აჭრიან ევროპელები, მაგრამ საქმეში ხარ?! ახალი ევროსეზონის წინ ისევ წამოყოფენ ხოლმე თავებს ქართული „დინამოები", „ლოკომოტივები", „ტორპედოები", „კოლხეთები", „ბათუმები" და საქმეშემოღლეტილმა ევროპელებმაც მეტი რა იციან — კაფავენ, კეპავენ და ცოდვას ცოდვაზე ითვლიან (ჩვენების კარში გატანილი გოლებივით).

მაგათ რა იციან, უკვდავია ქართული გენი (საფეხბურთო)!

მოვა დრო და გაბრწყინდება ივერია (საფეხბურთო)!

კომბლე რა კაციაო...

კომბლე რა კაცია, ყველამ იცის — კომბლესა თლის და ჭერში აწყობს. ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი რას წარმოადგენს, ეს არის საინტერესო.

ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი კომბლებს ნამდვილად ვერ დათლის. ჯერ ერთი, ხე-ტყის უკანონო ჩეხვაზე „სროკია" (კომბლე ბრაკონიერია) და მეორეც, კომბლების თლისთვის სად სცალიათ, ქართველი მწვრთნელები ქართული ფეხბურთის ახალ — ახალ გამარჯვებებს სჭედავენ.

მერე რა, რომ ხანდახან „ბაიერის", „ბოტევის", „ბოავიშტას", „ბრაგას", „ვლაჟნიას", „ცრვენა ზეზდას", „ცემენტრნიცას", „ტილბურგის", პაოკ-ის, აეკ-ის (მაინც რამდენია, კაცო) მწვრთნელები ჩაუტარებენ ხოლმე ჩვენებს სამწვრთნელო სემინარებს, მაგრამ ეს არაფერი — მიეცით ჩვენებს აბდელ საბრის დონის ფეხბურთელები და ყველას მოუგებენ.

სად იყვნენ „ბაიერის" მასწავლებელი დაუმი, ანაც პაოკ-ის თავკაცი ჰაანი, პაიჭაძე და მესხი რომ ბურთს აგორებდნენ...

ნურავის დაავიწყდება, რომ ქართველი მწვრთნელები პაიჭაძის და მესხის შთამომავლები (არაპირდაპირი, საფეხბურთო) არიან და იცით, ეს რას ნიშნავს ფეხბურთში?

ახლა კოვერჩანო? იცით, რა მაგრად აითვისეს იქაური სემინარები ჩვენებმა?

ცოტაც მოითმინეთ, ქვეყანა ფეხზე დადგება, სტაბილურობას კეთილდღეობა მოჰყვება და მერე ნახეთ... რა ბადე გაუძლებს ჩვენი მწვრთნელების დამოძღვრილ ფეხბურთელებს. დაგლეჯენ და დაფლეთენ ყველაფერს.

ჰო-ჰო, რამდენიმე შეკვეთა მიუვა ქუთაისის აბრეშუმკომბინატს?

მერე ბოსკამპები ვიღას ენდომება. აქეთ დაგვიდგება რიგი მწვრთნელებზე, „კუჩხი ბედინერში" რომ მეკვლე პაჭუა, იმისავით.

ახლა რომაა, ისე კი არ იქნება. 7:0-ებს და 6:1-ებს იქეთ მოვუგებთ პაოკ-აეკ-ებს და გვდიონ მერე კუდში... პაჭუს ბროლია რომ დასდევდა, ისე...

ერთი დარტყმით მოვკალ შვიდი...

შვიდი არა, ორმოცდაშვიდი. რა ბიჭიც ამ სიტყვების მთქმელი მძლეთამძლე იყო, ის გარდანქეშანები არიან ქართველი ფეხბურთელებიც.

მაინც რა მაღლიან ტყუილს ბეგრებენ ხოლმე, აბდენი ტყუილების ვორეგბას, ბურთი „ბორთ არ ერჩენიან" — ვიყავი და პიროტებზე ვერ შეეთანხმეთ, — ჩავედი და მივხვდი, რაღაცას მიჩალიჩებდნენ, — რასაც დამპირდნენ, ვერ ასრულეს, — მაგრად მოვეწონე, ის კი არა, ორი-სამი კიდევ მეხვეწებოდა, ჩვენთან ითამაშეო, მაგრამ... დაახლოებით, ასეთ პასუხებს იძლევიან უცხოეთმოვლილი ქართველი ფეხბურთელები, როცა მორიგ ღრიტინ-ვოიაჟს ჩაფლავებენ და მრავალტანჯულ ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდებიან.

კარგი, ბატონო, იარეთ და ხოცეთ მძლეთამძლესავით რაც ბუზებია, მაგრამ იმ კლუბების სახელები მაინც გვითხარით, ვისაც უარს ეუბნებით, რომ მივიდეთ და კაცური სამძიმარი ვუთხრათ, დაკარგული ქულების, მილიონების და ნიჭიერი ფეხბურთელების გამო.

შაბაშ, „დინამო" აღარ არის?

ბატონი ავად გამხდარაააა... ქართული ფეხბურთის ბატონი და უცვლელი ჩემპიონი გამხდარა ავად. რეგისტრაციის ვადა გასვლია, ჰაერშია გამოკიდებული, ვალები მოსწოლია და ან გავაუქმებთ, ან დავაქვეითებთო. აი, ხათა და უხერხულობა, აი, ჭირი და ცუდი ამბავი. რას ჰქვია, გააუქმო. გაუქმო რა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაა?

არა, „დინამო, „დინამოა", მაგრამ მაინც უნდა დაიშალოსო, ბევრი ცოდვები აწევს, ძველი, ახალი, მძიმე, მსუბუქი და ამიტომო...

მერე რა იქნება, მერე! ვინაა პატრონი, აღადგენს ვინმე, თუ მისით აღდგება ქვეყნის ათგზის ჩემპიონი და ეროვნული ფეხბურთის მშვენება?!

აფსუს, ბეკეკო, რა ტყუილად გამოგჭრეს ყელი? თუკი მაინც უნდა გაუქმებულიყო, დაქვეითებულიყო და ასე შემდეგ, იმ ცხვარს რაღას ერჩოდნენ. აკლდა ცოდვა „დინამოს", ცხვარისაც რომ არ დამატებოდა?

დასასრული

ყველა ზღაპარი კარგად მთავრდება. ჭირი იქა, ლხინი აქაო. ქართული საფეხბურთო ზღაპრისა რა მოგახსენოთ. სად ჭირია და სად ლხინი, ყველამ კარგად უწყის. 0:7ები და 1:6-ები ყველაფერზე დიდებულად მეტყველებენ. ამგვარად თუ გაგრძელდა, ეს ანგარიშებიც სანატრელი გახდება და ქართული ფეხბურთიც მართლა ზღაპრებშიღა იარსებებს.

ახლა კი ასე დავამთავროთ — კინი იქა, კარეუ იქა, ზაჰოვიჩი იქა, ვეა იქა... ინგლისელებს და იტალიელებს, ესპანელებს და გერმანელებს არ ვადარებთ ჩვენ ფეხბურთელებს, მაგრამ სად იყვნენ ირლანდიელები, ნორვეგიელები, სლოვენიელები, ლიბერიელები, როცა პაიჭაძე და მესხი ბურთს აგორებდნენ?

მარტო და სულ „ჭირი აქა", რატომ, კაცო!

კონსტანტინე გოგიშვილი

გიორგაძე საოპერაციო მაგიდაზე, გოროზია — საწოლში

გადრი კეთილაძის ფოტო

გია გიორგაძე (ბურთით)

ოთხშაბათს ფოთში გამართულ „კოლხეთი" — თსუ-ს მატჩში ზღვისპირელებს ორი მცველი დაუშავდათ — გია გიორგაძემ მხარი მოიტეხა, კახაბერ გოროზიამ კი ტვინის შერყევა მიიღო. როგორც გავიგეთ, გიორგაძეს ლავიწის ძვალი ჰქონია გატეხილი და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს, ფოთელთა კაპიტან გოროზიას კი ახლო მანძილიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი სახეში მოხვედრია და მინდორზე უგონოდ დაცემულა.

ეს არასასიამოვნო ამბავი ფოთის „კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამაც დაგვიდასტურა:

— ორივეს ტრავმა სერიოზულია, განსაკუთრებით — გიორგაძის. მას ლავიწის ძვალი აქვს გატეხილი. გიორგაძე საოპერაციო მაგიდაზე, გოროზია — საწოლში იგი ქობულეთში გვყავდა ხაბაზთან, რომელმაც პირდაპირ გვითხრა, მე ვერაფერს ვუშველი, გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებაო. თუ ფოთში მოხერხდა ოპერაციის გაკეთება, მაშინ აქ გაიკეთებს, თუ არა და ორშაბათს ქუთაისში ან თბილისში გადავიყვანთ.

რაც შეეხება გოროზიას, მას ექიმებმა 10-დღიანი წოლითი რეჟიმი გამოუწერეს. კახა, ალბათ, ათ-თორმეტ დღეში შემოგვიერთდება, აი, გიორგაძის ტრავმა კი ძალიან გვაფიქრებს. გია სულ ცოტა ერთი თვე, მეტი თუ არა, ვერ დაგვეხმარება. რა უნდა ვქნათ, ძალიან საწყენია, მით უმეტეს, ახლა, როცა „ტორპედოსთან" გვიწევს თამაში. ეს თამაში ხვალ ქუთაისში გაიმართება. თუმცა კიდევ გვეგულება ხალხი, ვისაც მათი სრულფასოვანი შეცვლა შეუძლია.

ფოთელთა კიდევ ერთი ტრავმირებული ფეხბურთელი, ელდარ გვასალია, როგორც იცით, წელს იტკივებს:

— ელდარი ახლა თბილისშია და მკურნალობს. შემეხმიანა და მაცნობა, ნემსებს ვიკეთებო — დასძინა ტყებუჩავამ.

სამაგიეროდ, ვარჯიში განაახლა გელა ფანჩულიძემ. იგი „კოლხეთში" ისრაელიდან მობრუნდა, მაგრამ ჯერჯერობით არ უთამაშია. მიზეზი მუხლის ტრავმაა. ტყებუჩავასვე ცნობით, ფანჩულიძემ ფეხი მოირჩინა და გუნდთან ერთად ვარჯიშიც განაახლა.

გიორგი ვაშაკიძე

ელისტიდან ფული მოდის

ხელოვნურად შექმნილი პრობლემა

„არსენალმა“ წლეულს „დინამოსთან“ მოგებით გაიხარა

ბუთაევ ფოტოლაბორატორიის ფოტო

დღეისთვის ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორებს ერთი დიდი პრობლემა გასჩენიათ. ამ პრობლემას თბილისის „არსენალი“ ჰქვია.

რასაც არმიელები აკეთებენ, იმას დეზერტირობას ვერ უწოდებს კაცი. მას კუთვნილის მიღების ერთ-ერთი ხერხი ჰქვია. ახლა რა მნიშვნელობა აქვს, სწორია თუ არა ავლაბრელთა მიერ არჩეული გზა, მთავარი ის არის, რომ ფეხბურთელები თავიანთი შრომის საფასურს ითხოვენ.

ვინ უნდა გადაიხადოს ის ფული? რა თქმა უნდა, კლუბის პატრონებმა, მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ.

„არსენალი“ ერთხელ უკვე გადაურჩა გათამაშებიდან მოხსნას. „ვიტ ჯორჯიამ“ თამაშზე უარი არ განაცხადა, თორემ ავლაბრელებს ვერც ფედერაციის პრეზიდენტი უშველიდათ და ვერც გენმდივანი.

25 სექტემბერს დიდი ვნებათაღელვა იყო „ისანზე“. „არსენალი“ სათამაშოდ არ გამოდიოდა. ვის არ ნახავდით ავლაბარში. ყველა იქ იყო, მასპინძელთა კლუბის თავკაცთა გარდა.

ვთქვათ, იმ დღეს საპატიო მიზეზი ჰქონდათ, წინა დღეებში სად იყვნენ, ანაც თამაშის მერე? მეორე-მესამე დღეს მაინც შეხვედროდნენ გუნდს.

თქვენც ნუ მომიკვდებით, გაფიცულ ფეხბურთელებთან არც ერთი ხელმძღვანელი არ მისულა. უცნაურად იქცევა არმიელთა მთავარი დამრიგებელი დავით ჩახავაც. მწვრთნელი ბოლო ხანებში მხოლოდ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩისას გამოჩნდა „ისანზე“, მერე ისევ დაიკარგა.

ფეხბურთელები კი სავარჯიშოდ დაიარებიან, ზოგს მდგომარეობის გამოსწორების იმედი აქვს, ზოგიც ფორმის შესანარჩუნებლად ღვრის ოფლს. ხელმძღვანელობა და მწვრთნელი კი არ ჩანან.

კლუბის საშინაო სამზარეულოს თუ ვინმე იცნობს, იცოდეთ, ფეხბურთელმაც არანაკლები უწყის. ჰოდა, იციან რაღაც ფეხბურთელებმა და ბობიქრობენ, კუთვნილი მოგვცენ, თორემ ისეთ ამბავს ავტეხთ, სკანდალი მონაგონი იქნებაო.

„არსენალის“ ფინანსური გასაჭირი, სხვისი არ ვიცით და ჩვენ ხელოვნურად შექმნილი გვგონია. ავლაბრელებს ფული არ უნდა გაუჭირდეთ. ეს იცის „სარბიელმა“ და გვიკვირს, რატომ არ იციან კლუბში. დღედღეზე „არსენალი“ 30 ათას დოლარს მიიღებს.

ეს თანხა (დროებით მაინც) საკმაოზე მეტია. ფეხბურთელების დავალიანება მთლიანად დაიფარებოდა და გვარიანიც გადარჩებოდა.

საქმეში ახლავე დეტალურად გაგარკვევთ. იქნებ ბევრს ახსოვს კიდეც, „არსენალმა“ ირაკლი გემეზაშვილი რუსულ „ურალანს“ რომ მიჰყიდა. სხვა ამბავია, რატომ არ თამაშობს „ურალანში“ ჩვენებური, მაგრამ კონტრაქტი თავის დროზე ყველანაირი კანონის დაცვით გაფორმდა. ელისტელები, რაკი გემეზაშვილი გუნდიდან დაითხოვეს, ავლაბრელებს კუთვნილ ფულს არ უხდიდნენ. „არსენალმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით უეფაში უჩივლა „ურალანს“ და საქმეც მოიგო. ამით დაშინებული ელისტელები აქეთ იხვეწებიან, ოღონდ ნუ გაართულებთ საქმეს და ფულს ამ დღეებში მოგართმევთო.

ეს ამბავი ფეხბურთელებმა იციან და ახლა „არსენალის“ დაშლას არაფრით დაუშვებენ — ეს რომ მოხდეს, ელისტიდან მოსული ფული, ღმერთმა უწყის, სად წავაო.

ამიტომ გაიძახიან ავლაბრელები, „ბათუმთან“ აუცილებლად ვითამაშებთ, უსიკვდილოდ გავემგზავრებით, თუნდაც ჩვენი ხარჯებით მოგვიხდეს წასვლაო.

ახლა იმასაც ამბობენ, გარკვეულ პიროვნებებს გუნდის დაშლა ხელს აძლევთ, მერე კი... ჯერჯერობით აქ შეეჩერდეთ, დანარჩენი მერე იყოს. იქნებ ყველაფერი სკანდალის გარეშე გასწორდეს, სანთელ-საკმეველი კი თავის გზას არ დაკარგავს.

მამუკა კვანტალიანი

ფული ისარჯება, მოგება არ ჩანს...

საქართველოა, ბიძია, ეს!

„ლოკომოტივი“ — პაოკ 0:7. ქართული გუნდების ყველაზე დიდი ანგარიშით წაგება შინ

ბადრი კეთილაძის ფოტო

— რა ქნა „ტორპედომ“? — გუშინწინ ღამე რედაქციაში ათამდე სატელეფონო ზარი გაისმა. რეკავდნენ ქუთაისური კლუბის თავგადაკლული ქომაგები.

— რა ამბავია ხო — გულგატეხილები და გაბრაზებულები ჰკიდებდნენ ყურმილს.

— „ლოკომოტივმა“ 0:2 წააგო? — გაოცებისგან ხმა ჩაუვარდა ვილაცას.

— დიდი მიხვედრა არ უნდა, დაგვინდეს, ალბათ, შევეცოდეთ და მეტი აღარ გაგვიტანეს. ფუი, სამათხოვროდ გვაქვს საქმე.

ვისმენდით მსგავს ფრაზებს და გული გვწყდებოდა, ვერაფრით ვანუგეშებდით ფეხბურთის ქომაგებს.

რა უნდა დაარქვა ამას? მორიგი სირცხვილი, თავის მოჭრა თუ... ეს არც სირცხვილია და არც თავის მოჭრა. ეს არის ძალიან ცუდი, ჯერაც გამოუთქმელი და უნახავი.

ევროპაში არ დარჩა გუნდი (რა თქმა უნდა, ქართულ კლუბებს არ ვგულისხმობ), რომელიც 7-8 ბურთით აგებს თამაშს. რის სან მარინო, რა ფაერერები, ბურთის გორება მათაც ისწავლეს, მათი ნაკრებები კაცურად იბრძვიან, ჩვენები კი...

„ტორპედო“ რომ გათამაშებას გამოეთიშებოდა, ამას რა ბევრი ფიციმტკიცი სჭირდებოდა, მაგრამ... ან „ლოკომოტივისგან“ რა იყო მოსალოდნელი.

სიმართლე გითხრათ, პირადად მე უკვე აღარ ვიცი, ვინ არის დამნაშავე და სად არის გამოსავალი. ის ხალხი, ვისაც ცოდნა აქვს და საქმის კეთება შეუძლია, ხელოვნურად თუ ბუნებრივად ფეხბურთსაა ჩამოშორებული. დილეტანტობამ და ფულის უაზროდ ფანტვამ კი რა შედეგი მოგვიტანა, თავადაც ხედავთ.

ქართული ფეხბურთის უბედურება საფეხბურთო მეურნეობის მოშლაში, კლუბების არასწორ პოლიტიკაში, მწვრთნელთა არაპროფესიონალიზმში (გნებავთ, უცოდინარობა დაარქვით) და ფეხბურთელთა მოუმზადებლობაშია საძიებელი.

ფული, ფული და ფული... მხოლოდ ეს არის დღეს საწუწუნო ქართულ ფეხბურთში. კი, უფულობას ბევრი კლუბი უჩივის, მაგრამ არა ყველა.

რამდენიმე კლუბის დანახარჯებზე ხშირად საუბრობენ საფეხბურთო წრეებში. ეს არაოფიციალური ვერსიები გახლავთ, ვიღაცას სადღაც (ვთქვათ, სუფრასთან, აბა, ქართველი საიდუმლოს სად გათქვამს), რომ წამოსცდენია და მერე ყველას პირზე აკერია.

ისეთ თანხებზეა ლაპარაკი, რომ თმები ყალყზე დგიდგებათ. არა, ევროპულ დონეს ვერ შეადარებ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ 700 ათასი დოლარი (თუნდაც ფუნტი) სამასხროდ არ ეყოფა, მაგრამ საქართველოსთვის ხომ ძალიან დიდი ფულია. ბევრი ჩვენი გუნდისთვის ამდენ ფულზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია, ზოგიერთი კი თურმე ექვს თვეში ხარჯავს.

მაშ, რა ჯანდაბა და დოზანა სჭირთ, რატომ ვერ თამაშობენ? მიზეზი ზემოთ მოგახსენეთ, არცოდნა და მეტი არაფერი. ეს ის არცოდნა არავის ეგონოს, არცოდვაარ, რომ თქმულა, არამედ ისეთი უცოდინარობაა, ქართული ფეხბურთის მიმართ მეტ ცოდვას რომ ვერავინ ჩაიდენს.

ვის მოუბრუნდება ენა და ვინ იტყვის „ტორპედოს“ ხელმძღვანელებმა გუნდს რამე მოაკლესო. ხელფას-პრემია დაუგვიანებელი, საჭმელ-სასმელი თავსაყრელი, ბაზა და უცხოური შეკრება ინებეთ, ბატონებო (სხვა ხარჯებზე არას ვიტყვით. თითქმის ორჯერ გაკეთებული სტადიონი, განათება, ავტობუსი, თვითმფრინავი, ორი ჩარტერი და ასე შემდეგ).

კიდევ რა არის ფეხბურთის სათამაშოდ საჭირო?! არ მითხრათ ახლა, ტრუს-მაისურა და ბუცებიო. ესენი, ავად თუ კარგად, ყველა გუნდს მოეძევება. საჭიროა მწვრთნელი და ფეხბურთელი. მწვრთნელმა უნდა ასწავლოს, ფეხბურთელმა კი ნასწავლ-დამუშავებული მინდორზე გამოიყენოს.

ჩვენს ფეხბურთელებს ნასწავლ-დარიგებულის არაფერი ეტყობათ, ისევე, როგორც ჩვენს მწვრთნელებს არ დაღარვიათ შუბლი ჭმუნვა-ფიქრით.

მე არაფერს ვამბობ უზადო ტექნიკასა და თანამედროვე ტაქტიკაზე, ის კი ძალიან მიკვირს, რა სჭირთ ფეხბურთელებს ისეთი უსაშველო, თამაშში 15 წუთის მეტს რომ ვერ დარბიან, მერე მათ მოძრაობას სირბილი არ ჰქვია, ამას საქართველოში ლასლასს უწოდებენ.

აბა, დღეს ფიზმომზადებაზე და გამძლეობაზე ვინ წუწუნებს. თუ თანამედროვე ფეხბურთის ფერხულში სარ ჩაბმული, ეს თავისთავად იგულისხმება.

მაშ, რატომ ვერ დარბიან ჩვენი ფეხბურთელები? პასუხი მარტივია, ისინი ან არავის მოუმზადებია, ანაც მათი ორგანიზმი მეტს ვერ იტანს და ბურთი და ვარჯიში კი არა, ექიმი და საავადმყოფო სჭირდებათ. თუმცა, მე თუ მკითხავთ, მიზეზი პირველი უფროა, ვიდრე მეორე.

ბევრს რომ ჰკითხო, „ტორპედომ“ ქუთაისში აეკ-თან კარგად ითამაშა. შინ, თუნდაც მინიმალური ანგარიშით მარცხს რომ „კარგად“ დაარქმევ, მაშინაა საქმე წამხდარი.

ვისაც არ სჯერა, ვურჩევთ, იმ თამაშის ჩანაწერი ნახოს კიდევ ერთხელ მიმხვედრი მიხვდება, რომ ფეხბურთი „ტორპედომ“ მხოლოდ საწყისი 15-20 წუთი თუ ითამაშა. მერე ძალები არ იყო და...

ქუთაისში თავი არც მეტოქეს გამოუდვია, ითამაშა აეკ-მა ისე რა, რომ ითქმის. მათ საყაიმო ანგარიშიც ხელს აძლევდათ. ორი კვირის შემდეგ კი — 6:1. ისე, ანგარიში კია ბაიერულ-ბრაგა-ბოავიშტური.

„ლოკომოტივისა“ კი სულ ვერაფერი გაგვიგია, უფრო — კლუბის ხელმძღვანელობისა. მესმის, რომ ეს ჩალხი ფეხბურთში მისმა სიყვარულმა მიიყვანა, მაგრამ მარტო სიყვარულით საფეხბურთო მეურნეობას ვერ გამართავენ.

„ლოკომოტივს“ ფეხბურთის მცოდნე სპეციალისტი სჭირდება, როგორც სამეურნეო საქმიანობაში, ისევე გუნდში. მათ ხურცილავამ ვერ უშველათ (ან როგორ უნდა ეშველათ) და ვერც მახარაძე დააყენებთ ფეხზე.

ფული მაინც იხარჯება და ევროპა სავსეა მცოდნე სპეციალისტებით. კარგი საკლუბო მწვრთნელი, ისეთი, ჩვენი კლუბების პრეზიდენტები ვერაფერს რომ ვერ დაუწუნებენ, წელიწადში 200 ათასი დოლარი ჯდება. 20 ათასით მეტი, ანაც ნაკლები, საქმის ვითარებას ვერ შეცვლის.

ჰოდა, თუ საქართველოში მცოდნე და საქმის მკეთებელი სპეციალისტი ვერ მოიძებნა (ანაც არის, მაგრამ ხელს არ აძლევთ), მაშინ მაინც იხარჯებიან ოთხმაგად — ხუთმაგად და მწვრთნელის ჩამოყვანა რა პრობლემა გახლ, გაუგებარია.

იქნებ სულაც არ არის პრობლემა, მაგრამ...

ის „მაგრამ“ უკვე სპორტული პრესის საქმე არ არის, მით უმეტეს, ჩემი.

მამუკა კვანტალიანი

გაცხ(ვ)არებული ჩემპიონატი

ბადრი კვირკელიანის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელი „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“ სტუმართა გამარჯვებით 1:2 მორჩა

გამოგვიცხვარდა ჩემპიონატი. საძოვრებს დამსგავსებული ქართული მოედნები ცხვრების სასაკლაოდ გადაიქცა და იქ ბურთის გორება სიმბოლური გამხდარა. ქულის უბრძოლველად აღების უმარტივეს მექანიზმს მიაგნო ქართული ფეხბურთის ერთმა ხმაურიანმა წარმომადგენელმა. ამ აღმოჩენაზე საავტორო უფლებაც თუ დროულად გააფორმა იუსტიციის სამინისტროში, სულ ცოტა ხანში იმდენი მილიონი ეჭნება, რამდენი ცხვარიც დაღოღავს შირაქისა და ელდარის საძოვრებზე. ნობელის პრემია თუ არა, უეფას სოლიდური ფულადი ჯილდო მაინც ეკუთვნის ამ კაცს. ჩემი ნება რომ იყოს, მის მოხდენილ ნათქვამს საფეხბურთო სამყაროს წლის ფრაზად ვაღიარებდი. ვიცი, ცნობისმოყვარეობის ჭია შეგიჩნდათ და ერთი სული გაქვთ, როდის ამოიკითხავთ სიტყვებს, ჩემი და არა მარტო ჩემი მოწონება რომ დაიმსახურა. სხვათა შორის, „სარბიელი“ ექსკლუზიურ უფლებას ფლობს ავტორისგან და გვაქვს პატივი, შავით თეთრზე დაწერილი პირველებმა მივაწოდოთ ერთგულ მკითხველს. ოღონდ ერთი პირობით — ავტორის ვინაობის გამხელისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

— ეს რა ქნა კორღალიძემ?! ცხვარი დაკლა თამაშის მოსაგებად. ახლა რომ ადგეს „დინამოს“ მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელი და იგივე გააკეთოს, ხომ დამთავრდა შეხვედრა ფრედ...

ვერაფერს იტყვი, მართლაც შესაშური მიგნებაა. ისეთი, ბარე ორს აზრადაც რომ არ მოუვა და ახლა შესაძლოა, ნანობს კიდეც. ასეთი კი სულ ცოტა ოთხი კაცი მეგულება. ისინი, რომელთა გუნდებიც ზედიზედ შემოემარცხა „დინამოს“ ცხვრის შეწირვის შემდეგ.

ზემოთქმულის მიუხედავად, ერთი ფაქტი უნდა ვაღიაროთ. მარადი ჩემპიონის შელახული ინტერესებიდან გამომდინარე, მასთან ფრის მიღწევის უმარტივესი მეთოდის გამხელისგან თავს ვიკავებდით, თუმცა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ინფორმაციამ ნაადრევად გაჟონა (მტრები ჰყავს, ბატონო, ქართულ ფეხბურთს) და ისეთმა კლუბებმა, როგორც „ბათუმი“, თსუ და „მერანი“, მეთერთმეტე ეროვნული ფრეების კარნავალად გადაქციეს. ამ საქმეში კი ჯანი კარნევალეს ბადალი არ ჰყავს. ბათუმელთა იტალიელმა მწვრთნელმა ხუთი ცხვრის, უკაცრავად, ხუთი ფრის გაგორება შეძლო.

მოდი ახლა და თუ ბიჭი ხარ, პირველი წრის ბოლო, მეშვიდე ტურის მატჩების ანონსი წერე და გამოიცანი, რა შედეგით დამთავრდება ესა თუ ის შეხვედრა. რა ვიცი, ახლა რომელი მწვრთნელი გაიქცევა საქართველოს მთიან რაიონში და ხელმისაწვდომ ფასში შეიძენს რძიანი ბალახით ნაპატივებ ცხვარს. კი, ბატონო, ვიტყვი, რომ რვავე მატჩი ფრეთ დასრულდება, მაგრამ რომელიმემ ორი ან მეტი ცხვარი რომ გააგოროს ბაზაზე, ხომ ჩამივარდა კოზი ნაცარში. ჯვარი სწერია და ცხვრებს რა გამოლევს შირაქისა და ელდარის საძოვრებზე.

ხომ ხედავთ, ცხვრისა და ფრის თეორემაც ვერ არის ნიუტონის კანონებივით შეუცვლელი და მარადიული. მასზეც მოქმედებს აინშტაინის ფარდობითობის თეორია და მისი პრინციპიდან გამომდინარე, ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია. ჩემი ფანტაზიის უნარი ახლოსაც ვერ მივა ზოგიერთი მწვრთნელის გამომგონებლობის ნიჭთან და ნუ დაუშვებს მამაზეციერი, თორემ ცხვრის კი არა, დეკეულის მსხვერპლად შეწირვის ფაქტებიც მრავლად ყოფილა აღრეულ საქართველოში...

ამდენი ლაპარაკის მერე თან საქმეო, მირჩევს კეთილისმსურველი. ეჰ, საქმე მოედანზე აკეთონ ჩვენმა მწვრთნელ-ფეხბურთელებმა და იმედი ჰქონდეთ, საქებარი სიტყვების წერისაც ისე გამექცევა კალამი, როგორც გაცხვარებული ჩემპიონატის განვლილი პერიპეტიების აღწერისას.

ხვალ და ზეგ პირველი წრე გაიჯახუნებს კარებს და გათამაშების ბევრი მონაწილე შეეცდება, კარს გარედან მოექცეს.

„ა“ ზონის ცენტრალურ შეხვედრად „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივის“ პაექრობა მოვნათლეთ და ეს ამბავი სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება. მართალია, რკინიგზელები ცხრილის ბოლო საფეხურს მკვიდრობენ, მაგრამ, წესით და რიგით, „ლოკომოტივს“ კრიზისი დაძლეულად უნდა ჩაეთვალოს. გუნდში ხომ თემურ მახარაძე დაბრუნდა და ნაცნობ გარემოში განახლებული მუშაობა, უეჭველია, ნაყოფსაც მალე გამოიღებს. ასე რომ, ვიტელებს ძალიან გაუჭირდებათ 3 ქულის მოპოვება. არადა, გამარჯვებისთვის, ბევრისგან განსხვავებით, ორმაგი სტიმული აქვთ. როგორც იცით, „ვიტ ჯორჯიას“ ამ დღეებში ამერიკელი სპონსორი ესტუმრა თავის პარტნიორ, ფირმა „ნუთელას“ წარმომადგენელთან ერთად. მასაც სერიოზული მიზნები დაუსახავს ვეტერინართა გუნდის მიმართ და ფეხბურთელებიც თავს არ დაზოგავენ, რათა ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებლის მესვეური ასიამოვნონ. სამაგიეროდ, მომავალში „ნუთელას“ პროდუქტებით დატკბობა არ მოაკლდებათ სერგო კოტრიკაძის შეგირდებს. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

ამავე ზონის დანარჩენ სამ შეხვედრაში მასპინძელთა გამარჯვებებს უნდა ველოდოთ. ისე, სიურპრიზის შემოთავაზება „სამგურალს“ ძალუძს, მაგრამ თუ წინა მატჩში გაძევებული ირაკლი ხაჭაპურიძის ამბავს გავიხსენებთ, სასწორი თბილისელთა მხარეს იწევს.

ფინანსურად შეჭირვებული „არსენალი“ ბათუმში თითქმის უშანსოდაა. მასპინძლებს ხუთი ტურია, თამაში არ მოუგიათ. არადა, ჯანი კარნავალეს გუნდმა მე-6 ტურში ბოლნისში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ რაც „თემურ სტეფანიაზე“ გამარჯვებისთვის დაკლდათ აჭარლებს, საკუთარ კედლებში საკმარისი ექნებათ და ცხრილის მეორე საფეხურზეც აინაცვლებენ.

ამ საქმეში კი „ბათუმს“ „დინამო“ შეუწყობს ხელს. მარადი ჩემპიონი ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას სათუოს არ გახდის და სიდამონიძისა და სოლოღაშვილის გარეშე ნასტუმრევ „სიონს“, ალბათ, იოლად შეუსრავს...

„ბ“ ზონაში დასავლეთ საქართველოს ბოლოდროინდელი ტრადიციული ჯახი გველის. აეკ-ზე გამწარებული „ტორპედო“ ახლა ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიც თავის დროზე „ცრვენა ზვეზდასგან“ დაჩაგრული „კოლხეთი“ იყო. ამით თუ ისარგებლებენ კვირას ფოთელები, თორემ დავით ყიფიანის გუნდი საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაციას შეეცდება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასე ადვილად ვერ მოიგებენ ქუთაისელ ქომაგთა გულებს, რომლებსაც კიდევ კარგა ხანს გაჰყვებათ სირცხვილნაჭამი „ტორპედოსგან“ მიყენებული წყენა. ჩემპიონატში დადკარგული თითოეული ქულა იმერლებისთვის ყოველთვის ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი იქნება და რაც უფრო გვიან მოხდება ასეთი რამ, მით უფრო უკეთესი ტორპედოელებისთვის. ეს ფეხბურთელებსაც კარგად ესმით, თუმცა მოწინააღმდეგის ყოფა არც კოლხთათვისაა დაფარული და ისინი შეეცდებიან, მომენტი გამოიყენონ. წყალი მაინც მასპინძელთა წისქვილზე ასხამს, რადგან წინა ტურში ფოთელებს ორი ძირითადის მოთამაშე — გიორგაძე და გოროზია დაემტვრათ. უიმათოდ კი სტუმრებს ძალიან გაუჭირდებათ აწყობილად თამაში.

„იბერია“ — „ხობის“ წყვილში სამტრედიელებმა უნდა იმარჯვონ, თუ, რა თქმა უნდა, „ბ“ ზონის ოთხეულში მოხვედრის სურვილი აქვთ. სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორეო, იტყვით, მაგრამ იმერლებს ახლა ნამდვილად შესწევთ ხობელთა დამარცხების ძალა. სოსო ფრუიძის გუნდები ყოველთვის სეზონის შუაწელში აღწევდნენ ხოლმე სასურველ კონდიციამდე და ნელ-ნელა უმატებდნენ წინსვლას. ბურთი მრგვალია და სტუმართა შანსიც მის უდიდებულესობა შემთხვევას უკავშირდება...

ორი გუნდი გვყავს ისეთი, ჯერ ერთი შეხვედრაც რომ არ მოუგია. ფრეების დიდოსტატები — „მერანი“ და თსუ მე-7 ტურში შინ თამაშობენ. მათი მოწინააღმდეგეების — „დილასა“ და „გორდას“ ძალებს თუ შევაფასებთ, ერთი რამ ნათელია: ტრანსპორტელებსაც და სტუდენტებსაც გაუჭირდებათ ნანატრი გამარჯვების მოპოვება. „სინათლეზე“ და მცხეთაში ფრის ნაცნობი სუნი იტრიალებს და რაიმეს შეცვლა საძნელო საქმე იქნება.

თითქოს რეალურად შევაფასე ვითარება, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამიტომაც არ გამიკვირდება, თუ მოვლენები სხვაგვარად განვითარდება. არც ის, ვიღაცამ სიცილით ორშაბათს რომ თქვას — გაიგეთ, იმ გუნდის ბაზაზე დეკეული დაუკლავთო...

ხვიჩა სანიკიძე

თბილისი. „ეროვნული“. 2 ოქტომბერი. 16 საათი

თბილისი — სამგურალი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

ბათუმი. „დინამო“. 2 ოქტომბერი. 16 საათი.

ბათუმი — არსენალი

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); **სფფ-ის დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 2 ოქტომბერი. 16 საათი

იბერია — ხობი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ა. კრიჭაშვილი, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის დელეგატი:** მ. მიმინოშვილი

თბილისი. „სინათლე“. 2 ოქტომბერი. 16 საათი

მერანი — დილა

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

მცხეთა. „არმაზი“. 2 ოქტომბერი. 16 საათი

თსუ — გორდა

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; დ. ხარიტონაშვილი(ყველა თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

თბილისი. „ეროვნული“ 3 ოქტომბერი. 16 საათი

დინამო — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ასკაროლი, გ. მარღიშვილი (ორივე ქარელი); ს. შალამბერიძე (თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

მცხეთა. „არმაზი“. 3 ოქტომბერი. 16 საათი

ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: ს. კახიანი; ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

ქუთაისი. „ტორპედო“. 3 ოქტომბერი. 16 საათი

ტორპედო — კოლხეთი

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ერქვანია (ზუგდიდი); **სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 დინამო	6	4	0	2	10:6	4	12	2	2	0	0	7:2	5	6	4	2	0	2	3:4	-1	6
2 ვიტ ჯორჯია	6	3	1	2	7:4	3	10	2	1	0	1	3:1	2	3	4	2	1	1	4:3	1	7
3 ბათუმი	6	1	5	0	2:1	1	8	3	1	2	0	1:0	1	5	3	0	3	0	1:1	0	3
4 სიონი	6	2	2	2	4:6	-2	8	4	2	2	0	4:2	2	8	2	0	0	2	0:4	-4	0
5 სამგურალი	6	2	1	3	3:5	-2	7	4	2	0	2	3:3	0	6	2	0	1	1	0:2	-2	1
6 თბილისი	5	1	3	1	8:8	0	6	2	1	1	0	3:2	1	4	3	0	2	1	5:6	-1	2
7 არსენალი	6	1	2	3	6:7	-1	5	3	1	1	1	4:3	1	4	3	0	1	2	2:4	-2	1
8 ლოკომოტივი	5	1	2	2	4:7	-3	5	3	1	2	0	4:2	2	5	2	0	0	2	0:5	-5	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	5	4	1	0	12:4	8	13	2	1	1	0	5:3	2	4	3	3	0	0	7:1	6	9
2 კოლხეთი	6	4	0	2	8:7	1	12	4	3	0	1	6:3	3	9	2	1	0	1	2:4	-2	3
3 დილა	6	3	2	1	9:5	4	11	4	3	1	0	7:1	6	10	2	0	1	1	2:4	-2	1
4 გორდა	6	2	1	3	6:6	0	7	4	2	1	1	6:3	3	7	2	0	0	2	0:3	-3	0
5 ხობი	6	1	2	3	6:10	-4	5	3	0	2	1	2:3	-1	2	3	1	0	2	4:7	-3	3
6 იბერია	6	1	2	3	3:8	-5	5	3	1	1	1	2:4	-2	4	3	0	1	2	1:4	-3	1
7 თსუ	5	0	4	1	3:4	-1	4	1	0	1	0	1:1	0	1	4	0	3	1	2:3	-1	3
8 მერანი	6	0	4	2	5:8	-3	4	2	0	1	1	2:3	-1	1	4	0	3	1	3:5	-2	3

ᲮᲣᲗᲘᲗᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ლიდსელებს ... ბ

ლიდსი — პარტიზანი 1:0. ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივს“ ლი ბოუერსი (№11) და მის „ლიდსთან“ მოუწევს ამბიციის დამტკიცება

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ.
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ. 30 ᲡᲐᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

UEFA CUP

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 3:0 ᲚᲘᲣᲜᲒᲑᲘᲣ (ᲓᲐᲜᲘᲐ) (2:1)
1:0 ხარლაჩოვი (20), 2:0 დროზდოვი (43), 3:0 ჯანაშია (44)
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ: ნიგმატულინი, არიფულინი, დროზდოვი, ხარლაჩოვი, ჩერევჩენკო, ჩუგაინოვი, სმერტინი (სოლომატინი 62), პაშინინი, ჯანაშია (მამინოვი 70), ლოსკოვი (სემიონენკო 46), სარქისიანი

ᲓᲣᲙᲚᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ) 1:3 *ᲐᲘᲐᲯᲡᲘ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ)* (1:6)
1:0 მალატინსკი (45), 1:1 არველაძე (47), 1:2 რობსონი (64), 1:3 ლაუდრუპი (90)
ᲐᲘᲐᲯᲡᲘ: გრიმი, ვირკლაუ (კრის კანუ 57), ვერლაატი (ჩივუ 70), ნოიენბერგი, დე კლერი, როიზერი, ობრაიანი, დანი, ლაუდრუპი, მახლასი (არველაძე 33), რობსონი

ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ) 1:3 *ᲠᲝᲢᲓᲐ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ)* (0:2)
0:1 ჩუტანგი (27), 1:1 ბენიო (32), 1:2 ვან დერ ლუერი (82), 1:3 ვან დესელი (89)
ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ: ვირტი, სტაროსტიაკი, ბენიო, პოპოვი, სელეზნიოვი, ორბუ, ნაგორნიაკი (ფოცხვერია 70), შტოლცერსი (ზუბოვი 58), კოტოვი, კოვალიოვი, ვორობეი

ᲚᲘᲔᲠᲡᲘ (ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) 3:4 *ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ)* (0:1)
0:1 ჯამარაული (2), 1:1 ვან მეირი (16), 1:2 ფრიკი (57), 2:2 პისეგემი (71), 3:2 ზდებელი (82), 3:3 ეიდელი (87), 3:4 დემსი (89ს.კ.)
ᲚᲘᲔᲠᲡᲘ: ნიისი, ვან მეირი, ჰოფკენსი, დემსი, პისეგემსი, სნუკი, ლეენი (შეყილაძე 46), სომერსი (პიუსმანსი 62), ზდებელი, ვან დე ვეიერი, კავენსი (პეელმანი 79)
ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ: პასკოლო, ჯანინი (ფრიკი 53), ფიშერი, შტოკლასა, კებე, ეიდელი, დელ სინიორე, სანტანა, კენტინი, ჯამარაული (ყაველაშვილი 79), ბარტლეტი

ᲕᲘᲫᲔᲠᲘ (ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲔᲗᲘ) 2:0 ᲡᲙᲝᲜᲢᲝ (ᲚᲐᲢᲕᲘᲐ) (0:1)
1:0 ვიხნიარეკი (1), 2:0 გესიორი (43)
ᲡᲙᲝᲜᲢᲝ: კოლინკო, სტეპანოვასი, სილაგაძე, ზემლინსკისი, ბლაგონადეჟდინი, რეხვიაშვილი, ბლეიდელისი, რუბინსი, ი. ლაიზანსი, ასტაფიევსი, ჩალაძე

ᲡᲔᲠᲕᲔᲢᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) 1:2დ.დ. (1:1) *ᲐᲠᲘᲡᲘ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ)* (1:1)
1:0 ლონფატი (35), 1:1 ადრიოლი (37), 1:2 კიცერიდისი (95)

ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲒᲘᲣᲯᲘᲣ (ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ) 1:0 *ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲙᲝ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ)* (0:3)
1:0 ალშანჩაკი (84)

ᲑᲠᲘᲝᲜᲓᲑᲘᲣ (ᲓᲐᲜᲘᲐ) 4:3 *ᲐᲛᲘᲪᲐ (ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ)* (0:2)
1:0 მადსენი (37), 1:1 კრიშალოვიჩი (52), 2:1 და სილვა (54), 2:2 კუკიელა (63პ), 2:3 კრიშალოვიჩი (68), 3:3 მადსენი (76), 4:3 კრისტენსენი (78)

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) 5:0 ᲝᲛᲝᲜᲘᲐ (ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ) (5:2)
1:0, 2:0 კოვაჩევიჩი (21, 47), 3:0 ტაკინარდი (55), 4:0 კოვაჩევიჩი (80), 5:0 კონტე (90)

ᲙᲘᲚᲛᲐᲠᲜᲝᲙᲘ (ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 0:2 *ᲙᲐᲘᲖᲔᲠᲡᲚᲐᲣᲢᲔᲠᲜᲘ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ)* (0:3)
0:1 ჯორკაეფი (22), 0:2 რამზი (29)

ᲒᲠᲐᲡᲰᲝᲠᲔᲠᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) 1:1 ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡᲙᲘ (ᲓᲐᲜᲘᲐ) (2:0)
0:1 ჰანსენი (30), 1:1 მარგო (79)

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ) 2:1 *ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ)* (0:3)
0:1 სტანდფესტი (14), 1:1, 2:1 მუჟლაი (45, 70)

ᲜᲐᲜᲢᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 1:0 ᲘᲝᲜᲘᲙᲝᲡᲘ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ) (3:1)
1:0 და როჩა (48)

ᲕᲘᲢᲔᲡᲘ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 0:0 ᲑᲔᲘᲠᲐ ᲛᲐᲠᲘ (�პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ) (2:1)

ᲑᲠᲘᲣᲒᲔ (ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) 4:2 *ᲰᲐᲞᲝᲔᲚᲘ (ᲰᲐᲘᲤᲐ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ)* (1:3)
0:1 როსო (18), 1:1 ვერპეიენი (20), 2:1 ბორკელმანსი (26), 3:1 იანსენი (52), 3:2 როსო (79), 4:2 იანსენი (92)

ᲡᲔᲚᲢᲐ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) 4:0 ᲚᲝᲬᲐᲜᲐ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) (2:3)
1:0 მაკარტი (10), 2:0 მოსტოვოი (76), 3:0, 4:0 მაკარტი (85, 90)

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐ (ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ) 0:3 *ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ (ᲑᲔᲚ�გᲘᲐ)* (1:3)
0:1 კოლერი (63), 0:2, 0:3 რაძინსკი (69, 72)

ᲖᲘᲛᲑᲠᲣ (ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ) 0:0 *ᲗᲝᲢᲢᲔᲜᲰᲔᲛᲘ (ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ)* (0:3)

ᲝᲡᲘᲔᲙᲘ (ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ) 1:3 *ᲕᲔᲡᲢ ᲰᲔᲛᲘ (ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ)* (0:3)
0:1 კიტსონი (27), 1:1 ბუბალო (70), 1:2 რადოკი (83), 1:3 ფოე (90)

ᲰᲐᲐᲞᲝᲔᲚᲘ (ᲗᲔᲚ ᲐᲕᲘᲕᲘ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ) 0:1 *ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ (ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ)* (0:2)
0:1 ლარსონი (63)

ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ) 1:1 (2:4 პენ.) *ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ)* (1:1)
0:1 იონსონი (89), 1:1 გეცკო (90)

ᲒᲘᲝᲗᲔᲑᲝᲠᲒᲘ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) 0:0 ᲚᲔᲮᲘ (ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) (2:1)

ᲚᲔᲕᲡᲙᲘ (ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲔᲗᲘ) 3:0 ᲰᲐᲘᲓᲣᲙᲘ (ᲡᲝᲠᲝᲕᲐᲢᲘᲐ) (0:0)
1:0 ივანკოვი (16პ), 2:0 ბაჩევი (32), 3:0 დიმიტროვი (84)

ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) 0:0 ᲡᲘᲒᲛᲐ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) (3:1)

ᲡᲚᲐᲕᲘᲐ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) 3:2 ᲕᲝᲘᲕᲝᲓᲘᲜᲐ (ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) (0:0)
0:1 ბელიჩი (18), 1:1 პეტრუსი (39), 1:2 ბოგდანოვიჩი (47), 2:2 დოშეკი (73), 3:2 ზელენკა (82)

ᲰᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ) 2:0 ᲒᲝᲠᲘᲪᲐ (ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ) (1:0)
1:0 სიგურდსონი (38), 2:0 ნასიოპულოსი (69)

ᲠᲐᲰᲘᲚᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ) 1:2 *ᲘᲜᲢᲔᲠᲘ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ)* (0:1)
0:1 სუჩანოკი (45), 0:2 ბაბნიჩი (64), 1:2 ცინგლერი (65)

ᲚᲔᲒᲘᲐ (ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) 2:0 ᲐᲜᲝᲠᲗᲝᲡᲘᲡᲘ (ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ) (0:1)
1:0 მიციელი (48), 2:0 ჩერეშევსკი (68)

ᲡᲔᲜᲢ ᲯᲝᲜᲡᲢᲝᲜᲘ (ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 3:3 *ᲛᲝᲜᲐᲙᲝ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ)* (0:3)
1:0 ლეონარდი (5 ს.კ.), 1:1 პრსო (9), 1:2 რიისე (24), 2:2 დასოვიჩი (33), 2:3 ლეგვინსკი (69), 3:3 ონილი (76)

ᲡᲔᲢᲣᲑᲐᲚᲘ (ᲰᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ) 1:0 *ᲠᲝᲛᲐ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ)* (0:7)
1:0 მაკი (79)

ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ (ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ) 2:2 ᲪᲡᲙᲐ (ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲔᲗᲘ) (2:0)
0:1 ლიტერა (29), 1:1 შირერი (32), 2:1 რობინსონი (88), 2:2 სიმეონოვი (90)

ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) 2:2 ᲖᲔᲜᲘᲢᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) (3:0)
0:1 პანოვი (35), 1:1 ფონტოლანი (39), 2:1 კიპრიანი (74), 2:2 კონდრაშოვი (89)

ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) 1:1 ᲑᲝᲓᲘᲝ ᲒᲚᲘᲛᲢᲘ (ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ) (5:0)
0:1 სტაურვიკი (36), 1:1 და სილვა (76)

ᲤᲔᲠᲔᲜᲪᲕᲐᲠᲝᲨᲘ (ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ) 1:1 *ᲢᲔᲮᲚᲘᲪᲔ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ)* (1:3)
0:1 რადა (53), 1:1 მატისი (57)

ᲚᲐᲜᲡᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 2:1 ᲛᲐᲙᲐᲑᲘ (ᲗᲔᲚ ᲐᲕᲘᲕᲘ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ) (2:2)
0:1 ბასისი (23), 1:1 ნუმა (78), 2:1 დელპორტი (80)

ᲤᲔᲜᲔᲠᲑᲐᲰᲩᲔ (ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ) 0:2 *ᲛᲢᲙ (ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ)* (0:0)
0:1, 0:2 კენეშეი (56, 63)

ᲙᲠᲘᲕᲑᲐᲡᲘ (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ) 0:3 *ᲰᲐᲠᲛᲐ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ)* (2:3)
0:1 ბოგოსიანი (36), 0:2 კრესპო (40), 0:3 დი ვაიო (67)

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲗᲘ) 0:2 *ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ (ᲰᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ)* (1:0)
0:1 მანიჩე (26), 0:2 ფერნანდესი (72)

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ (ᲰᲝᲠᲢᲣᲗᲐᲚᲘᲐ) 1:0 *ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘ (ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ)* (0:3)
0:1 აიეუ (76პ)

ᲚᲘᲝᲜᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 5:1 ᲰᲘᲙ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ) (1:0)
1:0 ანდერსონი (11), 2:0 ბლანი (15), 3:0 ლინარი (18), 3:1 ლეკოსუო (40), 4:1, 5:1 ვერელი (71, 85)

ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲘᲕᲝ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) 2:0 ᲡᲢᲐᲑᲔᲙᲘ (ᲜᲝᲠᲕᲔᲗᲘ) (0:1)
1:0 იოკანოვიჩი (37), 2:0 კონსეისაო (63)

ᲝᲚᲑᲝᲠᲒᲘ (ᲓᲐᲜᲘᲐ) 1:2 *ᲣᲓᲘᲜᲔᲖᲔ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ)* (0:1)
0:1 მუცო (63), 1:1 მატოვაჩი (71), 1:2 ლოკატელი (90)

ᲚᲘᲓᲡᲘ (ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ) 1:0 ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ (ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) (3:1)
1:0 ჰაკერბი (55)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ კლუბებმა წლევანდელი ევროსეზონი საშინლად დასარულეს, მაგრამ უეფას თასზე კიდევ დარჩნენ გუნდები, სადაც საერთო ჯამში ხუთი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. პირველი ეტაპის საპასუხო მატჩების მიმოხილვასაც სწორედ მათი ამბებით დავიწყებთ.

ლიერსში ქართველთა გუნდების დრამატული მატჩი კვლავ „ციურიხის“ გამარჯვებით დამთავრდა. ორი კვირის წინ გოჩა ჯამარაულის გოლით „ციურიხმა“ 1:0 მოუგო გელა შეყილაძის „ლიერსს“, ამჯერადაც ანგარიში ჯამარაულმა გახსნა. უკვე მეორე წუთზე გოჩამ შინ ბარტლეტთან კედელი გაითამაშა და სტუმრები დააწინაურა. ქართველმა კიდევ ერთხელ, მე-80 წუთზე გამოიჩინა თავი, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა და გოლი არ ჩათვალა. შვეიცარიულმა „ტაგეს-ანკაიგერმა“ ციურიხელთაგან საუკეთესოებად სწორედ ჯამარაული და ბარტლეტი დაასახელა. მეორე გოლი, რომელიც მარიო ფრიკმა შეაგდო, ბარტლეტის გამოზომილი პასის შედეგი გახლდათ.

დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ციურიხელები 2:3-ს აგებდნენ და სწორედ ამ დროს ჟან-ჟაკ ეიდელიმ მასპინძლებს იშვიათი სილამაზის ჯარიმა გაუტანა, ორ წუთში კი ფილიპ დემსმა საკუთარ კარში შეაგდო და შვეიცარიელებმაც 4:3 მოიგეს.

ეს ეიდელი უბრალო კაცი არ გეგონოთ. გახსოვთ ექვსი წლის წინანდელი „ომ-ვას“ სკანდალი, რომლის შემდეგაც ჩემპიონთა თასის მფლობელი „მარსელი“ ევროპიდან მოკვეთეს? დიახ, „ოლიმპიკ“ — „ვალანსიენის“ საქმეში მთავარი ფიგურა არგენტინელ ხორხე ბურუჩაგასთან ერთად ეიდელიც იყო. ეს ისე, ცნობისთვის. ლიერსელი მატჩის შემდეგ კი ციურიხელთა მწვრთნელმა რაიმონდო პონტემ თავისი მოთამაშეების შექებისგან თავი შეიკავა და ესლა თქვა: „ძალიან ძნელი თამაში გამოვიდა. მწვრთნელის სკამიდან ისე ჩანდა, თითქოს მინდორზე ნამდვილი ომი იყო“. კლუბის პრეზიდენტი სვენ პოცი კი აღტაცებას ვერ მალავდა: „მოგება შვეიცარიას უეფას კოეფიციენტთა ცხრილში გარკვეულ ქულებს მოუმატებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩემმა გუნდმა საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინა და თითქმის წაგებული თამაში შემოატრიალა“.

გახარებულ პოცს კლუბის თანამშრომლებისთვის 1000-1000 შვეიცარიული ფრანკის პრემიები მიუცია. უახლოეს დღეებში პრემიებს ფეხბურთელებიც მიიღებენ. მათ შორის მიხეილ ყაველაშვილიც, რომელმაც დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე შეცვალა ჯამარაული.

ახლა „ციურიხს“, რომელიც უეფას თასის მეორე ეტაპზე თავის ისტორიაში მერვედ გავიდა, კიდევ ერთი ქართველის, თემურ ქეცბაიას „ნიუკასლთან“ მოუწევს შეჯიბრება. თუმცა საეჭვოა, დაშავებულმა ქეცბაიამ ამ მატჩებში ითამაშოს.

მოსკოვში „ლოკომოტივი“ დანიურ „ლიუნგბიუს“ მასპინძლობდა და სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. აქედან ერთი გამოჯანმრთელებულ ზაზა ჯანაშიას ეკუთვნის. ანგარიში მე-20 წუთზე მოხდენილი თავურით გახსნა ევგენი ხარლაჩოვმა. 43-ზე სტუმართა მეკარე ფალსტრიომს ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე მყოფმა იური დროზდოვმა გააორა. ერთ წუთში ჯანაშიას ჯერიც დადგა — დმიტრი ლოსკოვის ზუსტ პასს ქართველის მესამე გოლი მოჰყვა.

მეორე ტაიმში დანიელებმა უხეშობას უმატეს. 59-ე წუთზე „ლიუნგბიუს“ შავკანიანმა მცველმა ბოსუნმა ჯანაშიას უკნიდან ფეხებში მიარტყა და წითელი ბარათიც მიიღო. ამგვარად, გუნდების შემადგენლობები გათანაბრდა. პირველ ნახევარში სლოვენიელმა მსაჯმა მიტროვიჩმა მოედნიდან მოსკოველი იგორ ჩერევჩენკო დაითხოვა.

„თამაში მომეწონა. მიხარია, რომ ჩემი ფეხბურთელები საქმეს სერიოზულად მიუდგნენ. ჩერევჩენკომ კი გამაწბილა. მან არაფრის გამო გააგდებინა მსაჯს თავი. უფრო ძლიერი მეტოქე რომ გვყოლოდა, შესაძლოა, მისი საქციელი ძალიან ძვირად დაგვჯდომოდა“ — თქვა მატჩის შემდეგ რკინიგზელთა მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა. შინსმა დანიელმა კოლეგა პოლ ჰანსენმა „ლოკომოტივს“ „ფანტასტიკური“ გუნდი უწოდა და დასძინა: „რუსული გუნდის კომბინაციურმა თამაშმა გამაოცა. არაერთი ძლიერი ევროპული კლუბის თამაში მინახავს და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ასეთი თამაშით „ლოკომოტივს“ უეფას თასის ფინალში გასვლაც შეუძლია“.

რამდენად საფუძვლიანია ჰანსენის სიტყვები, ამას მალე ვნახავთ, მოსკოველების მომდევნო მეტოქე ხომ ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ლიდს იუნაიტედია“. თუმცა ვინ იცის, სიომინს თუ დავუჯერებთ, ყველაზე მეტად მას იტალიურ გუნდებთან შეხვედრა არ უნდოდა.

ბანსკა ბისტრიცაში მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილ შოთა არველაძის გოლს რობსონმა და ლაუდრუპმა კიდევ ორი მიაყოლეს და „აიაქსმა“ საპასუხო მატჩშიც დაჩაგრა სლოვაკური „დუკლა“ 3:1. ანგარიში პირველ ტაიმში მასპინძელმა მალატინსკიმ გახსნა. საერთო ჯამში „აიაქმა“ 9:2 მოუგო სლოვაკებს და მეთექვსმეტეფინალშიც ებრაული ჰაიფას „ჰაპოელთანაც“ ფავორიტად ჩანს.

დონეცკში მიხეილ ფოცხვერიას „შახტარმა“ საპასუხო მატჩშიც ვერაფერი მოუხერხა ჰოლანდიურ „როდას“. დონეცკელებს კერკრადეში გაშვებული ორი გოლის გაბათილება სჭირდებოდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი გიფსანეს, სამი კი გაუშვეს. საინტერესოა, რომ „შახტარი“ ოც წელიწადზე მეტია, ევროთასებზე თამაშობს და არასოდეს მომხდარა, გასვლაზე პირველი მატჩი წაეგოს და მერე შემდგომ ეტაპზე გასულიყოს. იგივე მოხდა ახლაც, „შახტარმა“ ისტორიას ვერ ავჯობა. სიმართლე რომ ითქვას, ამის შანსი არც ჰქონია: ჰოლანდიელებმა ყველანაირად დაჩაგრეს ანატოლი ბიშოვეცის გუნდი. ფოცხვერია მინდორზე დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე გამოჩნდა, მაგრამ არეულ მეშასტეებს ვერც მან უშველა.

ტურნირს გამოეთიშა რიგის „სკენტოც“, რომელიც პოლონურ ლოძში „ვიძევთან“ 0:2 დამარცხდა. პირველი მატჩი ლატვიელებს 1:0 ჰქონდათ მოგებული და მწყობრი დაცვითი ტაქტიკით კარის მშრალად შენახვის იმედსაც არ კარგავდნენ, მაგრამ ვიხნიარეკმა და გესიორმა მათ პირველივე ტაიმში მოუთავეს საქმე. რიგელთა შემადგენლობაში სამმა ქართველმა — ლევან სილაგაძემ, ალეკო რეხვიაშვილმა და დავით ჩალაძემ ითამაშა.

დანარჩენი მატჩებიდან საინტერესო იყო უკრაინულ-იტალიური დაპირისპირება. თამაში კრივოი როგში, სადაც „კრივბასი“ უეფას თასის მფლობელ „პარმას“ მასპინძლობდა. ორი კვირის წინ „პარმამ“ შინ მხოლოდ 3:2 მოიგო და თუ იტალიური კლუბის ბოლოდროინდელ კრიზისსაც გავითვალისწინებთ, სენსაციის ალბათობაც იზრდებოდა. კრივოი როგის სტადიონზე 30 ათასი მაყურებელი ეტევა, განაცხადი კი 400 ათასი ადამიანისგან მიიღეს, რაც ამ ქალაქის მოსახლეობის ნახევარია. ცხადია, უმეტესობა სტადიონზე ვერ მოხვდა, თუმცა ღირდა კი? სენსაცია არ მოხდა, ოსტატობამ იავი გაიტანა — 0:3 და „პარმა“ უპრობლემოდ გავიდა მეორე წრეში. მასპინძლებს მხოლოდ პირველ წუთებში გამოუვიდათ თამაში, მერე კი „პარმაში“, რომელსაც ორტეგა, ფუზერი და ბერნრივო აკლდა, ყველაფერი ლოგიკურ კალაპოტში მოაქცია. ბოგოსიანის, კრესპოსა და დი ვაიოს სამი გოლი, იმავე კრესპოს გაცუდებული პენალტი და უკრაინელი დოროშენკოს გაძევება — ასეთი იყო თამაში.

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲛᲕᲘᲚᲘ

უეფას თასი. მეორე ეტაპი.
პირველი წრე — 21 ოქტომბერს; მეორე წრე — 4 ნოემბერს

UEFA CUP

სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი)	—	ვესტ ჰემი (ლონდონი, ინგლისი)
მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)	—	აეკ (ათენი, საბერძნეთი)
ლევსკი (სოფია, ბულგარეთი)	—	იუვენტუსი (ტურინი, იტალია)
დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)	—	მონაელიე (საფრანგეთი)
ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	—	ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)
არისი (სალონიკი, საბერძნეთი)	—	სელტა (ვიგო, ესპანეთი)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)	—	აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია)
უდინეზე (უდინე, იტალია)	—	ლეგია (ვარშავა, პოლონეთი)
პარმა (იტალია)	—	ჰელსინგბორგი (შვედეთი)
ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)	—	ნანტი (საფრანგეთი)
როდა (კერკრადე, ჰოლანდია)	—	ვოლფსბურგი (გერმანია)
ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)	—	ციურიხი (შვეიცარია)
გრაცერი (ავსტრია)	—	პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)
ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი)	—	ამიცა (ვრონკი, პოლონეთი)
ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია)	—	ბოლონია (იტალია)
ლანსი (საფრანგეთი)	—	ვიტესი (არნემი, ჰოლანდია)
ვერდერი (ბრემენი, გერმანია)	—	ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი)	—	გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია)
პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)	—	ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია)
ვიძევი (ლოძი, პოლონეთი)	—	მონაკო (საფრანგეთი)
ტოტენჰემი (ლონდონი, ინგლისი)	—	კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
გიოტებორგი (შვედეთი)	—	რომა (რომი, იტალია)
ტეპლიცე (ჩეხეთი)	—	მალიორკა (ესპანეთი)
ლიონი (საფრანგეთი)	—	სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია)

შემდეგ ეტაპზე დაემატებიან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მესამე ადგილზე გასული 8 გუნდი

ანელკა ზიდანის სანაცვლოდ?

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა ხუთშაბათს კლუბის ოფიციალურ ტელევიზიას — „რეალ მადრიდ ტვ“-ს განუცხადა, რომ თანახმაა, ტურინის „იუვენტუსს“ ზინედინ ზიდანში კლუბის ახალშეძენილი ფორვარდი, ფრანგი ნიკოლა ანელკა გაუცვალოს, მაგრამ ისიც დაუმატა, რომ მხოლოდ განათხოვრებით, რადგან ნიკოლა ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და წინ დიდი მომავალი აქვს.

ზიდანის მადრიდულ კლუბში გადასვლაზე ამ რამდენიმე ხნის წინაც იყო ლაპარაკი, რადგან ფეხბურთელს ესპანელი ცოლი ჰყავს და კარიერის ესპანეთში გაგრძელებაზეც თანახმა იყო. მაშინ ეს ამბავი ჭორის დონეზე დარჩა და ყველამ სწრაფად დავიწყა. ახლა კი სანსმა კვლავ წამოატივტივა.

ანელკა — რიგით მეორე ძვირადღირებული ფეხბურთელი მსოფლიოში, ესპანეთში ლონდონის „არსენალიდან“ აგვისტოში გადავიდა და მას შემდეგ ეს პრესისა და ტელევიზიის განუწყვეტელი თემაა. ისე კი, ანელკა საფრანგეთის ნაკრებშიც და „რეალის“ შემადგენლობაშიც მეტად არასახარბიელოდ გამოიყურება და ერთი ხანობა ფეხბურთიდან წასვლასაც აპირებდა. ნაკრების მწვრთნელ როჟე ლემერს იგი 9 ოქტომბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შეკრებაზე არც კი გამოუძახია.

ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელ შეხვედრაში, რომელიც „რეალმა“ ნორვეგიულ „მოლდესთან“ გამართა, ანელკა მოედანზე კი გამოჩნდა, მაგრამ მცირე ტრავმა მიიღო და ძალევე შეცვალეს.

ჯერჯერობით ტურინულ „იუვენტუსს“ არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია სანსის ამ წინადადებაზე.

ჩვენც დაველოდოთ და ვნახოთ...

ბუფონი და მუსოლინი

ასეთი რამ ალბათ მხოლოდ იტალიაში შეიძლება მოხდეს. პარლამენტარებმა თავიანთი პირდაპირი მოვალეობა დაიავიწყეს და ფეხბურთელების გამონათქვამების რევიზიას შეუდგნენ



ალესანდრა მუსოლინი

ჯანლუიჯი ბუფონი

ბენიტო მუსოლინი

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ „პარმამ“ თამაში წააგო.

საერთოდ შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტები ფეხბურთელებისგან ინტერვიუს იღებენ. იმ დღეს თავისი აზრი პარმელთა მეკარე ბუფონმაც გამოთქვა. „სიკვდილი მას, ვინც ნებდება“ — ასეთი იყო მისი პოზიცია. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ თქმულა. მაგრამ როგორც გაირკვა აღნიშნული ფრაზა იტალიელ ულტრა-მემარჯვენეების დევიზს წარმოადგენს და მისი ავტორი თვითონ ბენიტო მუსოლინი ყოფილა.

შემდგომში ბუფონმა განაცხადა, რომ მას წარმოდგენა არა აქვს ამ დევიზის წარმოშობაზე და საერთოდ ვერ ერკვევა პოლიტიკაში. სკანდალების მოყვარულები ცხადია ამ განცხადებამ არ დააკმაყოფილა. საქმის გარჩევა იტალიის პარლამენტში გაგრძელდა. ინიციატორი კი დეპუტატი ალესანდრა მუსოლინი გახდა. იგი დიდი დუჩეს შვილიშვილია და მისი იდეები ბაბუას იდეებისგან დიდად არ განსხვავდება. ქალბატონი მუსოლინი პარლამენტის სხდომაზე ღრმა დეკოლტეიანი მაისურათი გამოცხადდა. მაისურაზე კი ეწერა: „სიკვდილი მას ვინც ბუფონზე ხელს აღმართავს“.

სხდომის თავმჯდომარე შეევედრა მას, უფრო მოკრძალებულად შემოსილიყო. დეპუტატები კი სულაც არ იყვნენ წინააღმდეგნი მშვენიერი ალესანდრას არანაკლებ მშვენიერი მკერდის ცქერით დამტკბარიყვნენ. როგორ გაგრძელდება ეს ისტორია ჩვენ არ ვიცით. თუმცა „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ უკვე სთხოვა გულშემატკივრებს თავი შეეკავებინათ ამ ავადსახსენებელი ლოზუნგის სტადიონზე გამოფენისგან.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის მთავრობა ფეხბურთის განვითარებისთვის 100 მილიონი ფუნტის გამოყოფას აპირებს. ეს თანხა ახალი საფეხბურთო მინდვრების მოწყობას, ადგილობრივი კლუბებისა და სკოლების საფეხბურთო ინვენტარით აღჭურვას მოხმარდება. აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგის ოცი კლუბი სატელევიზიო გარიგებებიდან შემოსული თანხის ხუთ პროცენტზე მეტს ფლობს, რაც წინასწარი გათვლებით ერთ მილიარდ ფუნტს უტოლდება. ინგლისის მთავრობა თავისი პროგრამისთვის საჭირო თანხის შეგროვებას ლატარიდან მიღებული შემოსავლითა და პრემიერლიგის მატჩების სატელევიზიო ტრანსლაციებიდან ამოღებული გადასახადებით აპირებს.

იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ყოფილი მეკარე ვალტერ ძენგა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ის ამერიკულ ლიგაში (მლს) მოასპარეზე „ნიუ ინგლენდ რევოლუშენის“ მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ. ფეხბურთელის სტატუსით ძენგამ კლუბში 25 მატჩი ჩაატარა. მისი კონტრაქტის ვადა 31 ოქტომბერს იწურება, მაგრამ კლუბის წარმომადგენელთა განცხადებით, ძენგამ კონტრაქტის პირობების დაუყოვნებლივ გაუმჯობესება მოითხოვა, კლუბს კი ამის საშუალება არ ჰქონდა. „რევოლუშენის“ პრეზიდენტმა თქვა, რომ ძენგა მწვრთნელი აღარ იქნება, თუმცა თამაშს განაგრძობს. ძენგას აგენტმა ერიკ განასმა განაცხადა, რომ ახალმა ამბავმა ისინი გააოგნა: „გუნდი პლეი ოფში მოსახვედრად იბრძოდა, ძენგა კი შაბათის მატჩის მოსაგებად ემზადებოდა. ვალტერი შოკშია და მიგვაჩნია, რომ ეს აბსურდული გადაწყვეტილება იყო“. საინტერესოა, რომ ძენგა აურზაურისთვის რამდენჯერმე დააჯარიმეს. ორჯერ პოლიციაში აღმოჩნდა, ერთხელაც ავტოსადგომზე გულშემატკივართან მუშტი-კრივი გამართა.

სამხრეთ აფრიკამ საუდის არაბეთთან რიადში საპასუხო შეხვედრა უგოლო ფრით დაასრულა, ორი მატჩის ჯამში 1:0 გაიმარჯვა და აფრო-აზიის ერთა თასს დაეუფლა. აფრიკელებს არაბეთში გამგზავრებისას ვიზების მიღებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნათ. მინდორზე კი შვიდი წამყვანი ფეხბურთელი ვერ გაიყვანეს. ისინი ევროპულმა კლუბებმა არ გაუშვეს. შეგახსენებთ, რომ აფრო-აზიის ერთა თასი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ თამაშდება ამ კონტინენტების ჩემპიონებს შორის. აფრიკელებმა თასი მეოთხედ მოიგეს. აზიელებს კი ეს პრიზი სამჯერ მოუპოვებიათ.

თურქული „ფენერბაჰჩეს“ თავკაცი რიდვან დილმენი თანამდებობიდან გადადგა, მას შემდეგ, მისმა კლუბმა უეფას თასის პირველ ეტაპზე უნგრულ მტკ-სთან წააგო. დილმენმა, რომელიც ადრე ამ კლუბის ფეხბურთელი გახლდათ, მწვრთნელის პოსტი გერმანელი იოახიმ ლიოვის გადადგომის შემდეგ დაიკავა. წლევანდელ ევროთასებს კი ერთადერთი თურქული კლუბი, ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე „გალათასარაი“ შემორჩა.

შოტლანდიის ნაკრებისა და „ბლექბერნ როვერსის“ თავდამსხმელი კევინ გალახერი „ნიუკასლში“ გადადის. მოლაპარაკებები პარასკევს გაიმართა. ბრიტანული პრესის ცნობით, სატრანსფერო თანხა 500 დან 700 ათას ფუნტამდე მერყეობს. „ნიუკასლს“ რომელსაც მომდევნო შეხვედრა კვირას „მიდლსბროს“ წინააღმდეგ აქვს, დაშავებული დანკან ფერგიუსონი და თეძურ ქეცბაია არ ეყოლება.

ინგლისის ქალაქ მანჩესტერში ფეხბურთისა და საერთოდ, მსოფლიო სპორტის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. სასკოლო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში „სტეილბრიჯ სელტიკსა“ და „ჰოლიგრაუნდ ჯუნიორს“ შორის გოლი, არც მეტი, არც ნაკლები, ზღვის თოლიამ გაიტანა. კურიოზი მას შემდეგ მოხდა, რაც 13 წლის „სტეილბრიჯის“ თავდამსხმელმა დანი უორტინგტონმა დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, თოლიაც ამ დროს გამოფრინდა საიდანღაც და ბურთთან ერთად ბადეში აღმოჩნდა. გოლეადორმა სწრაფადვე დატოვა მინდორი, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. მატჩის არბიტრისა და ოფიციალურ წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, გოლი ჩაითვალა. ყოველივე ამით გაოგნებულმა „ჰოლინგრაუნდის“ მოზარდებმა 1:7 წააგეს.

ხორვატმა ნახევარმცველმა იურიკა ვრანეშმა განაცხადა, რომ წინადადება მიიღო ინგლისური „არსენალიდან“, რომელიც მას 10,7 მილიონ დოლარად თავისთან გადასვლას სთავაზობს. ლონდონურ კლუბს ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ვრანეშის ახლანდელი გუნდი „ოსიეკი“, რომელიც უეფას თასის პირველი ეტაპიდან ინგლისურმა „ვესტ ჰემმა“ გამოაგდო, თანახმაა, ფეხბურთელი „არსენალს“ მიჰყიდოს.

იტალიურმა პოლიციამ ფლორენციის „ფიორენტინას“ ერთ-ერთი გულშემატკივრის ბინაში სამი ბომბი აღმოაჩინა. დაკავებულმა, 21 წლის ფანმა განაცხადა, რომ ჰურვები მას სანადიროდ სჰირდებოდა. „ფიორენტინა“ ცნობილია თავისი ექსტრავაგანტური ფანატებით, ამიტომ კვირას ფლორენციაში გასამართ სერია A-ს მორიგი ტურის მატჩზე უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს „ფიორე“ „არტემიო ფრანკის“ სახელობის სტადიონზე „რომას“ უმასპინძლებს.

ინგლისური „ლივერპულის“ ფორვარდი რობი ფაულერი სამიოდე კვირის წინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, რომელიც პოლონეთსა და ინგლისს შორის გაიმართა, დაშავდა. როგორც ექიმებმა დაადგინეს, რობის მინიმუმ ორი თვე დასვენება მოუწევს. „ლივერპულის“ ფრანგი თავკაცის, ჟერარ ულიეს განცხადებით, ფაულერის არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება გუნდისთვის.

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

ინგლისური ენისა და სპორტის მცოდნე პროფესიონალ, დაბალ ჟურნალისტებს, აგრეთვე ჟურნალისტად მუშაობის მსურველებს.

გამოგვეხმაურეთ ტელეფონით (38-11-14, 39-48-29), ან გვესტუმრეთ რედაქციაში (ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული).

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური

2 ოქტომბერი

010	ვოლფსბურგი — ლევერკუზენი	2,7	2,8	2,4
011	ჰერტა — დუისბურგი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
012	ულმი — ჰამბურგი	3,4	2,9	2,0
013	შალკე — ბაიერნი	3,6	2,9	1,9
014	დორტმუნდი — ჰანზა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

3 ოქტომბერი

015	კაიზერსლაუტერნი — უნტერჰახინგი	1,5	3,3	6,0
016	ფრაიბურგი — ვერდერი	2,3	2,8	2,9

გერმანია. II ბუნდესლიგა. VII ტური

2 ოქტომბერი

020	კარლსრუე — მაინცი	1,5	3,4	5,6

3 ოქტომბერი

021	კოტბუსი — ქემნიცი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
022	კიკერსი — ბოხუმი	2,3	2,9	2,8
023	ფიურტი — ბერლინი	1,9	2,8	3,8
024	ობერჰაუზენი — მიონხენგლადბახი	2,9	2,8	2,3

4 ოქტომბერი

025	ჰანოვერი — ნიურნბერგი	2,4	2,8	2,7

ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური

2 ოქტომბერი

026	ასტონ ვილა — ლივერპული	1,9	3,0	3,5
027	ბრედფორდი — სანდერლენდი	2,5	2,9	2,5
028	ევერტონი — ქოვენთრი	1,6	2,9	6,0
029	უენსდი — უიმბლდონი	2,2	2,9	3,0

3 ოქტომბერი

030	ჩელსი — მანჩესტერი	2,4	2,7	2,8
031	ნიუკასლი — მიდლსბრო	1,8	2,9	4,2
032	ტოტენჰემი — ლესტერი	1,5	3,2	6,5
033	უოტფორდი — ლიდსი	3,4	2,9	2,0
034	ვესტ ჰემი — არსენალი	2,9	2,8	2,3

4 ოქტომბერი

035	საუთჰემპტონი — დერბი	1,8	2,9	4,2

ინგლისი. I დივიზიონი. X ტური

2 ოქტომბერი

037	ჩარლტონი — ბირმინგემი	1,8	2,9	4,2
038	კრისტალ პალასი — პორტსმუთი	2,0	2,9	3,4
039	გრიმსბი — იფსვიჩი	3,4	2,9	2,0
040	ჰადერსფილდი — შეფილდი	1,9	2,9	3,6
041	მანჩესტერ სიტი — პორტ ვეილი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
042	ნორვიჩი — ფულემი	2,8	2,9	2,3
043	ქუინზ პარკი — ბლექბერნი	2,4	2,8	2,7
044	სუინდონი — ბოლტონი	2,4	2,8	2,7
045	უოლსოლი — სტოკპორტი	2,6	2,9	2,4

3 ოქტომბერი

046	ქრიუ — ტრანმერი	1,8	2,9	4,2
047	ვულვერჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი	1,9	2,9	3,6

ინგლისი. II დივიზიონი. X ტური

2 ოქტომბერი

049	როვერსი — ბლეკპული	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
050	ბარნლი — ბრენტფორდი	1,9	2,8	3,8
051	ბერი — კარდიფი	1,7	3,0	4,7
052	ჩესტერფილდი — ბორნმუთი	2,3	2,9	2,8
053	ჯილინგემი — მილუოლი	2,0	2,9	3,4
054	ოლდემი — ნოტსი	3,0	2,9	2,2
055	ოქსფორდი — ბრისტოლი	2,4	2,9	2,6
056	პრესტონი — კემბრიჯი	1,4	3,5	7,0
057	სტოკი — სკანთორპი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
058	უიგანი — ლუტონი	1,7	3,0	4,7
059	უიკომბი — რედინგი	1,9	2,9	3,6

ინგლისი. III დივიზიონი. X ტური

2 ოქტომბერი

060	ბარნეტი — ჰალი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
061	კარლაისლი — საუთენდი	2,3	2,9	2,8
062	ჩელტენემი — როტერჰემი	2,4	2,9	2,6
063	ჰარტლპული — დარლინგტონი	4,0	3,0	1,8
064	ლინკოლნი — ექსეტერი	2,5	2,9	2,5
065	მაკლსფილდი — ტორკი	2,0	2,9	3,4
066	ნორთჰემპტონი — როჩდეილი	1,8	3,0	4,0
067	პიტერბრო — ბრაიტონი	1,5	3,4	5,6
068	პლიმუთი — ლეიტონი	1,5	3,4	5,6
069	შრიუსბერი — ჰალიფაქსი	2,3	2,9	2,8
070	სუონსი — მენსფილდი	1,6	3,0	5,6
071	იორკი — ჩესტერი	1,7	3,1	4,4

საფრანგეთი. I დივიზიონი. IX ტური

2 ოქტომბერი

072	ნანსი — რენი	2,4	2,8	2,7
073	სედანი — ტრუა	1,6	2,8	6,5
074	ლე ავრი — მონპელიე	2,4	2,8	2,7
075	სენტ ეტიენი — ბასტია	2,1	2,8	3,3
076	სტრასბური — ბორდო	2,4	2,8	2,7
077	მარსელი — მეცი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8

3 ოქტომბერი

078	მონაკო — ლიონი	1,7	2,8	5,3
079	ნანტი — პარი სენ ჟერმენი	2,3	2,8	2,9
080	ოსერი — ლანსი	1,7	2,9	5,0

საფრანგეთი. II დივიზიონი. XII ტური

2 ოქტომბერი

089	ლავალი — ნიორი	1,7	2,9	5,0
090	ამიენი — კაენი	2,2	2,8	3,1

იტალია. სერია A. V ტური

2 ოქტომბერი

091	კალიარი — ტორინო	2,0	2,8	3,5
092	ინტერი — პიაჩენცა	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

3 ოქტომბერი

093	ბარი — უდინეზე	2,2	2,8	3,1
094	ბოლონია — ლეჩე	1,7	3,0	4,7
095	ფიორენტინა — რომა	1,9	2,8	3,8
096	იუვენტუსი — ვენეცია	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
097	პარმა — ვერონა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
098	პერუჯა — რეჯინა	1,9	2,8	3,8
099	ლაციო — მილანი	1,9	2,8	3,8

იტალია. სერია B. VI ტური

3 ოქტომბერი

101	ატალანტა — პესკარა	1,7	2,7	5,6
102	ბრეშა — პისტოიეზე	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
103	ჩეზენა — ალბანო	1,7	2,7	5,6
104	კიევო — ჯენოა	2,4	2,7	2,8
105	ფერმანა — ტრევიზო	2,6	2,7	2,6
106	მონცა — რავენა	2,0	2,7	3,6
107	სამპდორია — ტერნანა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
108	სავოია — კოზენცა	1,8	2,7	4,7

4 ოქტომბერი

109	სალერნიტანა — ნაპოლი	2,1	2,7	3,4

იტალია. სერია C1/A. V ტური

2 ოქტომბერი

112	კომო — სანდონა	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

3 ოქტომბერი

110	კარარეზე — ალბინოლეფე	1,8	2,8	4,4
111	ჩიტადელა — ლუკეზე	2,0	2,7	3,6
113	ლივორნო — სიენა	1,7	2,8	5,3
114	ლუმეცანე — ლეკო	1,5	3,0	7,5
115	მოდენა — ბრეშელო	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
116	მონტევარკი — პიზა	2,0	2,7	3,4
117	რეჯანა — სპალ	1,7	2,8	5,3
118	ვარეზე — კრემონეზე	2,0	2,8	3,5

იტალია. სერია C1/B. V ტური

2 ოქტომბერი

126	ლოდიჯანი — ატლეტიკო	1,5	3,0	7,5

3 ოქტომბერი

119	ანკონა — ფ. ანდრია	1,9	2,7	4,0
120	ასკოლი — ბენევენტო	1,6	2,9	6,0
121	აველინო — არეცო	1,8	2,7	4,7
122	კატანია — ნოჩერინა	1,7	2,8	5,1
123	კროტონე — მარსალა	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
125	სტაბია — დი სანგრო	1,9	2,7	4,0
127	პალერმო — გუალდო	1,5	3,0	7,5

4 ოქტომბერი

124	ჯულიანოვა — ვიტერბეზე	1,8	2,7	4,7

ესპანეთი. I დივიზიონი. VI ტური

2 ოქტომბერი

128	ვალიადოლიდი — ბარსელონა	5,0	2,9	1,7
129	ნუმანსია — მალაგა	2,3	2,8	2,9

3 ოქტომბერი

130	სელტა — მალიორკა	1,7	2,9	5,0
131	სარაგოსა — სოსიედადი	2,0	2,8	3,5
132	რასინგი — რაიო ვალეკანო	1,9	2,9	3,6
133	ესპანიოლი — ატლეტიკო	2,0	2,9	3,4
134	ალავესი — სევილია	1,8	2,8	4,4
135	ბეტისი — ოვიედო	1,6	2,9	6,0
136	რეალი — ვალენსია	1,5	3,1	7,0
138	ბილბაო — დეპორტივო	2,0	2,8	3,5

ესპანეთი. II დივიზიონი. VII ტური

2 ოქტომბერი

141	ხეტაფე — ტენერიფე	3,2	2,9	2,1
147	ლას პალმასი — ლეგანესი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
148	კორდობა — ოსასუნა	2,5	2,8	2,6

3 ოქტომბერი

139	ელჩე — ვილიარეალი	2,9	2,8	2,3
140	ეიბარი — ლევანტე	1,9	2,9	3,6
142	ბადახოსი — სპორტინგი (15[00])	2,0	2,8	3,5
143	ალბასეტე — უელვა	1,8	2,8	4,4
144	სალამანკა — ტოლედო	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
145	ლეიდა — მერიდა	2,0	2,8	3,5
146	ლოგრონიესი — ატლეტიკო B	1,8	3,0	4,0
149	ესტრემადურა — კომპოსტელა	1,6	2,9	6,0

პორტუგალია. VI ტური

2 ოქტომბერი

150	კამპომაიორენსე — რიუ ავე	2,5	2,9	2,5
151	გიმარაეში — ალვერკა	1,5	3,2	6,5

3 ოქტომბერი

152	მარიტიმუ — ჟილ ვისენტე	1,8	3,0	4,0
153	სალგეირუში — ფარენსე	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
154	ლეირია — ბრაგა	2,1	2,8	3,3

4 ოქტომბერი

155	ბელენენსეში — პორტუ	4,7	3,0	1,7
156	ბენფიკა — ამადორა	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
157	სპორტინგი — ბოავიშტა	1,8	2,8	4,4

5 ოქტომბერი

158	სანტა კლარა — სეტუბალი	2,0	2,9	3,4

ჰოლანდია. VII ტური

2 ოქტომბერი

160	სიტარდი — კამბური	1,8	3,0	4,0
161	პსვ — სპარტა	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
162	ტვენტე — დენ ბოსხი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
163	ვალვაიკი — გრააფსხაპი	1,7	2,9	5,0

3 ოქტომბერი

164	ალკმარი — ფეიენოორდი	5,0	2,9	1,7
165	უტრეხტი — როდა	2,1	2,9	3,2
166	ვიტესი — ნაიმეგენი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
167	ტილბურგი — აიაქსი	3,4	2,9	2,0

ბელგია. VIII ტური

2 ოქტომბერი

169	გენტი — ლომელი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
170	სტანდარდი — ბეევერენი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
171	მეხელენი — სენტ ტრუიდენი	1,9	2,8	3,8

3 ოქტომბერი

172	გენკი — ლიერსი	2,0	2,8	3,5
173	ანდერლეხტი — ბეერსხოტი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

174	ვესტერლო — ბრიუგე	4,2	2,9	1,8
175	აალსტი — გეელი	1,6	2,9	6,0
176	ჰარელბეკე — ლოკერენი	1,8	2,9	4,2

საბერძნეთი. III ტური

3 ოქტომბერი

177	კალამატა — ქსანთი	2,3	2,8	2,9
178	პანათინაიკოსი — პაოკ	1,5	3,1	7,0
179	პანაჰაიკი — ოფი	2,5	2,9	2,5
180	ეთნიკოსი — აეკ	3,4	2,9	2,0
181	პროდეფტიკი — არისი	3,4	2,9	2,0
182	ირაკლისი — ტრიკალა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
183	პანიონიოსი — იონიკოსი	3,2	2,9	2,1
184	პანილიაკოსი — კავალა	1,9	2,8	3,8
185	აპოლონი — ოლიმპიაკოსი	6,0	3,3	1,5

ჩეხეთი. IX ტური

2 ოქტომბერი

187	ბრნო — დუკლა	1,5	3,2	6,5
188	ბანიკი — სპარტა	2,9	2,8	2,3
189	ლიბერეცი — იაბლონეცი	1,7	2,9	5,0
190	ბლშანი — ოპავა	2,1	2,8	3,3

4 ოქტომბერი

191	ჰ. კრალოვე — ტეპლიცე	3,6	2,9	1,9
192	სიგმა — დრნოვიცე	2,4	2,8	2,7
193	სლავია — ვიკტორია	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

პოლონეთი. XI ტური

2 ოქტომბერი

195	რაძიონკოვი — პლოცკი	2,3	2,8	2,9
196	გროცლინი — ოდრა	2,5	2,9	2,5
199	პოლონია — ზაგლებე	1,5	3,2	6,5
200	რუხი — გურნიკი	1,5	3,2	6,5
201	ვისლა — ლკს	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

3 ოქტომბერი

194	ვიძევი — ლეხი	1,7	2,9	5,0
197	პოგონი — ლეგია	2,5	2,9	2,5
198	ჰალექსი — ამიცა	2,3	2,8	2,9

უკრაინა. XI ტური

3 ოქტომბერი

202	მარიუპოლი — დინამო	5,6	3,0	1,6
203	ნივა — პრიკარპატია	1,9	2,8	3,8
204	მეტალისტი — ზაპოროჟიე	1,9	2,8	3,8
205	მეტალურგი — დნიპრი	1,5	3,2	6,5
206	ზირკა — ტავრია	3,0	2,9	2,2

4 ოქტომბერი

207	კარპატი — ვორსკლა	1,9	2,9	3,6

შოტლანდია. IX ტური

2 ოქტომბერი

208	აბერდინი — ჰიბერნიანი	2,5	2,9	2,5
209	დანდი — რეინჯერსი	5,3	3,1	1,6

ავსტრია. XIV ტური

2 ოქტომბერი

211	ბრეგენცი — ლუსტენაუ	2,5	2,9	2,5
212	ლინცერი — ზალცბურგი	2,4	2,8	2,7

3 ოქტომბერი

213	გრაცერი — შტურმი	3,0	2,9	2,2
214	რაპიდი — რიდი	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4

შვეიცარია. XIV ტური

2 ოქტომბერი

216	ბაზელი — ივერდონი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

3 ოქტომბერი

217	არაუ — გრასჰოპერი	3,0	2,9	2,2
218	ლუცერნი — სერვეტი	2,7	2,8	2,4
219	ციურიხი — სენტ გალენი	2,3	2,8	2,9
220	ლოზანა — დელემონი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

დანია. X ტური

3 ოქტომბერი

221	ვაილე — ოდენსე	1,8	2,8	4,4
222	ბრიონდბიუ — ორჰუსი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
223	ესბიერგი — ოლბორგი	4,4	3,1	1,7
224	აკადემისკი — კოპენჰაგენი	1,45	3,6	5,6
	0:1	2,1	3,2	2,1
225	ჰერფიოლგე — ვიბორგი	1,8	2,9	4,2
226	ლიუნგბიუ — სილკებორგი	1,8	2,8	4,4

რუსეთი. XXVI ტური

2 ოქტომბერი

227	დინამო — შინიკი	1,4	4,0	4,0
228	სატურნი — ცსკა	4,2	2,9	1,8
229	ნ. ნოვგოროდი — როტორი	2,4	2,8	2,7
230	ტორპედო — როსტსელმაში	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
231	კრილია სოვეტოვი — ურალანი	1,8	2,8	4,4
232	ალანია — ჩერნომორეცი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

3 ოქტომბერი

233	ლოკომოტივი — ზენიტი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
234	ჟემჩუჟინა — სპარტაკი	5,0	3,2	1,6

შვედეთი. XXIII ტური

3 ოქტომბერი

235	აიკ — ჰალმსტადი	1,6	2,9	6,0
236	ტრელებორგი — იორებრო	1,9	2,9	3,6

4 ოქტომბერი

237	გიოტებორგი — ნორჩიოპინგი	1,6	3,0	5,6
238	ჰელსინგბორგი — კალმარი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
239	ფრიოლუნდა — იორგრიტე	2,4	2,8	2,7
240	ჰამარბი — იურგარდენი	1,8	3,0	4,0
241	ელფსბორგი — მალმიო	2,1	2,9	3,2

ნორვეგია. XXIV ტური

3 ოქტომბერი

242	ბოდიო გლიმტი — ტრომსიო (16^{00})	2,3	2,9	2,8
243	კონგსვინგერი — სკეიდი (16^{00})	1,7	3,1	4,4
244	რუსენბორგი — ვიკინგი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
245	სტრიომსგოდსეტი — მოსი	1,9	2,9	3,6
246	ვოლერენგა — ლილესტრიომი (16^{00})	3,4	2,9	2,0

ნორვეგია. თასის ნახევარფინალი

3 ოქტომბერი

247	მოლდე — ბრანი	2,2	2,9	3,0

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ინგლისი (X ტური)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
საფრანგეთი (IX ტური)	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
იტალია (V ტური)	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9
ესპანეთი (VI ტური)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
პორტუგალია (VI ტური)	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9

ჰოკეი. NHL

2 ოქტომბერი

819	ბოსტონი — კაროლინა	1,5	4,4	3,0
820	მონრეალი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
821	ფილადელფია — ოტავა	1,5	4,4	3,0
822	ატლანტა — ნიუ ჯერსი	3,0	4,4	1,5
823	ტამპა ბეი — აილენდერსი	2,0	4,4	2,0
824	ფლორიდა — ვაშინგტონი	1,7	4,4	2,4
825	დეტროიტი — ბუფალო	1,5	4,4	3,0
826	სენტ ლუისი — ფინიქსი	1,7	4,4	2,4
827	ნეშვილი — ლოს ანჯელესი	2,0	4,4	2,0
828	დალასი — ანაჰაიმი	1,3	4,4	4,0
829	ვანკუვერი — რეინჯერსი	1,9	4,4	2,1
830	სან ხოსე — კალგარი	1,7	4,4	2,4

4 ოქტომბერი

831	ტორონტო — ბოსტონი	1,6	4,4	2,7
832	სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი	1,5	4,4	3,0
833	სან ხოსე — ჩიკაგო	1,8	4,4	2,2

რაგბი. მსოფლიოს თასი. I ტური

2 ოქტომბერი

836	საფრანგეთი — კანადა	1,05	7,0	9,0
837	ესპანეთი — ურუგვაი	1,4	7,0	2,5
838	ინგლისი — იტალია	1,02	7,0	14,0
839	ირლანდია — აშშ	1,05	7,0	9,0

3 ოქტომბერი

840	სამოა — იაპონი	1,1	7,0	5,6
841	ახალი ზელანდია — ტონგა	1,02	7,0	14,0
842	შოტლანდი — სამხრეთ აფრიკა	4,4	7,0	1,15
843	ავსტრალია — რუმინეთი	1,01	7,0	20,0

რაგბი. მსოფლიოს თასი. ჩემპიონი

ახალი ზელანდია	2,0	ფიჯი	200,0
ავსტრალია	2,8	კანადა	400,0
სამხრეთ აფრიკა	3,8	ტონგა	500,0
ინგლისი	5,0	აშშ	500,0
უელსი	15,0	იტალია	500,0
საფრანგეთი	20,0	ნამიბია	1000,0
შოტლანდია	60,0	რუმინეთი	1000,0
ირლანდია	100,0	იაპონია	1000,0
სამოა	100,0	ესპანეთი	1000,0
არგენტინა	200,0	ურუგვაი	1000,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ქართული ლოტერეა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასვლის მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

გიო ახვლედიანის

სვეტი ტელევიზორში

ორი წლის წინათ, ერთ სვეტში დიდი სიხარულითა და აღტკინებით ვწერდი, ვიშ, რა კარგია, როგორც იქნა ავისრულე საბჭოური ბავშვობის დროინდელი ოცნება, ყოველ საღამოს საერთაშორისო ფეხბურთს ვუყურებ-მეთქი.

მაშინ ძალიან გემრიელი იყო ეს ყველაფერი და რომელ არხზე რა თამაშის ცქერა შეიძლებოდა, მონდომებით ჩამოვთვალე. ახლა, ორი წლის თავზე, მწუხარებითა და მოქანცულობით უნდა აღვნიშნო, რომ ყოველ საღამოს საერთაშორისო ფეხბურთს ვუყურებ.

მედია ბევრს და საქმიანად აკრიტიკებს ხოლმე ფიფას თავკაც ზეპ ბლატერს, მაგრამ ამ ჯერზე ამ დიდმოხელემ შიგ კაკალგულში მოარტყა — ძალიან ბევრი ფეხბურთია ტელევიზორშიო. როგორც ერთი რიგითი სატელევიზიო ფეხბურთისგან აქამდე მოუღელი კაცი, ვაცხადებ — თუ ასე გაგრძელდა, მალე, ალბათ, გავაფრენ. გავაფრენ და მორჩა.

შარშანწინ რომ გეთქვათ ჩემთვის, ჩემპიონთა ლიგის თამაშზე დაიძინეო, სიცილით მოკვდებოდი. ჩვენ მალიმალ დაცინოდით ხოლმე ერთ ძმაბიჭს, „ოლიმპიკ“ — „მილანის“ თამაშზე დაიძინაო. მაგრამ ერთი წელიწადია აღარც კი გვიხსენებია ეს ამბავი. ალბათ იმიტომ, რომ ახლა ჩვენც სიამოვნებით დავიძინებთ. ახლა კი უნდა გამოვტყდე: მთელი „რეალი“ — „პორტუ“, „ჩელსი“ — „გალათა“ და ა.შ. ტკბილად მეძინა ტელევიზორის წინ. ეს კარგი დასვენება იყო. მაგრამ რად გინდა? ნარკომანია ავადმყოფობაა. მეორე დღეს ჩანაწერებისკენ გამექცა თვალი. მერე საერთოდაც მეორედ ვნახე „ბარსა“ — „არსენალი“. დიდი სურვილის მიუხედავად ვერ გამოვტოვე უეფას თასის საღამოც. არადა, მისი გამოტოვება იმიტომ მინდოდა, რომ შაბათკვირის ფეხბურთებს დასვენებული შევხვედროდი.

გამოვტყდები, რომ ჩემპიონთა ლიგის ცქერას ჯერჯერობით სერია A-ს, პრემიერლიგის და ზოგიერთი ესპანური მატჩის ცქერა მირჩევნია. ჯერჯერობით, მჭირს ეს უცნაურობა და ჩემის მხრივ, ვთხოვდი ბატონ ბლატერს, რომ როგორმე რაიმე ისეთი გამოეგონა, ფეხბურთი რომ გადღაბნილ ტილოს არ დამგვანებოდა, არამედ ნამდვილ ფერწერად დარჩენილიყო.

აბა, სხვა რა ვქნა?

ტოტალიზატორს მე არ ვთამაშობ, რომ ტელეტექსტის შეხედვით მოვიკლა ინტერესი და ამგვარად დავისვენო. პრემიერლიგის და სერიის ცქერაზე უარს ვერ ვიტყვი და ამხელა ჩემპიონთა ლიგის ხარჯზე დავისვენო?

ვფიქრობ, მილიონობით გულშემატკივრის გულისთქმაც ესაა.

მაგრამ მოგეხსენებათ, ყველა თავისი სამრეკლოდან რეკსო. მაცქერალი ხალხი რა დღეში ვართ და ფეხბურთელები რაღა დღეში იქნებიან? მერე იტყვიან, ფორმაში არ არისო. მგონი, ისე წავიდა საქმე რომ აღარავინ ვართ ფორმაში.

მართალი ხართ ბატონო ფიფას ნაჩალნიკო ორთვიანი შვებულება გვინდაო. თუმც, რა ვქნათ? ამდენ ხანს იმას ვჩალიჩობდით ბევრი და ძვირი ფეხბურთი იყოსო და ახლა ორ თვეს ვინ დაასვენებს ან გუნდს, ან ტელევიზორს?



„არსენალის“ ნიგერიელი ფავორიტი ინგლისში ყველაზე მომთხოვნი აუდიტორიის გულის მოგებას ლამობს, დედამისი კი კანუთა ოჯახის შელანძღული სახლის წინ მინერალური წყლითა და ბისკვიტებით ვაჭრობს...

ნვანკვო კანუს მამა იჰემე და მისი მეუღლე მგბოკვო

NEWS OF THE WORLD

იყო და არა იყო რა...

ნვანკვო კანუს დედას, მგბოკვოს, ისევე როგორც მის მეულლეს, ფეხბურთელის მამას, იჰემეს, ძალიან უნდოდა მონატრებული ვაჟის ტელევიზიით ხილვა, სურდა თვალი შეეკვლო მათი ყოფისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში მოხვედრილი შვილის თამაშისთვის, მაგრამ რაც ყველაზე, ყველაზე მთავარია თავად მისთვის, მაგრამ...

სამწუხაროდ ქალბატონ მგბოკვოსა და ბატონ იჰემეს ერთი ხნის წინ ამის შესაძლებლობაც არ ჰქონდათ, რადგან როდესაც მათ ეძინათ ბინიდან ფერადი ტელევიზორი მოპარეს, რას იზამ, ასეა, როდესაც მსოფლიოს ერთერთ ყველაზე კორუმპირებულ, ქურდულ-ყაჩაღურ და უკანონო ქვეყანაში ცხოვრობ.

ნიგერიული სტანდარტებით — ქვეყანაში საშუალო ხელფასი დაახლოებით 50 გირვანქაა (80 დოლარი), ისიც თუ სამუშაოს იპოვნი — კანუები ნორმალურად ცხოვრობენ. გარეუბანში, რომელსაც ამაკოჰია ჰქვია მათ ადგილი და ბინა აქვთ ნაქირავები.

22 წლის ნვანკვო „აიაქსში“, „ინტერსა“ და „არსენალში“ ნაშოვნი ფულით ოჯახს ცხადია ეხმარება, მაგრამ მშობლებისთვის გაგზავნილი თანხის უმეტესი ნაწილი ჯერაც დაუსრულებელი სახლის შეძენაზე დაიხარჯა. რაც შეეხება მამისთვის ყოველდღიური ჯაფის არიდებასა და რაიმე მდიდრულის, მაგალითად ტელევიზორის ყიდვას, ეს კვლავ პრობლემად რჩება.

კავშირი გარე სამყაროსთან

იჰემე ფეხბურთს ჯერ კიდევ მაშინ თამაშობდა, სპორტის ეს სახეობა ნიგერიელთათვის არაფერს რომ ნიშნავდა და არც გამდიდრების საშუალებას წარმოადგენდა.

„რა კარგი იქნებოდა ნვანკვოს ხილვა“ — ამბობს მამა — „ტელევიზორი მოგვპარეს და ახლა სხვებზე ვართ დამოკიდებული. მათ უნდა გვითხრან შედეგები და ჩემი შვილის თამაში აგვიღწერონ.

ადრე ტელევიზორი რომ გვქონდა, რასაც პირდაპირ ვერ ვუცქერდით, ვიდეოზე ვრთავდით. დღეს ეს სიამოვნება მოგვაკლდა. სამწუხაროდ გარე სამყაროსთან კავშირი მოგვისპეს, მაგრამ აუგი როგორ წამომცდება. ნიგერიაში მთავარია თავს არ დაგესხან და ყაჩაღობით არაფერი წაგართვან, თორემ ქურდობას ვინ ჩივის.

ამას წინათ, მანქანა წამართვეს. აი, შიში მაშინ ვჭამე. სამი შეიარაღებული კაცი თავს დამესხა და გადმოსვლა მიბრძანა. მანქანის გადარჩენა შეუძლებელი გამოდგა. ნამდვილად მესროდნენ. ხუმრობა ვცადე, მაგრამ ძალიან სერიოზულები იყვნენ. შემდეგ ერთმა დამქაჩა. ორივენი მტვერში გავკოტრიალდით.

გასაღების მოსროლა ვცადე, მაგრამ დაინახეს აიღეს და... რა ვუყო, ცხოვრება გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე ნივთები. ხომ გეუბნებით, იღბალს არ ვუჩივი, უარესი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ტელევიზორი როგორ წაიღეს იცით? არც მეტი არც ნაკლები, რომ გვეძინა ფანჯარა ჩატეხეს, შემოძვრნენ, ხელი დაავლეს და წავიდნენ. ახლის ყიდვა კი ჩემი ოჯახისთვის იოლი საქმე არ არის.

ადრე თუ გვიან მაინც შევიძენ ახალს. ტელევიზორი გონებას ანვითარებს. ჯერ ერთი ბევრს სწავლობ, მეორეც, როდესაც ნვანკვოს ნაირი შვილი გყავს, იქნებ თვალიც მოკრა.

საძირკველი

„ტელევიზორის ეკრანთან მსხდომთ ასე გვეგონა მის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით“ — ამბობს იჰემე

იცით, როგორ უნდა მიხვიდეთ ამაკოჰაში? ეს გახლავთ ქალაქ ოუერის გარეუბანი, თავად ქალაქი კი იმოს შტატის ცენტრია. ერთი, მთავარი გზა გრუნტისაა, დანარჩენი კი მტვრისა და ტალახის. კანუების სახლი სანახევროდაა აშენებული, ცენტრში ნვანკვოს დიდი სურათი დგას.

შიშველი, გაჯწასმული კედლებიც ნვანკვოსა და მისი უმცროსი ძმის, „აიაქსში“ აყვანილი ოგბონაიას ფოტოებითაა სავსე. გამოკრულია უმცროსი დის ნენაიას და კიდევ ერთი ძმის გოდვინგის გამოსახულებებიც, ხოლო ღობის გარეთ დედა მგბოკვო თავისი საქმითაა გართული — წყალსა და საკვებს ყიდის.

ახლომახლო კი არაფერია ისეთი ოუერის ყველაზე ცნობილი შვილის ნვანკვო კანუს არსებობაზე რომ მიუთითებდეს. მაღაზიებში ერთ პლაკატსაც ვერ ნახავთ, მაგრამ მამა ამბობს: „მისი სახე ხალხის გულშია“.

„ჩვენში“ — განმარტავს იჰემე — „ფოტოს ან პლაკატის ყიდვაც ფუფუნებაა. ადამიანთა უმეტესობა თავს ამის უფლებას ვერ მისცემს, ჩვენ კი ვინმეს გაღიზიანება არ გვსურს. მხოლოდ იმიტომ, რომ თავის გამოკვება შეგვიძლია ამპარტავნობას ვერ დავიწყებთ.

ჩემი ვაჟი რომ ჩამოვა შინ გაჩერდება. ლოგინები საკმარისად გვაქვს. სასტუმროებში ფულის ფლანგვის ნებას არ მივცემ“.

ნვანკვო კანუს ნიჭი ჯერ კიდევ იესოს ეკლესიაში მოსწავლეობის დროს გამოჩნდა, თუმცა ნამდვილი გაქანება მაშინ მიეცა ბავშვთა მწვრთნელის შედრაკ აჯაროს ფრთისქვეშ რომ მოხვდა.

აჯაერო ამბობს: „მე მასში გამთამაშებლის ნიჭი აღმოვაჩინე. ბიჭს ტემპის კონტროლისა და ლიდერობის უნარი ჰქონდა. მაშინვე მივხვდი, რომ ნვანკვოსგან დიდი ფეხბურთელი გამოვიდოდა.

იგი დაუზარელია. მის სასკოლო ჩანთაში წიგნებზე ხშირად ბუცები იდო. ბედნიერი ვარ, კაცს, რომელიც გავზარდე მსოფლიო იცნობს. ის ჩემთვის შვილივითაა, თუმცა ერთი სტუმრობა მართებს. ნვანკვომ ოპერაცია რომ გაიკეთა ცუდად ვიყავი. მეგონა მისი კარიერა დასრულდებოდა, მაგრამ რომ შევიტყვე ექიმები თამაშის ნებას რთავენო, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა.

დღეს იგი ასაკით და ფეხბურთით ზრდასრულია. ნვანკვოს კარიერის მწვერვალს 2002 წელს ველი“.

კანუების ოჯახი უკიდურესად რელიგიურია. სწორედ რწმენამ გადაატანინა ის მძიმე დროება ყმაწვილი გულის ოპერაციას რომ იკეთებდა.

ხსნა

„ინტერში“ რომ თამაშობდა ექიმებმა გულის უმძიმესი დაავადება აღმოუჩინეს, საქმე მის კარიერას კი არა, სიცოცხლესაც ეხებოდა.

გაოგნებულმა იტალიელებმა ოპერაცია ამერიკაში ჩაუწყვეს. აორტის დეფორმირებული სარქველი უნდა გამოეცვალათ. ოპერაციამ ხუთ საათს გასტანა, რის შემდეგაც ნვანკვო კალიფორნიის აღდგენით ცენტრში გადაიყვანეს, სადაც ორი იაპონური ძაღლი კალი და ტედი მიამაგრეს. კანუ, კალი და ტედი კროსებს დარბოდნენ, გამძლეობა ბრუნდებოდა.

ოპერაცია ოპერაციად და ფსიქოლოგიური რისკიც დიდი იყო. „ინტერი“ და კანუს ყოფილი კლუბი „აიაქსი“ მკურნალობის თანხის გაღებას ერთმანეთს თხოვდნენ. მილანელები ამბობდნენ ჰოლანდიელებმა ნაწილი მაინც გადაიხადონო.

გადარჩენა ოჯახმა ღვთის წყალობად აღიქვა. იჰემე ამბობს:

„პანიკას ერთი წუთით არ ავყოლივართ. გვწამდა, რომ ნვანკვო თავს დააღწევდა. ყველაფერი უფალს მივანდეთ. ხალხი ლამის სამძიმარზე მოდიოდა, ტიროდა, ჩვენ კი ყველას ვაწყნარებდით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გვიძინია. ჩვენ ვლოცულობდით.

ჩვენ ყოველთვის, ყველაფერში ღმერთს ვენდობით და ხსნის გზაც ეს გვაქვს.

როდესაც ნვანკვო მოზარდი იყო და რომელიღაც ქალაქში ფეხბურთის სათამაშოდ მიდიოდა, იგი მანქანიდან ჩამოსვეს, გრძელი ფეხები გაქვს და გვიშლიო. ის რომ ჩამოვიდა მანქანა ავარიაში მოყვა. ამ ხსნისთვის ღმერთს ვწირავთ მადლობას.

იყო კიდევ ერთი შემთხვევა. რელიგიური შეხლა-შემოხლა მძვინვარებდა. მაშინ მრავალი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ნვანკვო სწორედ კონფლიქტის ცენტრიდან შინ მშვიდობით დაბრუნდა.

ჩვენ არასდროს ვუწყით რა მოხდება ხვალ, მაგრამ ნვანკვომ იცის, რომ სადაც არ უნდა იყოს, მისი ოჯახი და ხალხი მასთანაა“

NEWS OF THE WORLD-ის მიხედვით მოამზადა ბაბუნა კედია



NEWS OF THE WORLD

სახლი, სადაც ცხოვრობენ კანუს მშობლები

საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

ბიჭო, აღარა ქრონიკებით?

— შერცხვენილი ვინ უნდა იყოს, მე ვიცი.

— მგონი არავინ შერცხვენილა. „მარიბორიც“ კი არ გამოდის შერცხვენილი.

— შენ რა ლექსებს მეუბნებოდი „ბარსელონაზე“, გახსოვს?

— დიახ.

— მერე ეხლა სად არის ეგ ლექსები?

— იცი, რა? თქვენი ბედი რომ მსაჯად კოლინა არ იყო, თორემ „არსენალიდან“ მარტო ვენგერი დარჩებოდა იმ სტადიონზე.

— დე ბურები და ბოგარდი ხომ მიშა ბარაშნიკოვები არიან. მოკლედ, ჰაიბერიზე გვნახეთ ორ კვირაში.

— გნახამთ, გნახამთ...

— გვნახეთ, გვნახეთ.

— იძახე ახლა, აღარ დაამთავრო.

— ვიძახებ, თავი ქუდში მაქვს.

— მართლა და, როდემდე უნდა იწვალოთ იმისთვის, რომ ბოლო წუთებზე ბურთი შეტენოთ კარში?

— ერთი მითხარი, გიგზი გვყავდა?

— აუჰ, რა კაცი კლებიათ?

— გარი ნევილი გვყავდა?

— დედა, დედა. სულ ვარსკვლავები...

— რონი იონსენი გვყავდა?

— მასე, კანტონამაც დანება თავი.

— რიი კინიც არ გვყავდა.

— ეგრე, „ბარსას“ კლუბივერტი არ ჰყავდა.

— რა კლუბივერტებს მეუბნები, კვენტონ ფორჩუნით ვიგებ თამაშებს.

— ჯერ „საუთჰემპტონს“ მოუგე.

— შენ რომ „ალავესთან“ ქულას აიღებ, მე „საუთჰემპტონს“ მაშინ მოვუგებ.

— კიდევ კარგი ტაიბი არ დაუშვეს ლიგაში.

— ისე, ვან გაალი მართლა მაგარი ყოფილა.

— დაცინვა ყველას შეუძლია.

— პირიქით, დიდი მადლობელი ვარ. ისეთი დროება გამახსენა ლიტმანენის გამოყვანით, რომა...

— ეჰ, ლიტმანენი...

— არ გეწყინოს და არ უხდება „ბარსას“ ფორმა.

— კანუს რომელი ფორმა უხდება?

— ჩვენ ისე ვჩხუბობთ, გეგონება უკვე ფინალში ვიყოთ.

— ალბათ, ეგრეც იქნება.

— ბევრი წამოყოფს თავს. „რეალი“ გადასარევია.

— ეგ მეორედ არ მითხრა, თორემ ურთიერთობას გავწყვეტ შენთან.

— დიდებულია და კიდევ უფრო დიდებული იქნება.

— „ლაციო“ მაინც შემიქმ, ეკუთვნის კიდეც.

— მე ბავშვობაში „რეალი“ მიყვარდა.

— და გაზა?

— ნუ მეკითხები.

— გაზა არ გიყვარდა?

— ჰოდლი მერჩივნა, მაგრამ არ თამაშობდა. ისე გამეგონა, რომ ჰოდლი უნდა გერჩივნოსო...

— მერე რა გამოვიდა?

— მერე ავმა სულებმა გაზა დაამარცხეს, ჰოდლმა კი ავი სულები დაამარცხა. იმის შემდეგ „მანჩესტერის“ მხარეს ვარ.

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება — 19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორია გაცოცხლდება. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი.
რეფერენდუმის პირველ ნომინაციაში („საქართველოს საუკუნის სპორტსმენი") გამარჯვებულთა ვინაობა უკვე ცნობილია

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.
2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?
3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

მურთაზ ხურცილავა

ფეხბურთი

დაბადა 1943 წლის 5 მაისს, მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში.
სპორტის დამსახურებული ოსტატი.
სსრკ ჩემპიონატების ხუთი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი (1972)
მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების (1972) ბრინჯაოს მედალოსანი,
სსრკ ჩემპიონატში ჩაატარა 292 მატჩი (გაიტანა 15 ბურთი),
სსრკ თასი — 31 (1),
საერთაშორისო მატჩები — 47 (5),
ევროპის საკლუბო ტურნირები — 6
სსრკ ნაკრებში — 70 (7),
კაპიტნობდა საბჭოთა ნაკრებს, ათჯერ იყო დასახელებული „33 საუკეთესოს" შორის

1. ყველაზე სასიამოვნო მოგონება თბილისის „დინამოში" მისვლა იყო 1961 წელს, ყველაზე ცუდი კი — „დინამოდან" წამოსვლა. ეს 1975 წელს მოხდა.
2. ახლა სპორტი ბედის ანაბარადაა მიტოვებული. თუ სახელმწიფო მისკენ არ მოიხედავს, არაფერი ეშველება. ქვეყნის ხელისუფალნი უნდა მიხვდნენ, რომ სპორტი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა ან სხვა დარგები.
3. მიხეილ მესხი, რომან რურუა, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ქეთევან ლოსაბერიძე

ხოფერიამ არ გარისკა და სიდნეის გზას დაადგა

ბადრი კეთილაძის ფოტო

რუსუდან ხოფერია

გუშინწინ ქართველი ბატუტისტები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ სან სიტიდან დაბრუნდნენ. იქ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა, რომელმაც მედლებთან ერთად ოლიმპიური ლიცენზიებიც გაანაწილა. საქართველოდან მხოლოდ ზაზა აბრამიშვილი და რუსუდან ხოფერია ასპარეზობდნენ. წასვლამდე ორივე ლიცენზიისა და მედლის კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ დამთავრდა მსოფლიოს პირველობა, შედეგი კი ტექნიკურ ცხრილში აბრამიშვილის გვარს ბოლოსკენ თუ წაწყდებით, ხოფერია კი მეთორმეტეა, თუმცა ეს ლიცენზიის მოსაპოვებლად მაინც ეყო.

–ფედერაციაში მისულს საქმიანი ატმოსფერო დამხვდა. პრეზიდენტ ომარ ლონდაძეს თანამშრომლები თავის კაბინეტში შეეკრიბა და ჩემპიონატის პერეპეტიებზე ესაუბრებოდა. შეკრება როგორც კი დამთავრდა, თავად ლონდაძეს, ხოფერიასა და მის მწვრთნელ ზაურ სულაშვილს გავესაუბრეთ.

თავდაპირველად ბატონ ზაურს დავეკითხეთ.

— როგორ შეაფასებდით ჩვენებურთა გამოსვლას სან სიტის მსოფლიოს ჩემპიონატზე?

— სან სიტიში ჩვენი უმთავრესი მიზანი ლიცენზიების მოპოვება იყო. ხოფერიამ დასახული ამოცანა შეასრულა, აბრამიშვილმა — ვერა. ის ამ ჩემპიონატისთვის კარგად ემზადებოდა. გერმანიაში, დასკვნით შეკრებაზეც ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ შუა შეკრებისას ბატუტის ჩარჩოზე ფეხი გადაიტრიალა და კოჭის მყესები დაიწყვიტა, თან ძირს ჩამოვარდა. ამ დროს დაზღვევაზე ხოფერია იდგა. ზაზა მას დაეცა და რუსუდანს მხარიც ატკინა. აბრამიშვილი იქ ფეხშესვეული მაინც გამოვიდა და სავალდებულო ვარჯიშიც კარგად შეასრულა, რის შემდეგაც ლიდერებს ცოტათი ჩამორჩებოდა. მაგრამ სავალდებულო პროგრამაში, მესამე ვარჯიშისას ბატუტიდან გადმოვარდა და ტურნირსაც გამოეთიშა.

ჩემპიონატს რუსუდანიც კარგ ფორმაში შეხვდა, თუმცა შეჯიბრება სუსტად დაიწყო. ეს სავალდებულო ვარჯიშში მოხდა, რამაც მდგომარეობა გაგვირთულა. აქ მსაჯებმაც იმეცარეს და ხოფერია არასწორად დააჯარიმეს. საბედნიეროდ, მან მაინც შეძლო მობილიზება, შეასრულა საკმაოდ მაღალი, 12,1 სირთულის ვარჯიში, რამაც საერთო შედეგებიც გამოასწორა. რუსუდანმა საერთო ჩათვლაში მე-12, ისე კი მე-8 სალიცენზიო ადგილი დაიკავა.

— ზემოთ ბრძანეთ, უმთავრესი ამოცანა ლიცენზიების მოპოვება იყო. მედლების არა?

— როცა ლიცენზიის მოპოვება მხოლოდ ერთ შეჯიბრზეა დამოკიდებული, მაშინ სხვა ვითარებაა. აქ დიდი სიფრთხილეა სიჭირო. რისკი გაუმართლებელია, რადგან ერთ მოძრაობას შეუძლია, ულიცენზიოდ დაგტოვოს. ამ ეტაპზე ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ოლიმპიადზე მოხვედრა იყო.

ამ დროს საუბარში ომარ ლონდაძე ჩაერთო.

— მედალზე ყველა სპორტსმენი ოცნებობს, მაგრამ აქაური სიტუაცია განსხვავებული იყო, რაზეც ზაურმა უკვე ისაუბრა. ამიტომ თავიდანვე ძირითადად ლიცენზიის მოპოვებაზე ვფიქრობდით. თუ ამასთან ერთად საპრიზო ადგილიც იქნებოდა, მთლად უკეთესი, მაგრამ მედალი მაინც უკანა პლანზე იდგა.

აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მთელი რიგი ქვეყნების გუნდებში 4-4 სპორტსმენი გამოდიოდა, რომლებიც ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ ლიცენზიებისთვის. ამიტომ მათ მაქსიმუმი გააკეთეს. ხოფერიას კი ეს პრობლემა არ აწუხებდა. მას ხომ ჩვენგან არავინ ეცილებოდა. ამიტომ არ გავრისკეთ. მედალს რომ გამოჰკიდებოდა და ურთულესი ილეთები შეესრულებინა, შეიძლება ულიცენზიოდ დარჩენილიყო. ამჯერად აქცენტი მხოლოდ ლიცენზიაზე გავაკეთეთ, მედალზე კი ოლიმპიადაზე ვფიქრობთ.

— ზემოთ გუნდებში არსებულ კონკურენციაზე ბრძანეთ. ეს ხომ სპორტსმენებს დამატებით ფსიქოლოგიურ ბარიერად აწვებოდათ, ხოფერია კი ამისგან თავისუფალი იყო.

— ესეც მართალია, მაგრამ ამ დაწოლას ხომ ყველა ერთნაირად ვერ უძლებს. იმ გუნდებში ზოგან ისე მოხდა, რომ ლიდერებს შედარებით სუსტებმა აჯობეს. ვისაც ფინალში რამდენიმე კაცი გაუვიდა, ლიცენზიები მათმა ფედერაციებმა მიიღეს, ისინი კი საგზურებს თავიანთი შეხედულებისამებრ გაანაწილებენ. ამიტომ ასეთი გუნდებიდან ულიცენზიოდ დარჩენილებს მისი მიღების შანსი მაინც აქვთ, ჩვენ და ჩვენსავით თითო კაცით წარმოდგენილ ფედერაციებს კი ამის საშუალება არ გვაქვს, იმ ერთადერთ სპორტსმენს შევყურებთ და მისი შეცვლის უფლება არა გვაქვს. ხოფერიას სხვების იმედი არ ჰქონდა. ამიტომ მისი ტვირთი არაფრით მსუბუქდებოდა.

ეს თემა რუსუდან ხოფერიამ გააგრძელა.

— ჩემი მზადების ფონზე ჩემპიონატზე ასპარეზობით უკმაყოფილო ვარ. მართალია, სხვა ქვეყნის გუნდებში ოთხ-ოთხი სპორტსმენი ასპარეზობდა, რომლებიც ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ თუ რომელიმე ლიცენზიას მოიპოვებდა, ფედერაციას ის შეიძლებოდა მისთვისისაც გადაეცა, ულიცენზიოდ დარჩენა მათთვის იმედის გადაწურვას არ ნიშნავდა. ჩემს შემთხვევაში კი ასე არ იყო. ლიცენზიის დაკარგვა ოლიმპიადაზე მოხვედრის შესაძლებლობას საბოლოოდ მისპობდა. ამის ძალიან მეშინოდა, რამაც სავალდებულო ვარჯიშშიც შემიშალა ხელი. ჩემი მე-12 ადგილიც ამან განაპირობა, მაგრამ ლიცენზიის მოპოვებით კმაყოფილი ვარ. ეს ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი იყო, მედალზე ნაკლებად ვფიქრობდი. ჩვენთან პატარა შეცდომით შეიძლება ყველაფერი დაღუპო, როგორც ეს ზაზა აბრამიშვილს მოუვიდა. ჩვენ ფონს გასვლას ვარჯიშების საშუალო დონეზე შესრულებით ვგეგმავდით, რაც შევასრულეთ კიდეც.

— ასე რატომ გეშინოდათ? თქვენ ხომ არც ტიტულები გაქლიათ და არც გამოცდილება, თანაც, მეტოქეებსაც კარგად იცნობთ.

— ბატუტი ისეთი სახეობაა, რომ შეიძლება საქართველოს ჩემპიონატზეც კი წავაგო. აქ უმნიშვნელო შეცდომაც კი აფუჭებს საქმეს.

— მზადების პირობებით კმაყოფილი ხართ?

— დიახ. თბილისში კარგად მოვემზადეთ, აღარაფერს ვამბობ გერმანიაზე, რაც თბილისში დაგვაკლდა მზადების თვალსაზრისით, იქ ავინაზღაურეთ.

— სიდნეიშიც შეგეშინდებათ?

— სიდნეიში დასაკარგავი აღარაფერი მექნება. თუ იქ საპრიზო სამეულში ვერ მოვხვდი, სხვა ადგილს რა მნიშვნელობა აქვს. სამეულში მოსახვედრად ყველაფერს გავაკეთებ. იქ ურთულესი ვარჯიშით — 13,0 სირთულის კოეფიციენტით მინდა გამოსვლა. ამაზე უკვე ვვარჯიშობ.

— თქვენი მეტოქეები სან სიტიში როგორ გამოიყურებოდნენ?

— ყველა კარგ ფორმაში იყო. გაოცებული დავრჩი, იმდენად წინ წაუწევიათ თუნდაც შარშანდელთან შედარებით. ერთი უზბეკი გოგოა, ეკატერინა ხირკო. ადრე ჩვენთან, ლიდერებთან, ახლოსაც ვერ მოვიდოდა. საქართველოს ჩემპიონატში სამეულშიც ვერ შევიდოდა, ახლა კი ლიცენზია მოიპოვა. დონე ძალიან გაზრდილა. ასეთ პირობებში სხვანაირად უნდა ვიმუშაოთ, რათა სხვებმა არ გაგვასწრონ.

— ბატონო ომარ, რას გააკეთებს თქვენი ფედერაცია საიმისოდ, რომ ქართველი ბატუტისტები საერთო პროგრესს არ ჩამორჩეს?

— დღეს ჩვენთვის მთავარი ხოფერიას მზადებაა, თუმცა მჯერა, რომ 2004 წლის ოლიმპიადაზე ზაზა აბრამიშვილიც ლიდერებში იქნება. ხოფერიას არც მე მოვაკლებ რამეს, არც ზაურ სულაშვილი და არც სხვა ვინმე, მაგრამ მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. რუსუდანს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებს. ამიერიდან მას დარბაზში ვიდეოკამერაც ექნება, რაც საკუთარ შეცდომებზე დაკვირების საშუალებას მისცემს. ეს კი ტექნიკის სრულყოფაში დაეხმარება.

— სან სიტიში აკრობატთა მსოფლიოს ჩემპიონატიც გაიმართა. ჩვენებურმა ვეფხია ხუბაევმა როგორ იასპარეზა?

— მასაც გამოცდილება არ ეყო. ესოდენ დიდ ტურნირზე პირველად იყო და იქაურმა ატმოსფერომ დააბნია. ამას მცირე ტრავმაც დაემატა და საბოლოოდ ხუბაევი მე-11 ადგილზე გავიდა. თუმცა ბოლო ილეთში ნახევარი ბრუნით მეტი რომ გაეკეთებინა, სამეულშიც კი შევიდოდა. ალბათ, 2004 წლის ოლიმპიადის პროგრამაში აკრობატიკასაც შეიტანენ. თუ ეს მოხდა, ჩვენ სათანადოდ მომზადებული ოლიმპიელი გვეყოლება.

ირაკლი თავაძე

საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

თბილისი. ვერის ბაღი
1 ოქტომბერი

მაკაბი 83:60 დინამო

I ტაიმი 42:32

მაკაბი: დ. ბერიშვილი (28), ი. ბერიშვილი (15), მჭედლიშვილი (10), ბ. ნოზაძე (17), ფერიაშვილი (12); გვარაძე, ლასარეიშვილი, კვარაცხელია (1)

დინამო: ნიკოლაძე(25), მეგრელიშვილი (8), ახვლედიანი (1), ცხვედიანი (11), ყველაშვილი (8); ორდენიძე, ენდელაძე (5), ზერეკიძე, უჩუმბეგაშვილი (2), მთვარაძე

მსაჯები: როლანდ გელოვანი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

თბილისი. ვერის ბაღი
1 ოქტომბერი

ვითა 93:84 სდასუ

I ტაიმი 47:34

ვითა: უსტიაშვილი (5), ტურაშვილი (22), გ. გაგნიძე (21), შანიძე (18), კოკოლიშვილი (24); პაპასკირი (3), ჩხაიძე

სდასუ: ხოშტარია (36), უძილაური (19), ლ. აბულაძე, სუხიშვილი (11), მაჭარაძე (9); ნ. ნოზაძე (7), გ. ჩხეიძე (2), ანდღულაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

თბილისი. ვერის ბაღი
1 ოქტომბერი

ასკ 73:94 აზოტი

I ტაიმი 44:52

ასკ: მარხვაშვილი (4), აკოლაშვილი (10), ზუბიაშვილი (8), ჩავლეიშვილი (22), ნუცუბიძე (13); ფანჯიკიძე, ლაცაბიძე (1), ბერიძე (3), ღვინაშვილი (2), ბიძინაშვილი (10)

აზოტი: ა. ულენტი (13), გოგობერიშვილი (21), ჯიმშელეიშვილი, ბაბიაშვილი (13), მ. ბერუაშვილი (14); გაბისონია, გოგოლაძე (9), ჩაჩუა (8), კოჭლამაზაშვილი (4), ნიკლაური (8), დანელიანი (4)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ლაშა თოიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

ვურგა დოლიძეაშვილის ფოტო

ვითა — სდასუ 93:84. ვითელები ირაკლი შანიძე (მარჯვნივ) და ნუგზარ კოკოლიშვილი ერთმანეთს ბურთს ეცილებიან

ლევან მოსეშვილმა ახალი ისტორია მარცხით დაიწყო

ვერის ბაღში გუშინ მეცხრედ აღიმართა ქვეყნის ეროვნული დროშა. ასევე მეცხრედ აფღერდა საქართველოს ჰიმნი. ეს კი ნიშნავს: მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო!

„გახსნის ცერემონიალზე" სხვა ისეთი არაფერი მომხდარა, აღნიშვნად რომ ღირდეს. რაც ზემოთ ვთქვი, სულ ეგ იყო. და კიდევ, ფედერაციის გენერალური მდივნის, აკაკი მეგრელაძის წინასაჩემპიონატო პატაკი...

აგერ უკვე მერამდენედ შევუყევით ნაცად ეკლიან გზას, ეროვნული პირველობა რომ ჰქვია. შეეუდექით იმიტომ, რომ ავად თუ კარგად, ჯერ კიდევ ცოცხლობს ქართული კალათბურთი. ეს სახეობა ჩვენში ჯერაც არ გადაჯიშებულა და ვითამაშებთ მანამ, სანამ... თავად არ გადავჯიშდებით.

გახსნას წინ „მაკაბი" — „დინამოს" დაპირისპირება უსწრებდა. სწორედ ეს მატჩი გახლდათ მეცხრე ეროვნულის პირველი შეხვედრა, მაგრამ რაკი გულშემატკივართა ინტერესი „ვითა" — სდასუ-სკენ მეტად იხრებოდა, სჯობს, ახალი ჩემპიონატის საწყისი ტურის პირველი დღის შეხვედრათა მიმოხილვა სწორედ აქედან დავიწყოთ.

ვერის ბაღში შეკრებილი არცთუ მრავალრიცხოვანი ქომაგობა თავიდანვე არახული ფაქტის მოწმე შეიქნა. სტუდენტურ გუნდს ლევან მოსეშვილი გამოუძღვა, რომლის სახელიც თითქმის ისევე ერწყმის „დინამოს", როგორც ყველი — პურს. ამ სასაგზლო საკვების დაშორიშორება ნებისმიერი ჩვენგანისთვის წარმოუდგენელიც კია, მოსეშვილის და „დინამოს" შემთხვევაში კი არც მთლად ასე ყოფილა საქმე. ქართული კალათბურთის ექს-ფლაგმანში დაახლოებით ორმოცწლიანი მოღვაწეობის შემდეგ პირველად ისტორიაში ლევან მოსეშვილს სხვა კლუბის გაწვრთნის პატივიც ერგო. მარად „დინამოს" მწვრთნელი სტუდენტურმა პერსპექტივებმა თუ მოხიბლა.

ძნელი სათქმელია, ეს ვარაუდი რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ გუშინდელი მატჩის შემხედვარე, მოსეშვილის ახალი სამწყსოს მომავალზე საუბარი უსაფუძვლოც კია — შვიდგზის ჩემპიონ „ვითას" განახევრებულ შემადგენლობასთან სდასუ-მ პირწმინდად წაგო.

„ვითას" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ამ შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. იგი თამაშში საერთოდ არ ჩარეულა და ვითელთა ქმედებას მისი ასისტენტები, გელა წულაძე და მიხეილ კობეშავიძე აკონტროლებდნენ. მატჩის შემდეგ ტომარაძე კმაყოფილებას არც მალავდა: „მინდა, ჩემმა თანაშემწეებმა მეტი პრაქტიკა მიიღონ და ეს ნაბიჯი ამიტომ გადავდგი. როგორც ხედავთ, წულაძე — კობეშავიძის დებიუტი წარმატებული გამოდგა. ორიევეი ქმაყოფილი ვარ და მიხარია, რომ ჩემი საკალათბურთო კონცეფციები მათსას ემთხვევა. ეს გარედან უფრო ცხადად შევიგრძენი".

ჩემპიონები მატჩამდე უცენტროდ დარჩნენ. ულიცენზიო გულივერ ახალკაცს თამაში არ ერგებოდა და გუნდის სათამაშო ტაქტიკაც მწვრთნელებმა ისე გათვალეს, რომ უცენტრობა ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო. ვითელები დაცვაში ზონურად გამაგრდნენ, შეტევაში კი პირველი პასის ფაქტორი აამოქმედეს. სდასუ-ც ზონურად იცავდა თავს, მაგრამ საწყის წუთებში სისწრაფეში აშკარად იჩაგრებოდა. „დინამოდან" გადმობირებული ირაკლი შანიძის აქტიურობამ და ექსსტული გიორგი გაგნიძის გარღვევებმა სტუდენტებს გვარიანი საფიქრალი გაუჩინა. სდასუ გვიან გამოერკვა, როცა უკვე 0:9 აგებდა და პირველივე რიგიანი კომბინაცია შოთა უძილაურმა სამიანით დაასრულა. „დინამოში" მოსეშვილის ფავორიტმა, სდასუ-ში გადმობარგებულმა ირაკლი ხოშტარიამ კიდევ უფრო შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ შეტევის გაუმჯობესების ხარჯზე სტუდენტთა დაცვითი თამაში გაუარესდა. საწყის ექვს წუთში სდასუ-ს დაცვამ წარმოუდგენლად ბევრი, 23 ქულა გაუშვა და მეტოქესაც თვალშისაცემად ჩამორჩა 7:23.

მოგვიანებით თამაში გათანაბრდა, მას შემდეგ, რაც სდასუ-მ ტემპს უმატა, თუმცა ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ ეს არ კმაროდა და მოსეშვილსაც სხვა ხერხის მიგნება მართებდა. იქნებ დაცვაში პერსონალური თამაშით ეხეირათ სდასუ-ელთ, მაგრამ მოსეშვილს მსგავსი რამ არც კი უფიქრია, რაც პირადად ჩემთვის გაუგებარი დარჩა. მეტოქე-კოლეგის პასიურობამ ვითელთა მწვრთნელებს ახალი გზები უკარნახა. მათ უკანახაზელი გიორგი გაგნიძე წინა ცენტრზე განაწესეს და ამით საოცარი ეფექტი მიიღეს. ჯანმაგარი გაგნიძე ამ პოზიციიდან უპრობლემოდ ჭრიდა მეტოქის ფარისკენ სავალ გზას და ან კალათში აგდებდა, ანაც ჯარიმით აჩერებდნენ. ტაიმიც ასე გაიღია და სულ ბოლოს ირაკლი ხოშტარიას აქტიურობა რომ არა, სათუო აღარაფერი იქნებოდა.

მეორე ნახევარი სდასუელთა შეტევებით დაიწყო. უძილაურმა შორი მანძილიდან ივარგა, მაგრამ გამოცდილმა უსტიაშვილმა დროულად შეძლო ბურთის დაჭერა, კომბინაციები დახლართა და მამუკა ტურაშვილის სამიანის შემდეგ სხვაობამ 22 ქულასაც უწია: 64:42 — წინ „ვითაა".

ჩემპიონებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მოეშვნენ. სდასუ გამოერკვა, მოწინააღმდეგის უყურადღებობით ისარგებლა და სხვაობის შემცირება იწყო. უძილაურის ხელიზედ ორმა სამიანმა სტუდენტებს მატჩის სათავისოდ შემობრუნების იმედი შეუნარჩუნა, მაგრამ ვითელთაგან მამუკა ტურაშვილი ფხიზლობდა და მდევართ წამოწევის საწუალებას უსპობდა. კრიტიკულ მომენტებში ტურამ სამიანიც ჩააგდო და ზუსტი გარღვევებიც განაგრძო. „დინამოდან" გადმობირებული ირაკლი შანიძის აქტიურობამ და ექსსტული გიორგი გაგნიძის გარღვევებმა სტუდენტებს გვარიანი საფიქრალი გაუჩინა. სდასუ გვიან გამოერკვა, როცა უკვე 0:9 აგებდა და პირველივე რიგიანი კომბინაცია შოთა უძილაურმა სამიანით დაასრულა. „დინამოში" მოსეშვილის ფავორიტმა, სდასუ-ში გადმობარგებულმა ირაკლი ხოშტარიამ კიდევ უფრო შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ შეტევის გაუმჯობესების ხარჯზე სტუდენტთა დაცვითი თამაში გაუარესდა. საწყის ექვს წუთში სდასუ-ს დაცვამ წარმოუდგენლად ბევრი, 23 ქულა გაუშვა და მეტოქესაც თვალშისაცემად ჩამორჩა 7:23.

მოგვიანებით თამაში გათანაბრდა, მას შემდეგ, რაც სდასუ-მ ტემპს უმატა, თუმცა ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ ეს არ კმაროდა და მოსეშვილსაც სხვა ხერხის მიგნება მართებდა. იქნებ დაცვაში პერსონალური თამაშით ეხეირათ სდასუ-ელთ, მაგრამ მოსეშვილს მსგავსი რამ არც კი უფიქრია, რაც პირადად ჩემთვის გაუგებარი დარჩა. მეტოქე-კოლეგის პასიურობამ ვითელთა მწვრთნელებს ახალი გზები უკარნახა. მათ უკანახაზელი გიორგი გაგნიძე წინა ცენტრზე განაწესეს და ამით საოცარი ეფექტი მიიღეს. ჯანმაგარი გაგნიძე ამ პოზიციიდან უპრობლემოდ ჭრიდა მეტოქის ფარისკენ სავალ გზას და ან კალათში აგდებდა, ანაც ჯარიმით აჩერებდნენ. ტაიმიც ასე გაიღია და სულ ბოლოს ირაკლი ხოშტარიას აქტიურობა რომ არა, სათუო აღარაფერი იქნებოდა.

მეორე ნახევარი სდასუელთა შეტევებით დაიწყო. უძილაურმა შორი მანძილიდან ივარგა, მაგრამ გამოცდილმა უსტიაშვილმა დროულად შეძლო ბურთის დაჭერა, კომბინაციები დახლართა და მამუკა ტურაშვილის სამიანის შემდეგ სხვაობამ 22 ქულასაც უწია: 64:42 — წინ „ვითაა".

ჩემპიონებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მოეშვნენ. სდასუ გამოერკვა, მოწინააღმდეგის უყურადღებობით ისარგებლა და სხვაობის შემცირება იწყო. უძილაურის ხელიზედ ორმა სამიანმა სტუდენტებს მატჩის სათავისოდ შემობრუნების იმედი შეუნარჩუნა, მაგრამ ვითელთაგან მამუკა ტურაშვილი ფხიზლობდა და მდევართ წამოწევის საწუალებას უსპობდა. კრიტიკულ მომენტებში ტურამ სამიანიც ჩააგდო და ზუსტი გარღვევებიც განაგრძო. „დინამოდან" გადმობირებული ირაკლი შანიძის აქტიურობამ და ექსსტული გიორგი გაგნიძის გარღვევებმა სტუდენტებს გვარიანი საფიქრალი გაუჩინა. სდასუ გვიან გამოერკვა, როცა უკვე 0:9 აგებდა და პირველივე რიგიანი კომბინაცია შოთა უძილაურმა სამიანით დაასრულა. „დინამოში" მოსეშვილის ფავორიტმა, სდასუ-ში გადმობარგებულმა ირაკლი ხოშტარიამ კიდევ უფრო შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ შეტევის გაუმჯობესების ხარჯზე სტუდენტთა დაცვითი თამაში გაუარესდა. საწყის ექვს წუთში სდასუ-ს დაცვამ წარმოუდგენლად ბევრი, 23 ქულა გაუშვა და მეტოქესაც თვალშისაცემად ჩამორჩა 7:23.

ვურგა დოლიძეაშვილის ფოტო

მაკაბი — დინამო 83:60. მაკაბელი ალექსანდრე ფერიაშვილი (მარცხნივ) გიორგი ნიკოლაძის (№8) წინააღმდეგ

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის შეტროსთან
☎ 60 21 23

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. II ტური. 29-30 სექტემბერი

A ჯგუფი

ბარსელონა 69:51 ბენეტონი

ბარსელონა: ალსტონი (12), დე ლა ფუენტე (17), დიგბო (3), დუენიასი (4), ელსონი (4), გოლდვაიერი (3), გუროვიჩი (9), ნავარო (14), როდრიგესი (3)

ბენეტონი: ბულერი, დი სპალატრო (4), მარკონატო (4), ნეესი (5), ნიკოლა (7), პიტისი (6), სანტოსი (6), შეპარდი (5), ტრაინა (4)

ცსკა 86:82 ცრვენა ზვეზდა

ცსკა: ალანოვიჩი, დაინეკო (15), ეინკისი (12), კარასიოვი (17), კირილენკო (12), კუდელინი (16), პანოვი (5), სკელინი (5), ტიხონენკო, ვეტრა (4)

ცრვენა ზვეზდა: ბოშკოვიჩი (8), იესტრატიევიჩი (20), ლუკოვსკი (9), რადმანოვიჩი (11), რაკოჩევიჩი (12), ტოპალოვიჩი (2)

პაოკ 83:76 შოლე

პაოკ: ალექსანდერი (26), ბალოიანისი, ბაზარევიჩი (2), კოლდებელა (11), ედვარდსი (24), იანულისი (12), მასლარინოსი (8), ვეტულასი

შოლე: ბილონი (2), ჩაილდრესი (26), დიუბო (5), ევოდო (17), კარავალია, გოტიე (2), ჰეიესი (11), ჟანო (5), მილერი (8)

B ჯგუფი

რეალი 60:70 ჟალგირისი

რეალი: ა. ანგულო (5), ლ. ანგულო (11), ჯორჯევიჩი (15), გალილეა (2), გნადი (2), ერეროსი (6), იტურბე, ლარსენი, სკოტი (7), სტრიულენსი (12)

ჟალგირისი: ბეკი (4), გრგატი, მასიულისი (9), შესტოკასი, სლანინა, სტუმბრისი (7), ტიმინსკასი (16), ზიდეკი (12), ე. ჟუკაუსკასი (10), მ. ჟუკაუსკასი (12)

თოფაში 59:64 პანათინაიკოსი

თოფაში: ერდენი, გრიფიტი (13), ქონუქი (8), ოქური (2), ფარსი (6), რიმაცი (7), რივერსი (11), როჯერსი (9), ილმაზი (3)

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (23), ბუდურისი (2), ბერკი, ფოცისი (4), კალაიძისი (3), კატაში (1), კოხი (6), რებრაჩა (18), როჯერსი (7)

ალბა 69:74 ოლიმპია

ალბა: ალექსისი (15), ბაეკი, ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (12), ჰამინკი (5), კინგი (21), ოკულაია (4), როდლი (7)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (10), ბრეეეცი, გოლემაცი (6), იასიკევიჩუსი (24), კოტნიკი, კოვაჩიჩი (8), მილაჩიჩი, მილიჩი (10), ზადრავეცი (4), ზდოვცი (12)

C ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 65:55 ვილერბანი

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (7), დე მიგელი (7), გრანტი (12), ნაკიჩი, პაპანიკოლაუ, რობინსონი (14), ტარლაჩი (9), ტომიჩი (14), ჯუკჩევიჩი (2)

ვილერბანი: ბილბა (4), ბლომი (6), ლარანიაგა (6), ლოვერნი (4), მაქსი (6), პერსეეო (4), პლუვი (7), სილსი (14), სონკო (4)

მაკაბი 84:62 პივოვარნა

მაკაბი: ბრისკერი (6), კოენგისი (12), ჰენფელდი (2), ჰაფმანი (13), ჯამჩი (4), მაკდონალდი (10), პოპა, შარფი (12), შეფერი (10), შელეფი (15)

პივოვარნა: ბაირამოვიჩი, დრაგშიჩი (2), გილიჩი (12), გოლოვეცი (16), ჰაფნარი (17), იურაკი (3), კუნცი (8), მილეტიჩი (4), ნახბარი

ვარეზე 82:86 ულქერი

ვარეზე: კ. ალენი (7), მენეგინი (15), პოცეკო (13), სანტიაგო (18), სეკუნდა (11), ვესკოვი (14), ვუხერერი (4)

ულქერი: ჯ. ალენი (12), აიდინი (3), ერდენი (28), კოტუროვიჩი (13), ოზთურქი (4), რენკინი (7), რობინსონი, სარიჯა (7), თოფსაკალი (2), ილდირიმი (10)

D ჯგუფი

პო ორტეზი 79:74 კახა სან ფერნანდო

პო ორტეზი: კალაბრია (17), ფატუ (8), დ. გადუ (7), ტ. გადუ (10), გულიაში (21), მაზინგი, რიზაშე (9), ტეილორი (7), ჩილოემბა

კახა სან ფერნანდო: კარგოლი (7), კორალესი (6), ფერნანდესი (11), ფორტიე (4), რომერო (10), სკოტი (17), სმიტი (6), სოლანა (2), ტერნერი (11)

ციბონა 69:63 ბუდუჩნოსტი

ციბონა: ალიმოჯიჩი, ანდერსონი, გირიჩეკი (10), კრსტიჩი (15), პრკაჩინი (12), სარლია (10), სესარი (17), ი. ვრანკოვიჩი (5), ჟურიჩი

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (9), ბულატოვიჩი (10), კუზმანოვიჩი (6), რადონიჩი (9), შჩეპანოვიჩი (13), ტომაშევიჩი (5), ტოპიჩი (11), ვუკჩევიჩი

ფორტიტუდო 76:56 ეფესი

ფორტიტუდო: ბაზილე (17), ფუჩკა (8), გალანდა (15), გაი, კარნიშოვასი (2), იარიჩი, მაიერსი (23), პილუტი (2), რუჯერი, ს. ვრანკოვიჩი (9)

ეფესი: ბეშოქი (8), დრობნიაკი, ჯეკსონი (2), ქუთლუაი (4), მულაომეროვიჩი (26), ონანი, თურქოღლუ (16), ვექილოღლუ

A ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ბარსელონა		75:67	28.10	69:51	8.12	17.11	2	0	144:118	4
2 ცსკა	3.11		17.11	28.10	86:82	21.10	1	1	153:137	3
3 პაოკ	15.12	6.10		8.12	4.11	83:76	1	1	147:141	3
4 ბენეტონი	11.11	16.12	20.10		7.10	3.11	1	1	124:133	3
5 ცრვენა ზვეზდა	20.10	11.11	65:64	18.11		16.12	1	1	127:150	3
6 შოლე	6.10	8.12	10.11	64:73	28.10		0	2	140:156	2

B ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 პანათინაიკოსი		7.10	11.11	4.11	16.12	21.10	2	0	146:125	4
2 ოლიმპია	18.11		21.10	16.12	11.11	73:63	2	0	147:132	4
3 თოფაში	59:64	9.12		18.11	76:66	28.10	1	1	135:130	3
4 ჟალგირისი	66:82	28.10	7.10		9.12	11.11	1	1	136:142	3
5 ალბა	27.10	69:74	4.11	20.10		18.11	0	2	135:150	2
6 რეალი	9.12	4.11	16.12	60:70	7.10		0	2	123:143	2

C ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ოლიმპიაკოსი		65:63	27.10	65:55	18.11	8.12	2	0	130:118	4
2 მაკაბი	4.11		18.11	28.10	21.10	84:62	1	1	147:127	3
3 ვარეზე	16.12	7.10		9.12	82:86	3.11	1	1	165:159	3
4 ვილერბანი	10.11	16.12	21.10		4.11	7.10	1	1	135:138	3
5 ულქერი	7.10	9.12	11.11	73:80		28.10	1	1	159:162	3
6 პივოვარნა	20.10	11.11	73:83	17.11	16.12		0	2	135:167	2

D ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ფორტიტუდო		27.10	18.11	92:78	8.12	76:56	2	0	168:134	4
2 პო ორტეზი	15.12		79:74	7.10	3.11	8.12	2	0	150:142	4
3 სან ფერნანდო	7.10	11.11		9.12	28.10	62:43	1	1	136:119	3
4 ციბონა	4.11	18.11	21.10		69:63	27.10	1	1	147:155	3
5 ბუდუჩნოსტი	20.10	68:71	16.12	10.11		17.11	0	2	131:140	2
6 ეფესი	10.11	20.10	4.11	15.12	6.10		0	2	99:138	2

საბერძნეთი — თურქეთი: მეგობრობა, მშვიდობა, ძმობა

„სპორტი — მშვიდობის დესპანი!" — ბარონ კუბერტენის ლოზუნგის ეს კომუნისტური პერიფრაზი საბჭოეთის ნებისმიერი სპორტული სარბიელის ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე იწონებდა თავს, მაგრამ მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, ალბათ, არც არავის აინტერესებდა.

ის დრო წავიდა, მაგრამ დღევანდელ კაპტალისტურ სამყაროში ეს ლოზუნგი მეტად საქმიანად ჟღერს. მეტიც, მის შედეგები სახეზეა. ახლავე ყველაფერს მოაგახსენებთ, ოღონდ ჯერ ერთი გადახვევა...

თურქებს და ბერძნებს ერთმანეთი ეჯავრებათ. საუკუნეების მანძილზე გაჩენილ-ჩამოყალიბებულ-განმტკიცებულმა ზიზღმა ლღობა ახლახან დაიწყო. ამისთვის კი, თურმე, უბედურება ყოფილა საჭირო... დაანგრია მიწისძვრამ თურქეთი, ერთი კვირის მერე კი მას საბერძნეთის დედაქალაქი ათენიც მიაყოლა. თურქებმა და ბერძნებმა ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს, პირველები კი ამ საქმეში სპორტსმენები, კერძოდ, ფეხბურთელები აღმოჩნდნენ.

ხუთშაბათს თურქეთის ქალაქ ბურსაში, ევროლიგის მეორე ტურში, ადგილობრივი „თოფაში" საბერძნეთის დედაქალაქის „პანათინაიკოსს" მასპინძლობდა. კლუბებმა ადრევე მოილაპარაკეს და მატჩის წინ სპეციალური ცერემონიალიც გაიმართა: ორივე გუნდის მოთამაშეები მოედანზე ერთდროულად გავიდნენ, ხელში კი უზარმაზარი ტრანსპარანტი ეჭირათ, რომელზეც სამი სიტყვა: „მეგობრობა, მშვიდობა, ძმობა" ეწერა.

ბურსას „ათათურქის" დარბაზში (ამ სარბიელზე თურქეთის ნაკრებმა საქართველოს ნაკრები დაარბია) შეკრებილმა სამი ათასმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა მოთამაშეებს, ხოლო მატჩის განმავლობაში ბერძენთა მისამართით უკადრებელი არაფერი დასცდენიათ. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა ბერძნულ გუნდს თურქეთში (ანაც პირიქით, თურქულ გუნდს საბერძნეთში) არააგრესიული შეხვედრა მოუწყვეს.

ერთი სიტყვით, წერილის დასაწყისში წარმოთქმულმა ლოზუნგმა გაამართლა. ისე, იმ დღეს მოედანზე 18 კალათბურთელი გავიდა, რომელთაგან ხუთი თურქი იყო, სამი ბერძენი, ათი კი — ამ ორი ქვეყნისთვის უცხოტომელი...

თამაში დაძაბული გამოდგა. „პანათინაიკოსი" ვარსკვლავური კლუბია, „თოფაში" პირიქით — თანაბარძალოვანი, საშუალო დონის, მაგრამ სტაბილური მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი. არათუ გამარჯვებულის, უპირატესობის მფლობელის ვინაობაც ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო. ბოლოს კი „თაფაში" შედრკა — გამოუცდელობამ და ელემენტარულმა შეცდომებმა თავისი გაიტანა. „პანათინაიკოსში" შესანიშნავი იყო იუგოსლავიელი დეიან ბოდიროგა, რომელმაც შეუცვლელად, 40 წუთი ითამაშა და 23 ქულას ხუთი მოხსნა, ოთხი პასი და ერთი ჩაჭრა დაურთო. ბერძნული გუნდის იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა თითქოსდა რისკიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა შუა თამაშში ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი, ებრაელი ოდედ კატაში სკამზე დასვა და მის ნაცვლად ბრძოლაში გაცილებით სუსტი გიორგოს კალაიძისი ჩაბა. შედეგი მოგვიანებით გამოჩნდა: კატაში შეტევისას ძალზე სწრაფია, სამაგიეროდ, დაცვაში ვერა აქვს საქმე კარგად. კალაიძისი, პირიქით, ნელია, შედარებით დაბალი კლასის და საამედო. „პანათინაიკოსს" არაფრად აძლევდა ხელს მაღალი ტემპი, ამას შესაძლოა არეული თამაში მოეტანა, რაშიც „თოფაშს" ბადალი ძნელად მოეძებნება. საჭირო იყო ნელი ტემპი, რაც თურქებს წონასწორობიდან გამოიყვანდა და შეცდომებს დააშვებინებდა... ობრადოვიჩს კი ასეთები იშვიათად ეშლება, რაც ამ მატჩის დასკვნითმა ნაწილმაც დაადასტურა. მიუხედავად მარცხისა, „თოფაშმა" კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ისიც დაამტკიცა, რომ თურქეთის ჩემპიონი შემთხვევით არ გამხდარა.

ტურის სენსაცია მოახდინა სტამბოლის „ულქერმა", რადგან სტუმრად იტალიის ჩემპიონ „ვარეზეს" მოუგო. იტალიელებს მატჩამდე პრობლემები მოეძალათ. გუნდს, პრაქტიკულად, არ ჰყავდა წინა ხაზი. ცენტრი კრისტიანო ზანუს ფორტესი ხელნატკენია, ხოლო ფორვარდ ფრანჩესკო ფოიერას კისერი გაუშეშდა. ფორვარდი მაურიციო ჯადინი განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე წამითაც არ გასულა. მთელი მატჩის სიმძიმემ ექვსი კაცის მხრებზე გადაიარა.

ყველაფერი ზემოთქმული სულაც არ აკნინებს „ულქერის" წარმატებას. ბოლოს და ბოლოს, შვიდ სამქულიანს ჩაგდება უნდა, რაც მოახერხა კიდეც სტამბოლელთა კაპიტანმა ჰარუნ ერდენაიმ. ეს კაცი შეუჩერებელი იყო. ფარი ულქერელთა ამერიკელმა კევინ რენკინმა დაიპყრო (11 მოხსნა), მას კოტუროვიჩი და ოზთურქიც უბამდნენ მხარს. ვარეზელთაგან მენეგინი და ცენტრი სანტიაგო გამოირჩეოდნენ. იტალიელებს შეეძლოთ მატჩის გადარჩენა, მაგრამ ბოლო წუთზე ანგარიშის გათანაბრებისთანავე „ულქერის" ამერიკელის, ჯერომ ალენისგან სწრაფი სამქულიანი მიიღეს.

კვლავ შერცხვა „ეფესი", კვლავ საფუძვლიანად. ცხადი იყო, რომ თურქულ გუნდს იტალიურ „ფორტიტუდოს" (ყოფილი „ტიმსისტემი") წინაღმდეგ ძალიან მცირე შანსი ექნებოდა, მაგრამ პირველ ტაიმში მის თამაშს რიგიანი, მეტიც, კარგი ეთქმოდა. ამის მიზეზი კი ექსფორტიტუდოელი, ამჟამად კი „ეფესის" ხორვატი გამთამაშებელი დამირ მულაომეროვიჩი გახლდათ. მან პირველ ტაიმში ეულად გაუმართა ბრძოლა ბოლონიელებს და მოუგო კიდეც (ტაიმი 27:25 დასრულდა თურქების სასარგებლოდ). მულაომეროვიჩმა პირწმინდად დაჩაგრა მეურვე ჯანლუკა ბაზილე და თანაგუნდელები — ბეშოქი და თურქოღლუც ათამაშა. „ფორტიტუდოს" საქმეები კი ცუდად მიდიოდა: მე-6 წუთზე დაშავდა და თამაში მიატოვა ლიტველმა არტურას კარნიშოვასმა (კოჭი ამოიბრუნა და ორი კვირა ვერ ითამაშებს), ხოლო საწყის წუთებში გუნდმა ათი სამქულიანი ისროლა და ვერც ერთი ვერ ჩააგდო.



AFP პოდან

პო ორტეზი — კახა სან ფერნანდო 79:74. ფარზე მებრძოლი მასპინძელი ვენსან მაზინგი („შუაში") პოლ ფორტიეს (მარცხნივ) და პედრო ფერნანდესს (№13) შუაში მოუქცევიათ

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. მულაომეროვიჩი დაღალა, ისევე, როგორც მისებრ შეუცვლელად მოთამაშე ჰიდაიეთ თურქოღლუ. ეს გასაკვირი სულაც არაა, რადგან „ეფესმა", პრაქტიკულად, ექვსი კაცით ითამაშა მთელი მატჩი. ახლად ფეხადგმულ ბავშვს ჰგავდა ჰუსეინ ბეშოქი, ხოლო იბრაჰიმ ქუთლუაი საერთოდ ტყუილად იყო მოედანზე (31 წუთში მხოლოდ 4 ქულა, სამიდან სამი აცილებული ორქულიანი, სამიდან ერთი ჩაგდებული სამქულიანი და ორიდან ერთი ჩაგდებული საჯარიმო).

სამაგიეროდ, აიწყვიტა „ფორტიტუდომ", განსაკუთრებით კი ბაზილემ, რომელმაც ერთიანად გამოისყიდა პირველი ტაიმის ცოდვები. უქულო პირველი ნახევრის შემდეგ იტალიელმა უკანახაზელმა ოთხი სამქულიანი და ხუთი საჯარიმო ჩააგდო. კარლტონ მაიერსი გასავათებულ მულაომეროვიჩს აედევნა, თან, ქულების დაგროვებასაც არ ივიწყებდა. მაღლებმა ფარი დაისაკუთრეს და... მეტი რაღაა საჭირო მატჩის მოსაგებად?

საინტერესო შეხვედრა გაიმართა ბარსელონაში, სადაც ტრევიზოს „ბენეტონი" ჩავიდა. პირველი ტაიმი „ბენეტონმა" 35:34 მოიგო, რაც ძირითადად ამერიკელი ბრედ ტრაინას დამსახურება იყო. მერე „ბარსამ" მკაცრი პერსონალური დაცვა ირჩია, რომლიც დაშლაც ტრევიზოელებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ. „ბარსამ" მაშინ გადაწყვიტა მატჩის ბედი, როცა ნავარომ, დე ლა ფუენტემ და როდრიგესმა ზედიზედ ჩაგდეს სამქულიანები, ხოლო გუნდმა ერთი მონაკვეთი 20:4 მოიგო.

ამავე ჯგუფში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" ფაქტობრივად განახევრებული, ახალგაზრდული შემადგენლობით ჩავიდა მოსკოვში და ცსკა-ს დაუპირისპირდა. სასტარტო ხუთეულის სამი წევრი — საშა ობრადოვიჩი, ზლატკო ბოლიჩი და იევე სტანოევიჩი ტრავმების გამო შინ დარჩა, მათ ნაცვლად კი ისეთი ხალხი იყო განაცხადში, რომელთა მოედანზე გაყვანაც მწვრთნელ იოვიცა ანტონიჩს გულშიც არ გაუვლია („ცრვენა ზვეზდამ" მატჩი ექვსი კაცით ჩაატარა). რუსებს კი ოღონდ ვინმე დაჩოქილი დაანახე და მის ჩაწიხვლაზე მეტად ხომ არაფერი სიამოვნებთ.

სლოვენია ასახელა ლიუბლიანის „ოლიმპიამ", ხოლო შეარცხვინა ლაშკოს „პივოვარნამ". ჯერ მოგებულზე ვთქვათ. ოლიმპიელები ბერლინში ეწვივნენ „ალბას" და თავიდანვე 14:2 დაწინაურდნენ. მერე თამაში გათანაბრდა, ფრენკი კინგი მარტო უძალიანდებოდა სლოვენიელებს, რომლებმაც ტაიმი 43:42 მოიგეს. მერე გერმანელებმა კვლავ დათმეს ინიციატივა, მაგრამ მდგომარეობა მალე გამოასწორეს. „ოლიმპიამ" წლეულს იყიდა 23 წლის ლიტველი უკანახაზელი შარუნას იასიკევიჩუსი, რომელმაც ბოლო წუთებზე სასწაულებრივი სამქულიანები ჩააგდო, რის წყალობითაც სლოვენიური კალათბურთის ფლაგმანმა მეორე მოგება მიითვალა.

„პივოვარნას", მართალია, იუგოსლავიელი ცენტრი მილეტა ლისიცა აკლდა, მაგრამ ეს თელ ავივის „მაკაბისთან" საზარელი მარცხის გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება. ებრაელებმა პირველივე წამიდან შეუტიეს, კომეგისმა, მაკდონალდმა, შარფმა და შელეფმა მეტოქე ხეირიანად არც ამოასუნთქეს.

ამ ტურში ორი ბერძნულ-ფრანგული დაპირისპირება იყო, ორივე ელინელთა სასარგებლოდ დასრულდა. სალონიკის პაოკ-მა ბოლოსღა გატეხა „შოლე". პირველი ტაიმი ბერძნებმა 35:32 მოიგეს. ამ 35 ქულიდან 32 ორმა მოთამაშემ, ამერიკელებმა ვიქტორ ალექსანდერმა (17 ქულა) და ბილ ედვარდსმა (15 ქულა) გააკეთეს. ასევე განსაკუთრებული ჯაფის გარეშე სძლია „ოლიმპიაკოსმა" „ვილერბანს".

დაბოლოს, ევროლიგის ჩემპიონის, კაუნასის „ჟალგირისის" ჩამოწერა ჯერჯერობით ნაადრეევია. მადრიდის „რეალი", რა კრიზისშიც უნდა იყოს, მაინც დიდი ძალაა და მისი შინ დამარცხება ყოველთვის ურთულესი საქმეა. „ჟალგირისმა" ეს მოახერხა, ძირითადად წინა ხაზის წყალობით. მადრიდელთა ახალი შენაძენი, იუგოსლავიელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი წინა მატჩთან შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ თავის თავს მაინც არ ჰგავდა: ხუთიდან ხუთი სამქულიანი ააცილა!

მერაბ რატიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ტატიანა პუჩეკი

ნიკოლოზ ნიკოლაძის ფოტო

ჯულია აბე

რუსებმა თბილისი დატოვეს

ქართუ & თბილისის რიგით მესამე ქალთა ღია პირველობას ორი ჩოგბურთელიღა შემორჩა: დღეს გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ტურნირძე პირველ-მეორედ განთესილები, ბელარუსი ტატიანა პუჩეკი და გერმანელი ჯულია აბე შეხვდებიან.

ნახევარფინალი: ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) — მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) 6:3, 6:1.

თბილისურ ტურნირზე რუს ჩოგბურთელთა ჰეგემონიას მათმა თანამოძმე ბელარუსმა მოუღო ბოლო — გასული ორი წლისგან განსხვავებით, როდესაც ჩემპიონები ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები, ნადეჟდა პეტროვა და ევგენი კულიკოვსკაია ხდებოდნენ, ამჯერად მთავარ ჯილდოს მათი თანამემამულე ველარ ირგუნებს.

მეოთხედფინალში ჩვენებური მაკა ჩახნაშვილისა და ალბათ, ყველა თბილისელი ქომაგის გამანაწყენებელმა გოლოვიზნინამ პირველად განთესილ ბელარუსთან შეხვედრა მშვენივრად დაიწყო — პირველი ორი გეიმი მოიგო. თუმცა 19 წლის რუსისთვის ბედნიერი ხანა იქვე დასრულდა და კოშმარი დაიწყო: გაცილებით მრავალფეროვნად და საზრიანად მოთამაშე პუჩეკმა შეცდომებს უკლო, სამიზნე გაისწორა და ანგარიშმაც მის სასარგებლოდ იწყო ზრდა — 4:2, 5:2.

თუ გოლოვიზნინა მხოლოდ ბურთის გადაგდებაზე ზრუნავდა და იშვიათად ამწვავებდა თამაშს, ბელარუსი მძლავრი ორხელა ბექჰენდით ხშირად უტევდა, აქა-იქ შემოკლებულსაც შეუნაცვლებდა და დამსახურებულადაც ფლობდა უპირატესობას.

პუჩეკმა პირველ სეტში 5:3-დან ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და მეორეშიც 5:0 დაწინაურდა. გოლოვიზნინას ერთადერთი იმედის ნაპერწკალი მანამდე ცოტა ხნით ადრე გაკრთა, როდესაც ბურთს დადევნებულ ბელარუსს ფეხი დაუცდა და კორტზე გაკოტრიალდა, თუმცა, რუსისდა სამწუხაროდ, მას არაფერი დაუშავდა და წითელი მტვერის ჩამოწმენდის შემდეგ ისევე შთამბეჭდავად გაგრძელა თამაში.

განწირულმა გოლოვიზნინამ ღირსების დასაცავად და მშრალად წაგებისგან თავის გადასარჩენად ბოლოში ცოტა გაიბრძოლა, ტემპსა და დარტყმების ძალას უმატა და ანგარიში „დაასველა“, თუმცა ეს იყო და ეს: პუჩეკის კლასმა და ჯანმა სწრაფად გაიტანა თავისი — მან პირველივე მატჩ-პოინტი გამოიყენა და ფინალის საგზურიც გაიფორმა.

ჯულია აბე (გერმანია) — დაფნი ვანდეზანდე (ბელგია) 6:3, 6:4.

პირველი ნახევარფინალისგან განსხვავებით, მეორე გაცილებით სწრაფ ტემპში და თვალსაჩინოდ წარიმართა, მეტოქეებიც უფრო თანაბარი ძალის პატრონები აღმოჩნდნენ.

არადა, სწრაფმა და ათლეტურმა გერმანელმა შეხვედრა ისე დაიწყო, თითქოს სასწრაფო საქმე ელოდა და მატჩის ნახევარ საათში დასრულება სურდა — თვალის დახამხამებაში 5:0 დაწინაურდა.

ერთ მომენტში საკუთარი უილაჯობით გაღიზიანებულმა ბელგიელმა ხელი ისე ჩაიქნია, ბევრს ეგონა, პირველ ხელს უბრძოლველად დათმობს და ენერგიას აღარ დახარჯავსო, მაგრამ ვანდეზანდემ მოულოდნელად შესამჩნევად უმატა თამაშს და ანგარიშის 3:5-მდე შემცირება მოახერხა.

განერვიულებულმა გერმანელმა აქ მშობლიურ ენაზე მჩხავანა ხმით შემოუძახა თავს და თანამემამულე ფეხბურთელების მსგავსად, გადამწყვეტ მომენტში ხასიათის სიმტკიცე და დარტყმების სიზუსტე გამოიჩინა — 6:3.

თანამედროვე და ძალისმიერი ჩოგბურთი — ჯანიანი დარტყმები ორივე მხრიდან, აღმავალი ბურთის მოთვინიერება, კორტის შიგნიდან აუღებელი მიღებები მეორე ხელშიც გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ აბეს აქილევსის ქუსლი — ბადესთან უხერხო ტექნიკა აღმოაჩნდა, იგი მუდმივად წინ იყო, ბელგიელს კი სულ მდევრის როლში. ყოფნა უწევდა.

უკანასკნელად ვანდეზანდემ ანგარიში 4:4-ზე გაათანაბრა, მერე კი გერმანელმა ერთიც დაიკავლა, მაღალაბრაგნებიანი რამდენიმე დაუსრულებელი გათამაშება მოიგო და მატჩიც დასრულდა.

ავთანდილ სვანიძე

აგასის გრაფმა აწყვიტა

მიუნხენი. გერმანია. „დიდი სლემის თასი“. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 6,7 მილიონი $

დასრულდა სეზონის ოთხივე დიდი სლემის ტურნირი და მიუნხენსაც ეწვივნენ „მეიჯორებზე“ თავგამოჩენილი ჩოგბურთელები ექვსნიშნა ციფრიანი ჩეკების ჩასაჯიბად. „დიდი სლემის თასი“ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ტურნირია. იგი საკლასიფიკაციო ქულებს არ იძლევა, სამაგიეროდ, ამას შთამბეჭდავი საპრიზოებით ანაზღაურებს: პირველ წრეში წაგებულები მინიმუმ 100 ათას დოლარს იღებენ, ქალების ჩემპიონი — 800 ათასს, კაცების ჩემპიონი კი — 1,3 მილიონს.

წლევანდელ ტურნირზე ყურადღების ცენტრში მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასი აღმოჩნდა, და არა მარტო ამ ბოლო ხანებში ნაჩვენები შესანიშნავი თამაშის გამო. ორიოდ კვირის წინ მასმედიამ მთელ მსოფლიოს მოსდო ხოტორა ამერიკელისა და გერმანელი ჩოგბურთის დედოფლის, შტეფი გრაფის სიყვარულის ამბავი. ასე რომ, ახლა ყველა იმის სურვილით იწვის, რაც შეიძლება მეტი შეიტყოს ამ რომანის შესახებ.

გრაფი და აგასი მიუნხენში ერთად ჩამოფრინდნენ ამერიკიდან, მაგრამ შტეფი ახალი ბოიფრენდის მატჩებზე დასასწრებად არ დარჩენილა: იგი პირდაპირ ვენაში გაფრინდა, საიდანაც შინ, ჰაიდელბერგში გაეშგზავრა.

„აბა, რა ვიცი, თუ ჩამოვა აქ ჩემს სანახავად, ეს თავად შტეფის საქმეა“ — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკელმა, რომელსაც ამ თემაზე საუბრის დიდი სურვილი არ ჰქონდა და კითხვების უმეტესობას მოკლედ ან ორაზროვნად პასუხობდა.

აგასის ის მაინც დააცდენინეს, რომ იგი გერმანულის სწავლას, უახლოეს ხანებში და საერთოდაც, დაქორწინებას ან ბავშვების ყოლას არ აპირებს და არც შტეფივით სპორტიდან წასვლა აქვს გეგმაში.

სამაგიეროდ, ანდრემ ჟურნალისტებს არასდიდებით არ გაანდო, როდის ან ასე გვიან რატომ დაიწყო ეს რომანი, ის და გრაფი ხომ ათ წელზე მეტია, ერთმანეთს იცნობენ.

„არ ვიცი, ამას ვერ ავხსნი — განცხადა ანდრემ. ივნისში როლან გაროსის მოგების შემდეგ აგასიმ აღნიშნა, ჩემი მუზა შტეფი იყო. როდესაც მას ჰკითხეს, მაინც როგორ დაგეხმარათ გრაფიო, გაეღიმა, ეგ მე კი ვიცი, თქვენ კი თავად უნდა მიხვდეთო — ჩვენ უბრალოდ შესანიშნავად ვატარებთ დროს ერთად, მეტი არაფერი“.

შტეფისთან გატარებული ორი კვირა აგასის საჩოგბურთო ფორმას დიდად ნამდვილად არ წაადგა: ტომი ჰაასთან მეოთხედფინალურ მატჩში ამერიკელი თავის თავს არ ჰგავდა.

21 წლის გერმანელმა, რომელმაც წინა შეხვედრაში სლოვაკი დომინიკ ჰრბატი გაანადგურა, პირველ სეტში აგასისგანაც არ დატოვა ქვა ქვაზე — 6:0.

ანდრე მერე ცოტა გამოფხიზლდა, მიღებაზე უკეთ ათამაშდა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა, 16 ათასი თანამემამულის გასახარად, ჰაასი ამ დღეს უძლეველი გამოდგა 6:0, 6:7 (2:7), 6:4.

„ყოველთვის ძნელია დიდი შესვენების შემდეგ პირველი მატჩის გამართვა — განაცხადა აგასიმ — თავს გაღაღლილად ვგრძნობდი, რამაც ძალიან გამაკვირვა, მთელი ზაფხული შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში ვიყავი“.

ანდრეს არც დაღლილობის მიზეზი დაუკონკრეტებია.

კაცები. მერვედფინალი: რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ვინსენტ სპედა (აშშ) 6:2, 7:5; ბრეგ რუზედეკი (ინგლისი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:3, 3:6, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 2:6, 16:14.

მეოთხედფინალი: ტომას ენკვისტი (4, შვედეთი) — ლაპენტი 6:3, 6:2; ბრეგ რუზედეკი (ინგლისი) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 7:5, 7:6 (8ნ)

ქალები. მეოთხედფინალი: სერენა უილიამსი (3, აშშ) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) 6:3, 6:1; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 7:6 (7:1), 6:2; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 3:6, 6:2, 6:4; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 6:4.

ავთანდილ სვანიძე

ავტორბოლა

შუმი კაცია!

მცირე გაუჩინარების შემდეგ მიხაელ შუმახერი პრესამ კვლავ აღმოაჩინა. იტალიელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც სააგენტო ANSA-მ გამოაქვეყნა, შუმახერი რაღაცით ადვოკატს წაგავდა, ხოლო კლიენტის როლში „ფერარის“ მთელი გუნდი ვიხილეთ. შუმახერმა უდიდესი უწოდა „ფერარის“ საჩემპიონო შანსებს, ორიოდე თბილი სიტყვა ედი ირვინსაც შეაწია და ნიურბურგრინგში გასულ კვირას წვიმის აკომპანიმენტზე გამართული „ევროპის გრან-პრის“ შესახებაც აღტაცებით ილაპარაკა. „მე ძველი, დიდებული დრო გამახსენდა, როცა წარმატება და ჩავარდნა გვერდიგვერდ მიდიოდნენ და იგებდა ის, ვინც საჭირო მომენტში საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდა“ — განაცხადა შუმმ, რის შემდეგაც „ფერარის“ მექანიკოსებიც დაიცვა, რომლებსაც მოგეხსენებათ ნიურბურგრინგში ირვინის ჩავარდნის მთავარ მიზეზებად მიიჩნევენ. „ისინი რობოტები კი არა, ადამიანები არიან“ — შენიშნა მწყობრიდან დროებით გამოსულმა პილოტმა და მწყობრში თავისი დაბრუნების ვადებზეც თქვა ერთი-ორი სიტყვა, თუმცა საიმედო ვერაფერი; წლევანდელი სეზონი, მისთვის ალბათ დამთავრებულია.

„ფერარიში“ შექმნილ სიტუაციას შუმახერი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა (ჟურნალისტები არ მისცემდნენ უფლებას) და გერმანელი აქაც ღირსეულად გამოიყურებოდა. მისი განცხადებით, „ფერარის“ არა აქვს მნიშვნელობა შუმახერი გაიმარჯვებს თუ ირვინი, მთავარია გუნდმა გაიმარჯვოს. რაც შეეხება გერმანელის „ფერარიდან“ წასვლის ალბათობას, პილოტმა იგი 2002 წლამდე ნულს გაუტოლა, აქ ჩემი მეორე ოჯახია და თავსაც დიახაც მყუდროდ ვგრძნობო.

დავით გულუა

მიხაელ შუმახერი

ჭადრაკი

ბედი მომეცა და...

... სანეხვეზე გადამაგდეო, უთქვამს ჩვენს ბრძენ წინაპარს და ალბათ გამორიცხულია, ბერძენი მარია კუვაცუ ამ გამონათქვამს არ დაეთანხმოს. ამაოდ ვცდილობ გავიხსენო შემთხვევა, როცა შვეიცარიული სისტემით მიმდინარე ტურნირზე მოჭადრაკეს ბოლო ორი პარტია წაეგოს და მაინც პირველ ადგილზე გასულიყოს. კუვაცუმ, რომელიც თავიდანვე ერთპიროვნულად ლიდერობდა, ბოლო ტურებში მოულოდნელად ფეხი წაიტეხა და გულუხვად იწყო ქულების დარიგება. ერთი XII ტურში აქამდე უჩინარ ვიეტნამელს ვო ჰონგს უძღვნა, ბოლო ტურში კი ამერიკელი შაჰადეც გააბედნიერა. და მაინც კუვაცუ ჩემპიონია! მისმა 8,5 ქულამ ამისათვის იკმარა, თუმცა მარტო ქულები რას ეყოფოდა, ბერძენს დალოცვილი კოეფიციენტები რომ არ წაშველებოდნენ. იმავე კოეფიციენტებმა მეორე პრიზიორად კუვაცუს ტოლი ქულათა მარაგის მქონე ჩეხი იანა იაკოვა დაასახელა. 8,5 ქულა დაუგროვდათ აგრეთვე რუმინელ სიდონია ვაიდას და ამერიკელ ირინა კრუშს, რომელიც ტურნირის ბოლოს უჩვეულოდ კარგად ათამაშდა და პარტიას პარტიაზე იგებდა. კრუშმა მაინც ვერ მიიღო მედალი, რადგან კოეფიციენტებმა ვაიდას უფრო უერთგულეს.

ქართველობაზე რატომ კრინტს არ ძრავო, იჭრებ გამიბრაზდეს მკითხველი და მეც მისთვის არცთუ სასიამოვნო ამბის მიწოდება მომიწევს. ფინიშამდე ორი ტურით ადრე მეორე ადგილზე მყოფმა სოფო ტყეშელაშვილმა XII ტურში დასანანი მარცხი იწვნია ლიტველ სმილიტესთან და ბოლო ტურში ნახევარი ქულის მოპოვების მიუხედავად საპრიზო ადგილებს ვეღარ შესწვდა, ისევე როგორც რუსუდან გოლეთიანი, თუმცა ამ უკანასკნელმა სწორედ ფინიშზე უჩვენა ძლიერი თამაში.

ქართველთათვის დრამატულად დასრულდა ვაჟთა ჩემპიონატიც. ბოლოსწინა ტურში გიორგი ბახტაძემ მნიშვნელოვანი პარტია მოუგო პოლონელ პინსკის, მე-5-7 ადგილებამდე ამაღლდა, რამაც პრიზიორებში მოხვედრის გარკვეული შანსები გაუჩინა. ბოლო ტურში ბახტაძისა და ერთპიროვნული ლიდერის ალექსანრ გალკინის პარტია რუსმა მოიგო და კიდევ კარგი მისთვის, რომ მოიგო, თორემ სწორედ ფინიშზე დაკარგავდა მთელი ტურნირის მანძილზე ნალოლიავებ ლიდერობას. მოიგო უზბეკმა რუსტამ კაზიმჯანოვმაც და ვერცხლის მედალი გამოიჭედა. ბოლო ტურში ხსენებულთა გარდა სომეხმა მოჭადრაკეებმაც იკარგეს. არონიანმა ბლემს მოუგო არსიანმა — პერტს. შედეგად მათ მე-3-4 ადგილები გაიყვეს და საქმეში კვლავ კოეფიციენტთა ცხრილი ჩაერია, მისგან მიღებულ გადაწყვეტილებას კი სხვა მონაცემებთან ერთად აქვე გთავაზობთ.

დავით გულუა

სატურნირო ვითარება

გოგონები

1. მარია კუვაცუ (საბერძნეთი) — 8,5 ქულა
2. იანა იაკოვა (ჩეხეთი) — 8,5
3. სიდონია ვაიდა (რუმინეთი) — 8,5...
5-8. სოფო ტყეშელაშვილი, რუსუდან გოლეთიანი — 8...
12-18. სოფო ხუხაშვილი — 7...
23-29. ნინო წიტაიშვილი — 6

ვაჟები

1. ალექსანდრ გალკინი (რუსეთი) — 10,5
2. რუსტამ კაზიმჯანოვი (უზბეკეთი) — 10
3. კარენ არსიანი (სომხეთი) — 9...
9-12. გიორგი ბახტაძე — 8...
13-20. მიხეილ მჭედლიშვილი — 7,5...
21-30. ვალერი გაფრინდაშვილი — 7
31-40. დავით არუთუნიანი — 6,5

მსოფლიოს თასი



ფიჯელი მოზეს რაულუნის (ბურთით) შეჩერებას ნამიბიელი ჯეიკო ოლივიე ამაოდ ეცადა

REUTERS ბეზიდან

C ჯგუფი. ბეზიე

1 ოქტომბერი

ფიჯი 67(43):18(6) ნამიბია

ფიჯი: ულუინაიუ, ლასაგავიბო (ლითლი 73), სატალა, სოტოტუ (ნაკაუტა 54), ტიკომაიმაკოგი, სერევი, ჯ. რაულუნი, ტავაკე, მოკულუტუ (სავაბუ 67), ნაეკო, რაივალუი, კატალაუ, ვეიტაიაკი, სმიტი (კაპ.), როუზი

9 ლ — ლასაგავიბო (8, 40), ტიკომაიმაკოგი (15), კატალაუ (25), ტავაკე (29), სატალა (35), მოკელუტუ (60), სმიტი (67), ჯ. რაულუნი (80); 8 გ — სერევი (8, 25, 29, 35, 40, 60, 67, 80); 2 ს — სერევი (11, 79)

ნამიბია: ვან დიკი, ფარმერი (ფ. ვან რენსბურგი 49), სამუელსონი, ვან დერ მერვი, მუტონი (ვან ვიკი 41), ზეიმანი (ს. ვან რენსბურგი 75), იანტგიისი, ილიფეე (ლინტველტი 66), ფარტერი, ჰაფი (კაპ.), სტეინი (ტერონი 66), სენეკალი, ოპერმანი (ბლაუუ 63), ჰორნი (სმიტი 76), ჯაკობსი

2 ლ — სენეკალი (53), ჯაკობსი (61); 1 გ — ვან დიკი (53); 2 ს — ვან დიკი (6, 13)

გაფრთხილება: ტავაკე (77)

მსაჯი: ჰიუგი (ირლანდია)

D ჯგუფი. კარდიფი

1 ოქტომბერი

უელსი 23(13):18(9) არგენტინა

უელსი: ჰოვარტი, ტომასი, ტეილორი, გიბსი (ჯოუნს-ჰიუზი 58), ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი, ჰოული (კაპ.), სინკინსონი, ს. კუინელი, ჩარვისი, ვაიტი, ჯ. კუინელი, იანგი, გ. ჯენკინსი, როჯერსი

2 ლ — ჩარვისი (40), ტეილორი (49); 2 გ. და 3 ს — ნ. ჯენკინსი (28, 31, 56)

არგენტინა: კონტეპომი, ბარტოლუჩი (კამარდონი 70), სიმონე, არბიზუ (კაპ.), ალბანეზე, კესადა, პიჩოტი, ოსტილია (მარტინი 41), ლონგო, ფელანი, ფერნანდეს ლობე, რეჯიარდო (ჰასანი 51), ლედესმა, გრაუ

6 ს — კესადა (19, 25, 38, 63, 68, 72)

გაფრთხილება: გრაუ (15)

მსაჯი: ობრაიენი (ახ. ზელანდია)

ნოემბრის მოლოდინში

ლენოქს ლუისი და ევანდერ ჰოლიფილდი

REUTERS ნიუ იორკიდან

ოთხშაბათს, ნიუ-იორკში მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ ლენოქს ლუისი და ევანდერ ჰოლიფილდი, მძიმე წონის გამაერთიანებელი ბრძოლის მონაწილენი. ბრიტი ლუისი და ამერიკელი ჰოლიფილდი 13 ნოემბერს შეებრძოლებიან ერთმანეთს და საბოლოოდ გაარკვევენ, თუ ვინ შეეგებება ჩემპიონად ოცდამეერთე საუკუნეს.

ლუის-ჰოლფილდის პირველი შეხლა, მარტის თვეში რომ იყო „მედისონ სკვერ გარდენში", დამთვლელ მსაჯთა წყალობით ფრედ გამოცხადდა,თუმცა,მსოფლიო მედიამ აღიარა, რომ ლუისს პირწმინდა მოგება ჩამოერთვა. ამის გამო ამერიკის სენატის კომისიამ გამოძიებაც კი წამოიწყო, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახა. ეს კი დადგინდა, რომ ამერიდან დამთვლელი მსაჯები ქონებრივ დეკლარაციებს წარადგენენ ხოლმე ბრძოლის წინ.

ჟურნალისტთა წინაშე წარმდგარმა ლუისმა და ჰოლიფილდმა მშვიდად ისაუბრეს წარსულსა და აწმყოზე. ამ სიმშვიდეში კაი მწარეებიც უთხრეს ერთმანეთს, მაგრამ არ გაქაჩულან — ორივე წესიერი კაცია და მუშტს მხოლოდ რინგზე იქნევენ.

ლუისმა, განაცხადა, რომ ჰოლიფილდს წასვლის დრო დადგა და რომ ეს ბრძოლა ევანდერისთვის უკანასკნელი იქნება. მან ბევრი ილაპარაკა მარტის უსამართლობაზე და მოწინააღმდეგეს ნოკაუტი უწინასწარმეტყველა. ჰოლიფილდის საუბარი უფრო საინტერესო იყო, რახანღა ლუისთან ბრძოლის საშუალებებს ეხებოდა.

საბოლოოდ იმაზე გაიყარენ, რომ ორივე ჩემპიონი იქნება. ნოემბერი და ხვალეო.

ალბერტ ხაჩატურაშვილი

როცა თაგვებთ სხვაგან გარბიან

ერთიანი ინფორმაცია

განვაგრძობთ ნჰლ-ის 83-ე რეგულარულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების გაცნობას. დღეს დასავლეთ კონფერენციის ცენტრალური დივიზიონისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონის გუნდების ჯერია

დასავლეთის კონფერენცია. ცენტრალური დივიზიონი

ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი

1998-99: +29=12-41, პლეი ოფში ვერ გავიდა

მწვრთნელი: ლორნი მოლეკენი

შენაძენი: ფორვარდი უინდელ კლარკი (დეტროიტი), მცველი ბრაიან მაკეიბი (ვანკუვერი)

დანაკარგი: მეკარე მარკ ფიცპატრიკი, ფორვარდი მაიკ მანელიუკი

ლიდერები: ფორვარდი — ტონი ამონტე (44+31 გასულ სეზონში), ალექსეი ჟამნოვი (20+41), დუგ გილმორი (16+40), მცველი ბორის მირონოვი (11+38)

ნჰლ-ის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან კლუბს ნამდვილად არ ეკადრება 38 წელი უთასოდ ყოფნა და ბოლო ორი სეზონის განმავლობაში პლეი ოფის მიღმა დარჩენა. თუმცა წლეულს „ქორების" ქომაგები იმედიანად არიან. ჯერ ერთი, ბოლო ხანს ჩიკაგომ გონივრული გაცვლები განახორციელა და ყველა რგოლი მაღალი კლასის ოსტატებით დააკომპლექტა. მეორეც, მოლეკენის შარშანდელი დებიუტი ლიგაში იღბლიანი გამოდგა (მისი თავკაცობით ჩიკაგომ 23 მატჩიდან 13 მოიგო). ერთგვარ გაუგებრობას იწვევს გუნდის შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი „პოლიციელის" ყოფნა. თუ ჩიკაგო პლეი ოფში მოხვედრას აპირებს, კი არ უნდა იჩხუბოს, არამედ ითამაშოს.

დეტროიტ რედ უინგსი

1998-99: +43=7-32, პლეი ოფის მეოთხედფინალი

მწვრთნელი: სკოტი ბოუმენი

შენაძენი: მეკარეები — კენ რეგეტი (კალგარი) და მენი ლეგასი (ლოს ანჯელესი), მცველი სტივ დიუშენი (ფილადელფია)

დანაკარგი: ფორვარდი უინდელ კლარკი, მცველები — ულფ სამუელსონი, ტოდ გილი, მეკარეები — ბილ რენფორდი, ნორმ მარაკლი

ლიდერები: ფორვარდები — სტივ აიზერმანი (29+45), სერგეი ფიოდოროვი (26+37) და ბრენდან შანაჰანი (31+27), მცველები — ნიკლას ლიდსტრიომი (14+43), კრის ჩელიოსი (9+27) და ლარი მერფი (10+42)

ცდება ის, ვინც თვლის, რომ დეტროიტი ორწლიანი ბატონობით დაკმაყოფილდა და პირველობა დალასს გადაულოცა. აკი ხანდაზმულმა სკოტი ბოუმენმაც (იგი 65 წლისაა) გადადო პენსიაზე გასვლა, რადგან სჯერა, რომ „წითელფრთიანებს" საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამთ. ასევე სწამს გუნდისა მის ბრწყინვალე კაპიტან აიზერმანს, რომელიც 2003 წლამდე დეტროიტში დარჩება. ახლა ნიკლას ლიდსტრიომიც გაიხსენეთ, რომელმაც საშობლოში დაბრუნება იუარა. ასე რომ, გუნდს საბრძოლო სულისკვეთება არ დაუკარგავს. მთავარია, მეკარე კრის ოსგუდმა ისევე საიმედოდ ითამაშოს, როგორც 1998 წლის პლეი ოფში. ისიც ნუ დაგვიწყდება, რომ დეტროიტელ ვეტერანებს, ფაქტობრივად, ნჰლ-ის უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრის ბოლო შანსი ეძლევათ. კვლავ ძველებური შემართებით იბრძვის „წითელფრთიანთა" ერთ-ერთი ლიდერი სერგეი ფიოდოროვი. ეს საგამოფენო მატჩებმაც დაადასტურა, სადაც იგი 11 (3+8) ქულით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სენტ ლუის ბლუზი

1998-99: +37=43-32, პლეი ოფის მეოთხედფინალი

მწვრთნელი: ჟოელ კენევილი

შენაძენი: მეკარე რომან ტურეკი (დალასი)

დანაკარგი: მეკარე გრანტ ფიური

ლიდერები: ფორვარდები — პავოლ დემიტრა (37+52), პიერ ტარჯონი (31+34), მცველები — ელ მაკინისი (20+42) და კრის პრონგერი (13+33)

ქებათა ქება სენტ ლუისს — თავისი უცვლელი ლიდერის ბრეტ ჰალის გარეშე დარჩენილმა პოზიციები არ დათმო. მეტიც, თავდაჯერება და თვითრწმენა შეიმატა, რაც პლეი ოფის მეოთხედფინალში ჩემპიონმა დალასმაც იწვნია. წლეულს „ბლუზმენები" დასავლეთის საუკეთესო სამეულს გაუწევენ კონკურენციას და თუ ერთ-ორ ვარსკვლავსაც შეიძენენ, შესაძლოა თასისთვის ბრძოლაშიც კი ჩაებან. პროგნოზს ლიგის უძლიერესი მცველის ტიტულს უწინასწარმეტყველებენ, ხოლო ტურეკს, რომლის კარიერაც დომინიკ ჰაშეკის დარად ვითარდება — სახელოვანი თანამემამულის დიდებას.

ნეშვილ პრეტედერსი

1998-99: +28=7-47, პლეი ოფში ვერ გავიდა

მწვრთნელი: ბილ ტროტცი

შენაძენი: მეკარე კორი ჰირში, მცველები — სტივ უოშბერნი (ორივე ვანკუვერი), დენ კეცმერი (დალასი)

დანაკარგი: მეკარე ერიკ ფიშო, ფორვარდი ენდრიუ ბრიუნეტი

ლიდერები: ფორვარდები — სერგეი კრივოკრასოვი (25+23), კლიფ რონინგი (18+35), მეკარე მაიკ დანჰემი

ასეთ კომპანიაში ნეშვილისთვის შარშანდელი შედეგის გამეორებაც კი არ იქნება ურიგო, მით უმეტეს, რომ წლეულს მას არავინ აპატიებს სადებიუტო შეცდომებს. აღსანიშნავია, რომ გუნდს შეტევაში ღირსეული ლიდერები გამოუჩნდნენ, გოლკიპერმა მაიკ დანჰემმაც გაუძლო იმ დატვირთვას, რაც დებიუტანტის კარს დაწვა. სხვათა შორის, იგი ახლახან მოურიგდა კლუბს და მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კიდევ, ნეშვილში ახალმა სახელმა გაიჟღერა — ესაა 1998 წლის დრაფტის მეორე ნომერი დეკედ ლეგვანდი.

დასავლეთის კონფერენცია. ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი

კალგარი ფლეიმსი

1998-99: +30=12-40, პლეი ოფში ვერ გავიდა

მწვრთნელი: ბრაიან სატერი

შენაძენი: მეკარე გრანტ ფიური (სენტ ლუისი)

დანაკარგი: მეკარე კენ რეგეტი, ფორვარდი ენდრიუ კესელსი

ლიდერები: ფორვარდები — კორი სტილმანი (27+30) და ვალერი ბურე (26+27), მცველი ფილ ჰაუსლი (11+43), მეკარე გრანტ ფიური

კალგარის ხსენებისას კაცს უმალ ტეო ფლერი მოაგონდება, მაგრამ „მძლავრი თაგვი" უკვე სხვაგანაა. ასე რომ, კანადური კლუბი პოსტფლერიურ ერას იწყებს. იწყებს ახალგაზრდა და მეტად აგრესიული გუნდის იმიჯით, რომელთან შეხვედრაც არავისთვის იქნება იოლი. იმასაც ამბობენ, რომ სატერი „ბომბს" ამზადებს: რიკო ფატა — დანიელ ტკაჩუკი — ოლეგ საპრიკინის სამეულმა შესაძლოა კლუბის წამყვანი ტრიოს რანგში დაასრულოს სეზონი. რაც შეეხება გამოუცდელ ახალბედათა სიმრავლეს, ამის ანაზღაურებას მრავალნაცადი ვეტერანების — ფილ ჰაუსლისა და გრანტ ფიურის ხარჯზე აპირებენ.

კოლორადო ავალანში

1998-99: +44=10-38

მწვრთნელი: ბობ ჰარტლი

შენაძენი: არ არის

დანაკარგი: ფორვარდები — ვალერი კამენსკი, დეილ ჰანტერი, მცველი სილვენ ლეფევრი, მეკარე კრეიგ ბილინგტონი

ლიდერები: ფორვარდები — ჯო საკიკი (41+55), პეტერ ფორსბერგი (30+67), კრის დრური (20+24), მეკარე პატრიკ რუა, მცველი სანდის ოზოლინში (7+25)

მიუხედავად ესოდენ დიდი დანაკლისისა, კოლორადო იმედს არ კარგავს და დალასსა და დეტროიტს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადებას უპირებს. გუნდის მესვეურებს ყველაზე მეტად პეტერ ფორსბერგის ტრავმა ადარდებთ. მის არყოფნაში ჯო საკიკს შარშანდელი დებიუტანტები — დრუსი და ჰეიდუკი დაეხმარებიან. ჩინებულად ჩატარებული სეზონის შემდეგ მათ კოლორადოს ლიდერთა შორის მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ. სახელოვან რუასაც აქვს სტიმული — მას ლიგის რეკორდსმენ ტერი საჭუკისაგან (447 მოგება) სულ რაღაც 35 გამარჯვება აშორებს.

ედმონტონ ოილერსი

1998-99: +33=12-37, პლეი ოფის პირველი რაუნდი

მწვრთნელი: კევინ დოუ

შენაძენი: ბილ რენფორდი (დეტროიტი)

დანაკარგი: მეკარე ბობ ესენტა, ფორვარდი კეილი ბუკბერგერი

ლიდერები: ფორვარდები — დუგ უეიტი (6+31), ბილ გერინი (30+34), მაიკ გრირი (20+24), მცველი რომან ჰამრლიკი (8+24), მეკარე ტომი სალო

ედმონტონელთა მთავარი პრობლემა, სხვა კანადური კლუბების დარად, მოკრძალებული ბიუჯეტია. დღესდღეობით ამის გამო გუნდის სამი ლიდერი — გერინი, გრირი და ჰამრლიკი გაფიცულია, ფული კი არ არის. ალბათ, „ოილერსი" მასავით არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ კალგარისთან იბრძოლებს პლეი ოფში გასასვლელად. ედმონტონის წარმატება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ითამაშებს გუნდი თავის არენაზე. სწორედ იქ, ლიგაში ყველაზე მაღალხარისხოვან ყინულზე, შეუძლიათ „მენავთობეებს" თავიანთი მთავარი კოზირის — სისწრაფის სათანადოდ გამოყენება. კლუბის პლეიმეიკერმა დუგ უეიტმა გასულ სეზონში ტრავმის გამო მხოლოდ 43 მატჩი ჩაატარა.

ვანკუვერ კანადსი

1998-99: +23=12-47, პლეი ოფში ვერ გავიდა

მწვრთნელი: მარკ კროუფორდი

შენაძენი: ფორვარდი ენდრიუ კესელსი (კალგარი), მცველი დუგ ბოჯერი (ლოს ანჯელესი)

დანაკარგი: მეკარე კორი ჰირში, მცველი ბრაიან მაკეიბი, ფორვარდი სტივ სტეიოსი.

ლიდერები: ფორვარდები — მარკ მესიე (14+31), მარკუს ნესლუნდი (36+30), ალექსანდრ გოგილინი (14+31), მცველი მატიას ოლუნდი (9+26)

სახელოვანი ტრიუმვირატის ყოფნა (გენერალური მენეჯერი ბრაიან ბურკი, მწვრთნელი მარკ კროუფორდი და კაპიტანი მარკ მესიე) ვანკუვერის ქომაგებს იმედს აძლევს, რომ წინა სეზონების უიღბლობა წარსულს ჩაბარდება. კვლავინდებურად ბევრია დამოკიდებული მესიეზე, ზაფხულში შეძენილმა კესელსმა კი მაქსიმალურად უნდა განტვირთოს კაპიტანი, რომელსაც მისთვის უჩვეულო, გამთამაშებლის როლის შესრულება უწევდა. ამიერიდან ვანკუვერსაც ეყოლება თავისი კარია — სტივმა ვინძლო ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს სახელოვან ანაჰაიმელ თანამოგვარეს. ამის წინაპირობა ისაა, რომ საგამოფენო მატჩებში იგი მოგილნისთან ერთად საუკეთესო იყო.

საბველ ღარიბიანი

გერმანია

VII ტური

ინტრახტი 0:1 შტუტგარტი

0:1 ბალაკოვი (47)

მიუნხენი 5:0 არმინია

1:0 მაქსი (22), 2:0 ჰესლერი (61), 3:0 მაქსი (67პ), 4:0 ტისე (71), 5:0 აგოსტინო (89)

მეორე ბუნდესლიგა. VII ტური

ზანქტ პაული 1:1 ოფენბახი

ალემანია 1:1 ფორტუნა

კიოლნი 3:0 ვალდჰოფი

იტალია

სერია B. VI ტური

ვიჩენცა 6:0 ემპოლი

შვეიცარია

XIV ტური

ლუგანო 2:1 ძსამაძსი

ჩეხეთი

IX ტური

ბოჰემიანსი 0:1 ბუდეიოვიცე

ავსტრია

XIV ტური

ტიროლი 0:2 აუსტრია

ბელგია

VIII ტური

შარლერუა 2:1 მუსკრონი

ჰოლანდია

მაასტრიხტი 1:3 ჰერენვეენი

ინგლისი

პირველი დივიზიონი. X ტური

ნოტინგემი 3:0 ბარნსლი

მეორე დივიზიონი. X ტური

კოლჩესტერი 2:2 რეძსემი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XII ტური

გენგამი — ლე მანი 3:1; ნიმი — ვასკეალი 1:2; ნიცა — ტულუზი 2:0; აიაჩო — ლუანი 3:0; შატორუ — კრეტეი 0:0; გენიონი — ლორიანი 3:0; სოშო — ვალენსი 2:0; ლილ — კანი 2:0

დიადის სახელობისა



REUTERS ედმონტონიდან

უეინ გრეცკი ყინულზე აღარა დგას, მაგრამ კანადელთათვის (და მთელი მსოფლიოსთვისაც) კვლავინდებურად რჩება „დიად ვინმედ“. დიადი და უკვდავია იგი მშობლიურ ქალაქ ედმონტონისთვისაც, რომლის „ოილერსმაც“ სწორედ გრეცკის წყალობით ოთხჯერ მოიპოვა სტენლის თასი. და რა გასაკვირია, რომ ამიერიდან ედმონტონში იქნება ქუჩა უეინ გრეცკის სახელობისა.

კასპაროვი — მსოფლიო



1. e4 c5 2. ∂f3 d6 3. ♗b5+ ♗d7 4. ♗×d7+ ♕×d7 5. c4 ∂c6 6. ∂c3 ∂f6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. ∂×d4 ♗g7 10. ∂de2 ♕e6 11. ∂d5 ♕×e4 12. ∂c7+ ♔e7 13. ∂×a8 ♕×c4 14. ∂b6+ a×b6 15. ∂c3 ♖a8 16. a4 ∂e4 17. ∂×e4 ♕×e4 18. ♕b3 f5 19. ♗g5 ♕b4 20. ♕f7 ♗e5 21. h3 ♖×a4 22. ♖×a4 ♕×a4 23. ♕×h7 ♗×b2 24. ♕×g6 ♕×e4 25. ♕f7 ♗d4 26. ♕b3 f4 27. ♕f7 ♗e5 28. h4 b5 29. h5 ♕c4 30. ♕f5+ ♕e6 31. ♕×e6+ ♔×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. ♗f4 ♗d4+ 35. ♔h1 b3 36. g4 ♔d5 37. g5 e6 38. h6 ∂e7 39. ♖d1 e5 40. ♗e3 ♔c4 41. ♗×d4 e×d4 42. ♔g2 b2 43. ♔f3 ♔c3 44. h7 ∂g6 45. ♔e4 ♔c2 46. ♖h1 d3 47. ♔f5 b1=♕ 48. ♖×b1 ♔×b1 49. ♔×g6 d2 50. h8=♕ d1=♕ 51. ♕h7 b5

მაიკის მზადება

REUTERS ლას ვეგასიდან

თავისი მორიგი ბრძოლისთვის ემზადება ქოჩორმოზრდილი მაიკ ტაისონი, რომელიც 23 ოქტომბერს უნდა შეერკინოს ორლინ ნორისს. ამ ჯერზე ტაისონის ბრძოლა საერთო სახალხო კაბელით გადაიცემა და არაპირდაპირი ტელესისტემებით. თუმცა, ტაისონი მაინც მიიღებს 20 მილიონ დოლარს. ისა და მწვრთნელი ტომი ბრუქსი ადრეულ ნოკაუტს გეგმავენ — ხალხს კრიზში სწორედ ეს საქმე იზიდავს.

რონალდო ჯორჯოსთან

REUTERS მილანიდან

ჯორჯო არმანის თავისი საგაზაფხულო მოდელების სვლა გაუმართავს მილანში. აღარც უნდა იკითხო იქ ვინ გაეძრობოდა. კოსოვომოვლილი რონალდო პირდაპირ არმანიანის შოუზე მისულა და თან დედა და საცოლე მილენაც მიუყვანია. რძალ-დედამთილის დაახლოება ხომ საშური საქმეა. ჩვენ კი გვერჩივნა, რომ ოდესღაც დიდებულ მოთამაშეს ფეხბურთი ეთამაშა, მაგრამ თავად აგრე წანწალი და ხალხში ყოფნა უჯობს და რას იზამ? ამ ტრავმებსაც ხომ აღარ დაადგა საშველი.

დაასხი!

მუშუში ქსოვრელებისა უნდა მიირთო, ბომიდორი ჭობორტელებისა, დოქი შილდისა უნდა იყოს, მჭადი და ყველი კი უეჭველად იმერული. თუ ლუდის დალევა გინდა, მიუნხენისა უნდა არჩიო. გერმანიაში რომ ხარ მაშინ მაინც. დაიჭერ ლიტრა კათხას და მიდი. კარგია თუ ოცდასამ სექტემბერს მოხვდები მიუნხენში — იქაურ ლუდის ფესტივალზე და სმაშიც გაეჯიბრები იქაურებს. აგე, დამსხდარან ფრანც ბეკენბაუერი და გერმანიის თავდაცვის მინისტრი რუდოლფ შარფინგი. დამსხდარან და მოუყუდებიათ ლიტრიანები. ეჯიბრებიან...



REUTERS მიუნხენიდან

შიშველი უცხოელები

REUTERS ხლოუდან

რაგბის მსოფლიოს თასი ესესაა ხურდება და ბრიტანეთში თავშეყრილი გუნდებს ჯერ კიდევ შერჩენიათ სალაღობო დრო. როცა ლაღობას ფულის კეთებაც მიემატება, ხალისი უფრო გემრიელი ხდება. ელიტას მიახლოებულ იტალიელ მორაგბეთ მავანი ფირმა გადაკიდებია, ჩემს სარეცხ მანქანებს რეკლამა გაუწიეთო. ამათაც გაუწევიათ. ტიტლიკანანი კი არიან, მაგრამ მორაგბეებს იმგვარი მოხდენილი აგებულობა აქვთ, რომ ჩვენებური კაცი მაინცდამაინც არ გაბრაზდება, რას დატანტალებენ ეს ვირიშვილებიო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნაღირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli